

1955

საქართველოს  
საავტომობილო


# მუხნიერები & ტექნიკა



1 • 9 • 5 • 5

საქართველოს სსრ მუხნიერებათა აკადემია

# საქართველოში მშენებლობის მუშაობები



ნაპირები

რკინაბეტონი

სახლ-სამუშაო  
ნაპირები

პერონს და მოსახლკმობის  
მასალები

საფაბრიკო

მონოლითური  
რკინაბეტონი



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

## ი. ბ. სვანიძე — ლენინის უკვდავი საქმის ღივი განმგებლობი

21 დეკემბერს შესრულდა სამოცდათექვსმეტი წელი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძენი ბელადის და მასწავლებლის, გენიალური ლენინის ერთგული მოწაფისა და თანამებრძოლის, მისი უცვლადი საქმის დიდი განმგებლობის — იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის დაბადებიდან.

დიდმა სტალინმა მთელი თავისი სახელოვანი, გმირული შრომითა და საქმეებით აღსავსე ცხოვრება მოახმარა მუშათა კლასისა და ყველა მშრომელთა განათავისუფლებისა და ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლის საქმეს, კომუნისზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის დიად საქმეს. სწორედ ამიტომ ი. ბ. სტალინის სახელი უსაზღვროდ ძვირფასია ჩვენი ლენინური პარტიისათვის, კომუნისზმის მშენებელი დიდი საბჭოთა ხალხისათვის, დედამიწის ყველა ნაწილის ხალხთა უფართოესი მსგებსათვის.

უცვლადი ლენინის თანამებრძოლი ი. ბ. სტალინი თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისიდანვე ლენინის რევოლუციური გენიისადმი უსაზღვრო რწმენით განიხილავდა და მტკიცედ დაადგა მის გზას. მან ლენინის სახით დაინახა ნამდვილი მარქსისტული პარტიის ფაქტობრივი შემქმნელი, უმაღლესი ტიპის ხელმძღვანელი, მთის არწივი, რუსეთის რევოლუციური მოძრაობის უფალ გზაზე პარტიის გაბედულად წინ წამყვანი.

ი. ბ. სტალინს წილად ხედა ისტორიული მისია — ყოფილიყო გენიალური ლენინის ღირსეული თანამებრძოლი მუშათა კლასის რევოლუციური მარქსისტული პარტიის, ნათელი და ბოლომდე რევოლუციური ტაქტიკური ხაზის მქონე ახალი ტიპის პარტიის შექმნის საქმეში. ი. ბ. სტალინი იცავდა პარტიის ლენინურ იდეოლოგიურ, ორგანიზაციულ, ტაქტიკურ და თეორიულ საფუძვლებს, ამუშავებდა ლენინისზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, სჭედდა და აწრთობდა ლენინური პარტიის ძალას და ძლიერებს ლენინისზმის ყველა ჯურის მტრებთან შეურთებულ ბრძოლაში.


ჩვენი ქვეყნის განვითარებაში მთელ ისტორიულ ხანას წარმოადგენს რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია. რევოლუციის წლებში ი. ბ. სტალინის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი მტკიცედ დგას ლენინის პოზიციებზე და ხელმძღვანელობს ამერიკაეკლასის ბოლშევიკების ბრძოლას მენშევიკების, ესერების, ნაციონალისტების, ანარქისტების წინააღმდეგ, რაზმავს მუშებს და გლეხებს, რევოლუციის ძალებს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის.

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ დგება ძალადობისა და უფუფლებობის, მათარახისა და სიზნექლის სრული ზემოქმედების პერიოდი — რეაქციის პერიოდი. ამ პერიოდში ი. ბ. სტალინის უდიდესი დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი ლენინთან ერთად და ლენინის ხელმძღვანელობით ეწევა მძიმე, შეუპოვარ მუშაობას მშრომელი მასების რევოლუციური აღზრდისა და ორგანიზაციისათვის.

რეაქციის პერიოდში ი. ბ. სტალინმა უაღრესად დიდი ღვაწლი განიცადა. დაბატონებულ, საყრობილედ და გადასახლება ერთიმეორეს მოსდევდა. საკმარისია ითქვას, რომ 1907 წლიდან 1913 წლამდე, დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში ი. ბ. სტალინი დააბატონირეს ექვსჯერ, გადაასახლეს ხუთჯერ, გადასახლებიდან გამოიქცა ოთხჯერ. გადასახლებაში ყოფნის დროს ი. ბ. სტალინი პარტიას აძლევს უაღრესად საყურადღებო რჩევას, რომელიც, ლენინის სიტყვებით რომ ვთქვათ, უდიდეს ყურადღებას იმსახურებდა ყველა იმათში, ვისაც ჩვენი პარტია უყვარს

1912 წელს პარტიის პარლის კონფერენციაზე ლენინის წინადადებით სტალინს დაეკისრა ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს ხელმძღვანელობა. სტალინი ხდება გენიალური ლენინის მთავარი დასაყრდენი და უახლოესი თანამებრძოლი მთელი პარტიის ხელმძღვანელობაში, პარტიისა და მუ-

1069



შათა კლასის მომზადებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მოსახლად.

ი. ბ. სტალინს წილად ხვდა ისტორიული მისია — ოქტომბრის რევოლუციის მომზადებასა და ჩატარებაში, სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობაში ლენინის დაუღალავი თანაშემწე ყოფილიყო.

ი. ბ. სტალინი იყო ლენინის უახლოესი თანაშემწე სამოქალაქო ომისა და ინტერვენციის წლებში — ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამ უპრობლემოდან მძიმე და დაუფიქრებელი წლებში. ი. ბ. სტალინი თავის რკინისგებური ნებისყოფითა და მასების დარაზების უნარით, თავისი მხედართმთავრული ოსტატობით თანმიმდევრულად აღწევდა სამოქალაქო ომის ყველაზე გადამწყვეტ, რევოლუციისათვის საშუალო ფონტებზე თეთრკვარდიელთა და ინტერვენტთა განადგურების ლენინური გეგმის განხორციელებას. პარტიის დავალებით, პირადად ლენინის დავალებით სტალინმა უზრუნველყო იმ დროის ურთულეს ვითარებაში წითელი ცარიცინის გამორული დაცვა, პერმის კატანტროფის ლიკვიდაცია, რევოლუციის აკვანთან, პეტროგრადთან, იუდენიჩის ბანდების განადგურება, სამხრეთში გენერალ დენიკინის თეთრი ბანდების მოსაპოვა, პოლონელი პანების განადგურების სტრატეგიული ოპერაციების ხელმძღვანელობა.

ი. ბ. სტალინი ლენინის უახლოესი თანამებრძოლი იყო საბჭოთა რუსეთის სასოციალისტო ინტერესებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიების ვატარებაში, სოციალისტური სახელმწიფო წყობილების მშენებლობისა და განმტკიცების საქმეში.

დამთავრა რა საბჭოთა ხელისუფლებისათვის გაჩაღებული ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა ისტორიული გამარჯვებით, საბჭოთა ქვეყანა შეუღდა მშვიდობიან სამეურნეო მშენებლობას — სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის აღდგენას.

ამასთან დაკავშირებით კომუნისტური პარტიის წინაშე დადგა ისტორიული ამოცანა — გამოემუშავებნა ახალი გეზი ქვეყნის სამეურნეო ცხოვრების ყველა საკითხზე, გეზი, რომელიც სამეურნეო მშენებლობის ახალი პერიოდის შესაბამისი იქნებოდა. პარტიის ასეთი გეზი ჩამოაყალიბა გენიალურმა ლენინმა. ლენინმა შეაიარაღა პარტია, საბჭოთა ხალხი ეკონომიურად ჩამორჩენილი რუსეთის მოწინავე, მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ გადაქცევის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამით. ეს პროგრამა ითვალისწინებდა მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, ქვეყნის ელექტროფიკაციას, წერილი გლეხური მეურნეობის მსხვილ, კოლექ-

ტიურ მეურნეობად გარდაქმნას, კულტურული რევოლუციის განხორციელებას. ვ. ი. ლენინის ამ გენიალური პროგრამის განხორციელებლად ჩვენი ქვეყანა — ტექნიკურად სუსტი და დაბალი კულტურის მქონე — დაკარგავდა თავის დამოუკიდებლობას და გადაიქცეოდა იმპერიალისტური სახელმწიფოების სათამაშო ობიექტად.

ასრულებდა რა ლენინის პროგრამას, კომუნისტური პარტია ი. ბ. სტალინის მეთაურობით შეუღდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, ამ უაღრესად სერიოზული და რთული საქმის პრაქტიკულად განხორციელებას. მიდიოდა რა ინდუსტრიალიზაციის გზით, ჩვენმა ქვეყანამ ეს ძნელი, რთული, მაგრამ სახელგანთავსი გზა განვლო მკაცრ ინტერიულ ვადაში, დაახლოებით 13 წელიწადში. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიდი ლენინური პროგრამის განხორციელებამ, რომელიც სისხლწორცულად დაკავშირებულია ი. ბ. სტალინის სახელთან, ტექნიკურ-ეკონომიურად ჩამორჩენილი ჩვენი ქვეყანა მოწინავე ინდუსტრიულ სახელმწიფოდ გადააქცია.

შეუძლებელი იქნებოდა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის ლენინური პროგრამის განხორციელება, რომ დროზე არ გავვენადგურებინა და არ დავგვსამარებინა ლენინისთვის, სოციალიზმის საზიზღარი მტრები — ტროცკისტები და მათი დამქაშები, რომლებიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისათვის ბრძოლის გზაზე უდიდეს დაბრკოლებებს უქმნიდნენ პარტიას.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხი თანმიმდევრულად ახორციელებდა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის დიად ლენინურ პროგრამას. ამ პროგრამის განხორციელებამ ჩვენი ქვეყნის მშრომელი გლეხობა იხსნა განაანავებისა და სიღატაკისაგან და შექმნა ყველაზე მექანიზებული, ყველაზე მსხვილი, ყველაზე ნაყოფიერი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

შეუძლებელი იქნებოდა ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ლენინური პროგრამის განხორციელება, რომ დროზე არ აღგვეგავა პირისაგან მიწისა ყველა ჯურის ანტილენინური ელემენტები და პირველ რიგში მემარჯვენე-ოპორტუნისტული ჯგუფი, რომელიც სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას დამატებით სინდლეებს უქმნიდა.

ი. ბ. სტალინის სახელთან განუწყობდა დაკავშირებულია რევოლუციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხის — ეროვნული საკითხის გადაჭრა. კომუნისტურმა პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით ეროვნულ საკითხში ლენინის მიერ შემუ-

შეგებული პარტიის თეორიული პროგრამისა და პოლიტიკის ურყევად განხორციელების შედეგად უზრუნველყო უზარმაზარი სახელმწიფოს მასშტაბით სასოკუნებრივი ეროვნული შუღლის ლიკვიდაცია, ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხთა შორის მეგობრული ინტერნაციონალური კავშირის განმტკიცება, რესპუბლიკათა კავშირის განმტკიცება და გაფართოება, კომუნისმის მშენებელი ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის შეკავშირება მძლავრ, უძლეველ ბანაკად.

ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის მტკიცე და ურღვევი მეგობრობა ეს ლენინურ-სტალინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების ყველაზე დიდი, ყველაზე ძვირფასი შედეგია, სოციალიზმის დიდი და სერიოზული მონაპოვარია. სანამ ეს მეგობრობა არსებობს, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — ჩვენი ქვეყნის ხალხები თავისუფალი და უძლეველი იქნებიან. არავინ არ არის ჩვენითვის საშიში, არც შინაური და არც გარეშე მტრები, სანამ ეს მეგობრობა ცოცხლობს და დღეგრძელობს.

სოციალიზმის მშენებლობის ლენინური პროგრამით შეიარაღებულმა კომუნისტურმა პარტიამ ი. ბ. სტალინის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მიიყვანა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებამდე. სოციალიზმის გამარჯვება მოსაწვევბდა ლენინიზმის ზეიმს, უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას ჩვენი სამშობლოს მთელ ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, საბჭოთა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურაში, ჩვენი ქვეყნის ხალხების სოციალურ-პოლიტიკურ და სულიერ-მორალურ სახეში.

საბჭოთა კავშირში ისტორიაში პირველი ახალი საზოგადოებრივი წყობილების — სოციალიზმის აშენება არა მარტო საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებაა, არამედ მთელი მსოფლიოს ხალხთა საერთო გამარჯვებაც. საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვება წინ სწევს კაცობრიობის საქმეს, აჩქარებს იმპერიალიზმზე მუშათა კლასის გამარჯვების საქმეს.

როცა პიტლერულმა გერმანიამ საბჭოთა კავშირს თავს მოახვია ომი და ჩვენს სამშობლოს უდიდესი საფრთხე დაემუქრა, კომუნისტური პარტია დიდი სტალინის წინამძღოლობით სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის ტიტანურ ბრძოლას კაცობრიობის უბოროტესი მტრის — ფაშისმის წინააღმდეგ. სამამულო ომის მძიმე წლებში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა ი. ბ. სტალინის, როგორც პარტიისა და ხალხის დიდი ზედადის, საბჭოთა სახელმწიფოს მეურვის, გენიალური სტრატეგისა და მხედართმთავ-

რის შესანიშნავი ღირსებანი. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ი. ბ. სტალინი დაქვემდებარდა მთელი შეიარაღებული ძალების სათავეში. შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ა. ბულგანინი, კ. ე. ვოროშილოვი, დ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი. პარტიამ უშუალო სამხედრო სამუშაოზე გაგზავნა ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ა. ჭდანოვი, ა. ს. შერბატაკოვი და ცენტრალური კომიტეტის სხვა წევრები. ჩვენმა ქვეყანამ ისტორიული გამარჯვება მოიპოვა ფაშისტურ გერმანიაზე და იმპერიალისტურ იაპონიაზე. საბჭოთა ხალხი თავის ამ ისტორიულ გამარჯვებას უმაღლეს კომუნისტურ პარტიას, რომელიც დიდი სამამულო ომის დღეებში, ისე როგორც ყოველთვის, საბჭოთა ხალხის წინაშე წარმისდგა, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, უმაღლესი ლენინის საქმის დიდი განმგრძობს — ი. ბ. სტალინის და მის თანამებრძოლებს.

ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის ისტორიული გამარჯვების შედეგად იმპერიალისტურ სისტემას ჩამოსცილდნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნები, რომლებშიც დაპყვიდრდა სახალხო-დემოკრატიული წყობილება. ჩამოყალიბდა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის მეთაურობით.

ომმა დიდი ზარალი მიაცენა ჩვენს ქვეყანას, მაგრამ პარტიამ, მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა ი. ბ. სტალინის მეთაურობით საბჭოთა ხალხის მთელი შემოქმედებითი ინიციატივა წარმართეს ომის შედეგების უსწრაფესი ლიკვიდაცისაკენ, სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი განვითარების გრანდიოზული გეგმების განხორციელებისაკენ. ამის შედეგად უმაგალითოდ მოკლე დროში მიღწეულ იქნა სახალხო მეურნეობის აღდგენა. ომისშემდგომ პერიოდში პარტიის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად საბჭოთა სახელმწიფომ უკან მოიტოვა ომამდელი დროის მაჩვენებლები, უზრუნველყო სახალხო მეურნეობის შემდგომი მძლავრი აღმავლობა და ჩვენი ქვეყნის ძალთა ნამდვილი აყვავება.

ი. ბ. სტალინმა, განაგრძობდა ომ ლენინის უკვდავ საქმეს, ახალი ისტორიული პირობების შესაბამისად ყოველმხრივ, შემოქმედებითად განავითარა მარქსისტულ-ლენინური თეორიის ისეთი პრინციპული საკითხები, როგორც არის მოძღვრება პარტიის მშენებლობის შესახებ, კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის შესახებ, თეორია კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებისა და ერთ ქვე-



ყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის შესახებ, სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ, სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობის შესახებ, ეროვნული საკითხი. ი. ბ. სტალინის თეორიულ ნაშრომებში განზოგადებულია სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის, საბჭოთა სახელმწიფოს შექმნისა და განმტკიცებისათვის ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძოლის უდიდესი ისტორიული გამოცდილება.

ი. ბ. სტალინს უსაზღვროდ უყვარდა თავისი დიდი მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. სტალინი ყოველთვის მოუწოდებდა საბჭოთა ადამიანებს ესწავლათ ლენინისაგან. ეცხოვრათ და ემუშავათ ლენინურად. ლენინის გარდაცვალების პირველ წლისთავზე ი. ბ. სტალინი წერდა:

„გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი.

ებრძოლეთ მტრებს, შინაურ და გარეშე მტრებს და სძლიეთ ისინი, — ილიჩისებურად.

აშენეთ ახალი ცხოვრება, ახალი ყოფა, ახალი კულტურა, — ილიჩისებურად.

არასოდეს არ სთქვამთ უარი მცირედზე მუშაობაში, ვინაიდან მცირედისაგან შენდება დიდი, — ეს არის ილიჩის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ანდერძი“.

ი. ბ. სტალინს თავის თანამებრძოლებთან ერთად ლენინის გარდაცვალების შემდეგ მთელ ოცდაათ წელიწადს განუხრელად მიჰყავდა პარტია და ჩვენი ქვეყანა უკვადავი ლენინის მიერ ნაჩვენები გზით. ი. ბ. სტალინი გარდაიცვალა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის პოსტზე.

ი. ბ. სტალინის გარდაცვალების დღეს—5 მარტს, მიმართავი პარტიის ყველა წევრისადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელისადმი პარტიის ლენინურ-

სტალინური ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი გამოთქვამდნენ მტკიცე რწმენას, რომ პარტია და ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელი კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაღებოდნენ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, მოახდენდნენ მთელი თავიანთი ძალებისა და შემოქმედებითი ენერჯიის მოზილიზაციას ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენების დიდი საქმისათვის. ამ მიმართვის პასუხად გმირი საბჭოთა ხალხი კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარაზა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო.

პარტია და მთავრობა უკანასკნელ ხანს შეიმუშავეს ღონისძიებათა მთელი სისტემა, რომელიც წინ სწევს მძიმე ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, კულტურის განვითარების საქმეს, რომელიც წინ სწევს ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, მის ავტორიტეტს. პარტია და მთავრობა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ლენინურ პრინციპებზე დაყრდნობით გაატარეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურებიან მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას მთელს მსოფლიოში. საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკა გამომდინარეობს არა მარტო საბჭოთა ხალხის ინტერესებიდან, არამედ ყველა სხვა ქვეყნების ხალხთა ინტერესებიდან.

საბჭოთა ადამიანები მტკიცე რწმენით შეპყურებენ თავიანთ შესანიშნავ მომავალს, რადგან იციან, რომ ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას წარმოადგენს კომუნისტური პარტია, რომელსაც სათავეში უდგას ლენინისა და სტალინის ერთგულ თანამებრძოლთა და მოწაფეთა ერთიანი და მონოლითური, ერთსულოვანი და მტკიცე კოლექტივისაგან შემდგარი ხელმძღვანელობა.

მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის დროით, კომუნისტური პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ, კომუნისმისაკენ.



# საქართველოს მიხურინეთა მოძრაობა



პროფესორი **ღ. მკვათაძე**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი

ბუნების დიდი გარდამქმნელი ი. ვ. მიხურინი მთელი თავისი ნაყოფიერი ცხოვრების განმავლობაში მუშაობდა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ახალი, უფრო სრულყოფილი ჯიშების მიღებაზე და ცდილობდა იძულებული გაეხადა ისინი გავრდილყოყენენ იქ, სადაც საჭიროა ადამიანისათვის.

მან გამოიყვანა სხვადასხვა მშვენიერი ხეხილის ჯიშები. მან არათუ მიიღო ყინვაგამძლე ვაშლისა და მსხლის ჯიშები, რომლებიც ხარისხით არ ჩამოუვარდება სამხრეთის საუკეთესო ჯიშებს, არამედ შექმნა აგრეთვე გარგარის, ყურძნის ჩრდილოეთის ჯიშები, ჩრდილოეთის კომში და მრავალი სხვა კენკროვანი და საყვავილე მეცნარეთა მრავალი სხვა ორიგინალური ჯიშები. მიხურინმა შორს, ჩრდილოეთისაკენ, გადაწაველებინა მრავალი კულტურის გაერცელების საზღვრები, გარდა ვაშლისა და მსხლისა, აგრეთვე ისეთებიც, როგორცაა ყურძენი, გარგარი, ბალი, ქლიავი.

დიდი მეცნიერის მიერ შექმნილი სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების ახალი ჯიშების რაოდენობით ვერაფერ მას ვერ შეედრება. მაგრამ ი. ვ. მიხურინის სიდიადე მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ მან სოფლის მეურნეობა გაამდიდრა ხილის, კენკროვანი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მეცნარეების სამი ასეული ჯიშით და „გააჩრდილოეთა“ მეხილეობა. ი. ვ. მიხურინი დიდა იმითაც, რომ ახალი ჯიშების გამოყვანის პროცესში მან გამოავლინა მეცნარეთა განვითარების მრავალი კანონზომიერებანი და ამით საფუძველი ჩაუყარა აგრობიოლოგიური მეცნიერების საფუძველს. ამუშავებდა რა აგრობიოლოგიის საკანონო პრობლემებს, ი. ვ. მიხურინმა შექმნა სელექციური მეცნიერების თეორიული საფუძველები.

არაეის სამყაროში ისე სრულად და ასეთი სიღრმით არ დაუშუავებია სელექციის მეცნიერული საფუძველები, როგორც ეს გააკეთა ი. ვ. მიხურინმა. მან დაამუშავა ბუნების გარდაქმნის მძლავრი მეთოდები და დამოუკიდებელი თეორია. ამით მან სელექციონერები შეაიარადა ცოცხალი ორგანიზმების ბუნების ადამიანისათვის სასურველი მიმართულებით გარდაქმნის ახალი მქედითი მეთოდებით.

ამასთან ერთად ი. ვ. მიხურინი არა ერთხელ მოუწოდებდა სელექციური მუშაობის მის მიერ და-

მუშავებული მეთოდებისა და პრინციპების შემდგომი შემოქმედებითი განვითარებისაკენ. „არ შეიძლება დაკმაყოფილება ერთი რომელიმე შაბლონით“. — წერდა მიხურინი. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, — მიუთითებდა ი. ვ. მიხურინი, — „საჭიროა კარგად დაეკვირდეთ ადგილმდებარეობის კლიმატურ და სხვა პირობებს, საჭიროა საფუძველიანად შევისწავლოთ მათი თავისებურებები“. თავის მიმდევრებს ი. ვ. მიხურინმა უნადერძა: „უნდა გამასწორო მე“, „მეშეკამათო მე“, „კიდევ დაანგროთ ჩემი ნაშრომი და იმავ დროს—განაგრძოთ იგი“.

იყენებდნენ და ავითარებდნენ რა მიხურინულ მოძღვრებას, საქართველოს სელექციონერებმა გამოიყენეს სასოფლო-სამეურნეო მეცნარეთა მთელი რიგი, პრაქტიკულად ძვირფასი ჯიშები.

შეიძლება კმაყოფილებით აღინიშნოს, რომ საქართველოში სელექციონერები წავიდნენ სელექციისათვის ყველაზე ძვირფასი ადგილობრივი ფორმების გამოყენების სწორი გზით.

საქართველოს ჯიშური სიმდიდრეები მრავალი კულტურის დარგში არაჩვეულებრივად დიდია. განსაკუთრებით შესანიშნავია ყურძნის ჯიშები, ხორბლის სახეები და ჯიშები, აგრეთვე ხეხილისა და ბოსტნეულის კულტურების ჯიშები.

მთელი ეს ჯიშური სიმდიდრე წარმოადგენს მიწათმოქმედთა მრავალი თაობის შრომის „შენადნულს“. ყოველივე იგი წარმოადგენს ხალხური სელექციის პროდუქტს და საუკეთესო საწყის მასალას შემდგომი სელექციური მუშაობისათვის. ეს ფორმები შესწავლილი და შეძლებისდაგვარად გამოყენებული უნდა იქნეს ახალი უფრო სრულყოფილი ჯიშების გამოსაყვანად.

მთელი სელექციური მუშაობა აგებული უნდა იყოს არა სახალხო სელექციისაგან მოწყვეტით, არამედ წარმოადგენდეს მის უშუალო გაგრძელებას და სელექციურ მუშაობათა უმრავლესობაშიც, სადაც ეს შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იქნეს საუკეთესო ადგილობრივი ფორმები.

ხეხილის კულტურებზე მუშაობიდან დიდად საინტერესოა ე. შ. ერისთავის შრომები ატმის აღრეული ჯიშების გამოყვანაზე ცნობილი „ხიდისთავის ვარდისფერი“ ატმის შემოტანულ მალწიფებად ჯიშებთან პიბრიდოზაციის გზით. ხიდისთავის ატამი მწიფდება სექტემბრის დასაწყისში. ე. შ.

ერისთავმა მიიღო ატმის რიგი ჯიშები, რომელთა ნაყოფი მწიფდება ივლისის დამლევდიან აგვისტოს ბოლომდე. ახალი ჯიშები ხასიათდება ლამაზი მსხვილი ნაყოფებით და მაღალი საგემოვნო თვისებებით.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მიჩურინელ ბესტავაშვილის სელექციური მუშაობა ატაშუ და ყურბანჯუ. მისი ატმების სამი ჯიში — „ბესტავაშვილი“, „მწედისურა“ და „ადგილობრივი“ მშვენიერ საკონსერვო და სუფრის ჯიშებს წარმოადგენენ. ისინი გამოირჩევიან ნაყოფების სიდიდით, მათი ლამაზი ფერით და კარგი გემოვნებით.

დიდი მასშტაბით გამოირჩევა ბესტავაშვილის მუშაობა ყურბანის ჰიბრიდიზაციის დარგში. უმრავლეს შემთხვევებში მიღებული ჰიბრიდების მშობლიურ ფორმებს წარმოადგენენ ქართული ყურბანის ჯიშები, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება წარმოშობით. ბესტავაშვილი გამოიყენა სელექციის რთული მიჩურინული მეთოდები და ზოგადად მის მიერ გამოყვანილი ჯიშები წარმოადგენენ განმეორებითი (მეორადი) შეჯვარების პროდუქტს. ბესტავაშვილის ბევრი ჰიბრიდული ფორმა ხასიათდება მაღალი საგემოვნო თვისებებით და სწრაფმწიფებლობით.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტში დ. ი. ტაბიძემ ჰიბრიდიზაციის გზით გამოიყვანა ყურბანის რიგი ჯიშები და მათ შორის სწრაფმწიფებელი ჯიშები მითი რაიონებისათვის. მათი უმრავლესობა მიღებულია ქართული ჯიშების შეჯვარებით უცხოურთან.

ყურბანის პერსპექტიული სახეობა შამანურის წარმოებისათვის გამოიყენა სელექციონერმა მირიოტაძემ მევენახეობის საქარის საცდელ სადგურში დასავლეთ საქართველოს ჯიშის „ციცქას“ შეჯვარებით ფრანგულ შარდონეს ჯიშთან. მიღებული ჯიში სწრაფმწიფებელია და შეგუებულია ადგილობრივ პირობებთან.

ყვლა სელექციური მუშაობათაგან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუშაობა ჩაის ბუჩქზე, შესრულებული სტალინური პრემიის ლაურეატის ქ. ე. ბახტაძის მიერ.

ჩაის მცენარის ბიოლოგიურ თავისებურებათა დაწვრილებით გამოიკვლევების საფუძველზე შექმნილ იქნა ჩაის მცენარის სელექციის სრულად ორიგინალური მეთოდი. ამ მეთოდს სრული უფლებებით შეიძლება „მიჩურინული“ ეწოდოს. ამ მეთოდის მეშვეობით შექმნილია ჩაის ათი ახალი ჯიში, მათგან — ორი მაღალმოსავლიანი და მაღალხარისხისიანი „ქართული ჩაი № 1“ და „ქართული ჩაი № 2“, დამტკიცებული და შემოწმებული სახელმწიფო კომისიის მიერ, იგი ახლა ინერგება წარმოებაში.

სუბტროპიკული კულტურების სელექციის დარგში უნდა აღინიშნოს დიდი მუშაობა ციტრუსოვანი კულტურების ვეგეტაციური ჰიბრიდიზაცი-

ის დარგში, რაც პროფესორმა ფ. დ. მამფორიამ სუბტროპიკული სელექციური სადგურში ჩაატარა. მეტყველებს ვეგეტაციური ჰიბრიდიზაციის შესახებ მამფორიამ რიხული მოძველების ერთ-ერთი ცენტრალური ნაწილია. იგი ამასთან ერთად მცენარეთა გარდაქმნის მძლავრ მაღალმედიტ მიჩურინულ მეთოდს წარმოადგენს. ამჟამად დამუშავებულია მეთოდი ციტრუსოვანთა ვეგეტაციური ჰიბრიდების მიღებისა და უკვე არის მაღალი ყინვაგამძლეობის ვეგეტაციური ჰიბრიდების რამდენიმე ფორმა, სახელდობრ: მანდარინი უნდა შეიქმნას ტრიფლიკატთან და აგრეთვე ფორთოხლისა და მანდარინისა ამ სახეობასთან.

მეაბრეშუმეობის ინსტიტუტის სელექციონერების გ. კ. ჯაფარიძეს და შაბლოვსკაიას მიერ გამოყვანილია თუთის რიგი ჯიშები: „საქართველო“, „თბილისური“, „ადრეულა“, „თბილისი 2“, „თბილისი 7“, რომლებიც გამოირჩევა მაღალმოსავლიანობით და ფოთლის კარგი საყვები თვისებებით. ერთი მათგანი გამოყვანილია სხვადასხვა წარმოშობის ჯიშების ჰიბრიდიზაციის მეთოდებით, სხვები მიღებულია ჯიშთაშორის ჰიბრიდიზაციის შედეგად თავისუფალი დამტკიცების გზით.

მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს საქართველოს სელექციონერებმა, რომლებიც მინდვრის კულტურის მცენარეებზე მუშაობენ.

საქართველოს სასელექციო სადგურის მიერ შერჩევის მეთოდებით გამოიყვანილია საშემოდგომო ხორბლის ექვსი ჯიში. ამ გზით შექმნილ ხორბლის ჯიშებს რიგი დადებითი თვისებები გააჩნია. ისინი ჩქარმწიფებელი, გვალვაგამძლე და ზამთარგამძლეა. მაგრამ ისინი მოკლებული არ არიან ზოგიერთ ნაყოფიანებებს. მათს ყველაზე დიდ ნაკლს წარმოადგენს არასაკმარისი გამძლეობა ყვითელი ქანგის წინააღმდეგ.

ვინაიდან საქართველოში ყვითელი ქანგა ზოგიერთ წლებში დიდ ზიანს აყენებს საშემოდგომო ხორბლის ნათესებს, საშემოდგომო ხორბლის სელექციის დროს პირველ ადგილზე წამოყენებული უნდა იქნეს ამოცანა ისეთი პროდუქტიული ჯიშების შექმნისა, რომლებიც გამძლე იქნება ყვითელი ქანგისადმი. ასეთი ჯიშების გამოყვანა კი, როგორც მიჩურინი გვასწავლიდა, შეიძლება ჰიბრიდიზაციის გზით. ერთადერთი სწორი გზა ბრძოლისა პარაზიტებთან, სოკოებთან მიდის სელექციის, მცენარეთა ჰიბრიდიზაციის გზით, — მიუთითებდა მიჩურინი.

ეყრბნობიდან რა ამას, სასელექციო სადგურის მუშაკებმა ჩაატარეს ხორბლის ქართული ჯიშების შეჯვარება ურთიერთთან. მშობლიური წყვილების შერჩევა შეჯვარებისათვის ჩატარებულ იქნა ი. ვ. მიჩურინის დებულების თანახმად: „რაც უფრო დაშორებულია ურთიერთშორის შესაჯვარებელი მცენარეების — მწარმოებლების წყვილები მათი სამშობლოს და გარემო პირობების მიხედ-

ვით, მით უფრო ეგუებიან ჰიბრიდული ნათესები ახალი ადგილის გარეშე პირობებს. საუკეთესო შედეგები იქნა მიღებული, როცა სელექციური ჩიმი, ძიღებული ქართლის ველიანი რაიონებიდან, შეჯვარებულ იქნა კახეთისა და დასავლეთ საქართველოს ყვითელი ქანგას გამძლე ტენიანი რაიონების ჯიშებთან.

ასეთი გზით მიღებული ჯიშებიდან საუკეთესო აღმოჩნდა „გამარჯვება“ და „უფრო“ (ავტორი გ. ო. ლილუაშვილი), ორივე ჯიში წარმოადგენს დოლის ჰიბრიდებს ხელოვან ჯიშთან. მათ ზიანს ვერ აყენებს ყვითელი ქანგა. ამავე დროს ისინი მაღალპროდუქტიულია, მსხვილთავთვანი და მსხვილმარცვლიანია. სხვადასხვა გამოცდების დროს, მათ შორის საწარმოო გამოცდების ჩათვლით, ისინი იძლეოდნენ 30 ცენტნერიდან 42 ცენტნერამდე ჰექტარზე.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სელექციის კათედრის ჯიშებიდან კარგი შედეგი გამოიღო „მუხრანულას 1“ ჯიშმა (ავტორები — ლ. დეკაბრელები, მ. სიხარულიძე, ევ. ჩერნიში), რომელიც გამოირჩევა ჯიშისა და „დოლის“-პური 18-46“-ის ჰიბრიდით. იგი გამოირჩევა აგრეთვე ყვითელი ქანგასამდე გამძლეობით და 30—35% -ით სჭარბობს მოსავლიანობით „დოლის“-პურის“ ჯიშებს.

უკანასკნელ ხანებში საქართველოს სელექციონერები გადავიდნენ უფრო რთულ და განმეორებით შეჯვარებაზე. ისინი ეყრდნობოდნენ მიწურიანის მოძღვრებას იმის შესახებ, რომ „არსებითად მნიშვნელოვანად ახალი ჯიშების გამოყვანაში უნდა ჩაითვალოს ზერხი ჰიბრიდების განმეორებითი შეჯვარებისა საუკეთესო კულტურულ და უცხოურ ჯიშებთან“.

დოლის-პურის წინათ მიღებული ჰიბრიდები განმეორებით იქნა შეჯვარებული სამამულა და უცხოური სელექციის ჯიშებთან. რთული შეჯვარების შედეგად, რაშიც შედიოდა გეოგრაფიულად და ეკოლოგიურად შორეული ფორმები, მოხერხდა მნიშვნელოვანი ძვრების მიღწევა ყველაზე მნიშვნელოვანი ბიოლოგიური და სამეურნეო თვისებების მხრივ.

სასელექციო სადგურში გამოიყო რთული ჰიბრიდები—„ადრეულა თეთრი“ და „მოწინავე“. საკონკურსო გამოცდებში ამ ჯიშების მოსავლიანობა მერჯეობდა 36—42 ცენტნერის ფარგლებში ჰექტარზე. ეს მაღალმოსავლიანი ჯიშები შედგება ქანგის სახეობების მიმართ, არ წვევა და არაცენადაა.

ხორბლის იმ ჯიშებიდან, რომლებიც გამოიყვანეს სელექციის კათედრის თანამშრომლებმა (ავტ. დეკაბრელები, შ. სიხარულიძე, ევ. ჩერნიში), ყურადღების ღირსია ორი ჯიში. პირველი მათგანი წარმოადგენს „დოლისა“ და „რაკულას“ ჰიბრიდს, რომელიც შემდეგ შეჯვარებულია ჩინური ხორბლის ერთ-ერთ ჯიშთან. იგი გამოირჩევა ქანგის მი-

მართ გამძლეობით, მსხვილმარცვლიანობით და მოსავლიანობით, 40%-ით სჭარბობს მოსავლიანობით დოლის-პურს.

დოლისა და რაკულას მეორე ჰიბრიდი, შეჯვარებულ შედეგად „ნოვოკრიმსკისა“, გამოირჩევა მაღალწიფეობით, მსხვილმარცვლიანობითა და მოსავლიანობით. იგი დოლის პურს მოსავლიანობით 35%/ით სჭარბობს.

გახვილების კურსი ჯიშებს შორის დარაიონებული ჯიშების კანდიდატ უნდა ჩაითვალოს სასელექციო სადგურის ახალი ჯიში „ლიკა 7/50“ (ავტორები ჯიამე, ლილუაშვილი და რიონიშვილი). ეს ჯიში დოკა 9-14 ჯიშთან გამოყვანის შიგა ჯიშური შეჯვარების მიწურიანული მეთოდით და ამის შემდეგ—მიმართული შიგაჯიშური შერჩევის გზით. მისმა გამოცდამ სახელმწიფო კომისიის მიერ სამი წლის განმავლობაში და საწარმოო გამოცდა ახალი ჯიშის გარკვეული უპირატესობა უჩვენა სასელექციო ჯიშთან შედარებით, რომელსაც იგი მოსავლიანობით სჭარბობს 20—25% -ით.

სასელექციო სადგურის სიმინდზე მუშაობის შედეგებიდან ყველაზე დიდ ინტერესს წარმოადგენს სიმინდის ახალი ჯიში „ქართული 1“, გამოყვანილი მიწურიანული წესით მტვერის ნარევეთ დამტვერვის გზით (ავტორები — თედორაძე და ჩხიკვაძე).

ეს მაღალპროდუქტიული ჯიში შეიქმნა „კოლორადოს“ ჯიშის დამტვერვით ოთხი სხვა ჯიშის მტვერის ნარევეთ (თეთრი, ლანჩხუთის თეთრი, გალის თეთრი და სტერლინგი). ამგვარი გზით მიღებულ ჰიბრიდში ჩატარებულია ინტენსიურად გადაჩენვა ხუთი თაობის მანძილზე ტარების გამოთანაბრების მიმართულებით.

ამის შედეგად მიღებულ იქნა მსხვილტაროიანი და მსხვილმარცვლიანი ჯიში, გამოთანაბრებული როგორც მორფოლოგიური, ისე სამეურნეო თვისებებით. მისმა გამოცდამ საწარმოო პირობებში და სახელმწიფო კომისიის მიერ ნათელყო მისი უპირატესობა ქართულ კრუგთან შედარებით. მისი მოსავლიანობა ტარობში სხვადასხვა პირობებში 100 ცენტნერამდე აღწევდა ჰექტარზე.

მოყვანილი შედეგები საქრთილად არ ასახავს სასელექციო მუშაობას საქართველოში ძირითად მცენარეებზე. ადგილის უქონლობის გამო განხილული არაა შედეგები მუშაობისა ქერზე, სოიაზე, ლობიოზე, ბალახებზე და ზოგიერთ სხვა კულტურებზე.

დასასრულ შეიძლება იმედი გამოთქვათ, რომ სელექციური მცენარეების მუშაობები, ეყრდნობიან რა მიწურიანულ ბიოლოგიას და შემოქმედებითად ავითარებენ მას ადგილობრივი პირობების შესაბამისად, შექმნიან კიდევ რაც სრულყოფილ ჯიშებს, რომლებიც დაკმაყოფილებენ მსხვილ მაღალ-მექანიზებული მეურნეობის მოთხოვნილებებს და ამით ხელს შეუწყობენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მკვეთრ აღმავლობას.

## ქ. ჩუბინაშვილი


(დაკავების 70 წლისთავის გამო)

საბარეველი  
ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ქართული ხელოვნებათმცოდნეობა, როგორც მეცნიერება, არ არსებობდა. ძველი ქართული ხელოვნების ძეგლები ქართულ მეცნიერულ ლიტერატურაში განიხილებოდა მხოლოდ როგორც ისტორიის ძეგლები, ეპიგრაფიკული მასალის შემცველი სიძველენი; მათ მიეძღვნებოდა მოკლე აღწერილობა, რომელიც ისტორიისათვის ძვირფასი იყო, მაგრამ არაფერს ამბობდა არც ძეგლის ადგილზე ქართული ხელოვნების განვითარებაში და არც ქართული ხელოვნების არსზე. იმავე დროს, მთელი XIX ს-ის მანძილზე და XX-ის დასაწყისში ქართული ხელოვნება უცხოეთის მეცნიერულ ლიტერატურაში სრულიად ყალბად იყო გაშუქებული: აგი განიხილებოდა როგორც ბიზანტიური ხელოვნების განშტოება.

ქართული ხელოვნების ისტორიის, როგორც მეცნიერების, ჩამოყალიბება დაკავშირებულია გიორგი ჩუბინაშვილის სახელთან. საბარევის მეთორმეტე საუკუნის ქართული არქიტექტურული ძეგლის ისტორიულ-მხატვრული ანალიზის შემკველი ნაშრომით პირველად წარსდგა 1915 წელს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის ნ. მარის წინაშე ახალგაზრდა გიორგი ჩუბინაშვილი. ნ. მარმა მაშინვე შეაფასა და განწვრიტა ნაშრომის ღირებულება და გადაგზავნა გამოსაქვეყნებლად.

გ. ჩუბინაშვილი გამოჩენილი ქართველი ლექსიკოგრაფისა და ბიბლიოგრაფის — პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორის დავით ჩუბინაშვილის შვილიშვილია. გიორგი ჩუბინაშვილის მიდრეკილებამ ქართული ხელოვნების ძიებისადმი ადრე იჩინა თავი. მომავალმა მეცნიერმა უმაღლეს სასწავლებლებში დიდი და შრავალმხრივი განათლება მიიღო. მან შესწავლა არქეოლოგია, ქართულ-სომხური ფილოლოგია, ეთნოგრაფია, ფსიქოლოგია, ხე-



ლოვნების ისტორია. გ. ჩუბინაშვილი პრაქტიკულად მუშაობდა ანისის გათხრებზე, მუშაობდა რუსეთისა და ევროპის მუზეუმებში.

ძველი ქართული არქიტექტურის ფართო სისტემატური კვლევა პროფ. ჩუბინაშვილმა დაიწყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მისი თაოსნობით უნივერსიტეტთან არსდება ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტი. ქართული არქიტექტურის ძეგლების შესწავლა უკვე განუწყვეტლივ დაკვირვების ქვეშე ექცევა, შეისწავლება საუკეთესო სამეცნიერო ლოკუმენტაციის თანხლებით, ე. ი. ძეგლის აზომვით, ჩახატვით, ფოტოგრაფირებით, ისტორიულ-მხატვრული ანალიზით.

პირველივე წლებიდან ქვეყნდება გიორგი ჩუბინაშვილის ნაშრომები: მცხეთის მცირე ჭვარის ეკლესიის, მანგლისის ტაძრის და სხვათა შესახებ. საუკეთესო სამეცნიერო ძალეობით

და მხატვართა მონაწილეობით მიმგზავრება ექსპედიცია დავით-გარჯაის გამოქვამულთა მონასტრების არქიტექტურისა და მხატვრობის შესასწავლად, მზადდება მონოგრაფიები, დრამა ინტერესის მქონე ისტორიული ფონის ადგილებით.

ქართული ხელოვნების შესწავლა მყარ ნიადაგზე დგება.

1926 წელს უკვე გამოდის გიორგი ჩუბინაშვილის პირველი შემაჯამებელი წიგნი ქართულ ხელოვნებაზე: „რამდენიმე თავი ქართული ხელოვნების ისტორიიდან“ და მას მოსდევს მთელი რიგი მონოგრაფიები და ნაშრომები.

1936 წელს ქვეყნდება „ქართული ხელოვნების ისტორია“, რომელიც შეიცავს ქართულ არქიტექტურულ ძეგლთა ისტორიულ-მხატვრულ ანალიზს და პერიოდიზაციას ჩვენი წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნიდან მეშვიდე საუკუნემდე. აქვე არის გარჩეული ქართული ქანდაკების ძეგლთა რიგი.

ამავს წელს ქვეყნდება გიორგი ჩუბინაშვილის და ნ. სევეროვის წიგნი „ქართული არქიტექტურის გზები“, რომელიც საქართველოს ხელოვნებათმცოდნეობის ისტორიაში გვაძლევს ქართული არქიტექტურის განვითარების პირველად სურათს მეოთხე საუკუნეიდან ახ. წ.—ჩვენს დრომდე. აქ მოცემულია ქართული არქიტექტურის განვითარების ეტაპები, შესწავლილია შესასაუკუნეთა არქიტექტურა, საერო ქართული არქიტექტურის რამდენიმე ძირითადი სახე, ხალხური საცხოვრებელი სახლები—დარბაზები, მათი ადგილობრივი ფესვების განჭვრეტით დრმა ისტორიულ წარსულში; ნაბოინა სრულიად თავისებური ქართული ნაგებობანი, მიხაზულია XIX საუკუნის სამოქალაქო არქიტექტურის თავისებურებანი, ამ დარგში მომუშავეთა წინ გადაშლილი ნათელი გზა შემდგომ ძიებათათვის. გარდა ამისა, მოცემულია ქართული არქიტექტურის შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მის შემდეგ, რაც საბჭოთა საქართველოს ხელოვნების კვლევა მტკიცე მეცნიერული ნიადაგზე დამყვინდრდა, ძველი ქართული არქიტექტურის უზარმაზარი, დროის დიდ მანძილზე გაშლილი მასალის გამოქვამა ხდება მსოფლიო ძველთა დრმა შესწავლის ფუნჯე, კვლევის მოწინავე საშუალებებით, ზუსტი მეთოდოლოგიის ნიადაგზე. არა ერთი დაუთარილებელი ძველის დათარიღება პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ მხატვრულ-სტილისტიკური ანალიზის ნიადაგზე. დადასტურდა შემდგომი ისტორიულ-პეიზაჟიკული დოკუმენტის წყალობით.

გ. ჩუბინაშვილის შრომათა წყალობით დადგინილია ძველი ქართული არქიტექტურის დამოუკიდებელი, თვითმყოფადი სახე. მის საკუთარ მონოგრაფიათა რიგს მოსდევს პროფ. გ. ჩუბინაშვილის მოწაფეთა მონოგრაფიები. მეცნიერების წინაშე გადაშლილია მრავალი ქართული ძველის სიდიადე და არჩინალობა, მრავალი ქართული ძველის მნიშვნელობა და დიდი მხატვრული ინტერესი, ქართულ ძველთა რიგი მსოფლიო პირველხარისხის ძველთა ვეერით დგება.

უდიდესი შრომაა ჩატარებული პროფ. გ. ჩუბინაშვილის მიერ ქართული ოქრომქანდაკელობის შესწავლის დარგში. მისი მუშაობის შედეგად გაირკვა ქართული ჰეროდოტო ძეგლების დიდად მნიშვნელოვანი როლი საქართველოს ხელოვნებაში, საქართველოს ერთ-ერთი პირველ ადგილთაგანი მსოფლიოში ამ ძველთა რაოდენობით, ქართული პლასტიკის ძველთა უფრო მაღალ საფეხურზე ყოფნა XI საუკუნეში დასავლეთ ევროპის პლასტიკისთან შედარებით, გაირკვა ხალხური სახელოვნობის არსებობა განვითარებულ შესასუკუნეებში. მტკიცე მეთოდოლოგიურ საფუძველზე დათარიღებული ძველთა კვლევის ნიადაგზე შესასძლებელი შეიქნა გამოთქვების მოწყობა ძველი ქართული ხელოვნების მუზეუმის შენობაში, ხოლო შემდეგ, შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებისათვის, ოქრომქანდაკე-

ლობის ძველთა გამოფენის მოწყობა საქ. სახ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ. 1941 წელს უკვე ფართო მასშტაბით მოწყობილი იყო ოქრომქანდაკელობის გამოფენა საქ. სახ. მეცნიერებათა აკადემიის მიერ. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ამ დარგის ძველთა განვითარების სურათი, დაწყებული IX საუკუნეიდან XIX საუკუნემდე ჩათვლით. ამგვარად, უზარმაზარი სამუშელო მასალა, აქამდე სრულიად დაუხარისხებელი და ქაოსურ მდგომარეობაში მყოფი, ახლა დათარიღებული სტილისტიკურად, მოწყობრ სისტემაში ჩადგა, პლასტიკური განვითარების ეტაპები ნათლად წარმოსდგა, აღინიშნა კულმინაციური პუნქტები, შესწავლილი იქნა მონოგრაფიულად ცალკეული ძველთა, გამოშენდა ძველი ქართული პლასტიკის ოსტატთა სახელები.

კვლავ ნათელი გახდა ქართული ოქრომქანდაკელობის საკუთარი სახე, მისი თავისებურება, ქართული ოქრომქანდაკელობა გამოიყო როგორც ცალკე დარგი და არა „მონასტორი ხელოვნების შტო“, დადგინილი იქნა, რომ ქართველთა ოსტატებმა პლასტიკური ძიებანი სწორედ ოქრომქანდაკელობის დარგში განახორციელეს, რადგან ქვის ქანდაკების, მოწინააღმდეგე იყო შესასუკუნეთა ქართული ეკლესია.

1930 წელს საქართველოს სსრ მთავრობამ პროფ. გ. ჩუბინაშვილს მიანდო ქართული ხელოვნების ძველთა გამოფენა დასავლეთ ევროპაში — გერმანიაში. გამოფენამ, რომელსაც თან ახლდა გ. ჩუბინაშვილის ლექციები ქართული ხელოვნების შესახებ, დიდი გამოზნაურება პოვა.

თუ ამ დროისათვის ქართული ხელოვნების განვითარების სურათი მოიცავდა არქიტექტურის, ოქრომქანდაკელობის, მხატვრობის, ნაქარგობის დარგებს, შემდგომ წლებში ამას დამატა ქართული ქვის პლასტიკის დარგი.

ნანგრევთა შორის, მიყრუებულ ადგილებში უპატრონოდ მტოვებულ გამოზნაურლებიანი ქვეყნის გადარჩენა განაღდაურებისაგან დაწყებული ძველ სახელოვნან მიღაწეობა, მაგალითად, ეკეთიმი თაყაიშვილის დროიდან. ქვანზე კეთილი არა ერთი ძველია გადარჩენილი აქამდე. იგანე ჯავახიშვილის თაოსნობით. ახლა ამ საქმეს სისტემატური ხასიათი მიეცა. პროფ. გ. ჩუბინაშვილმა მრავალ ასეთ გადარჩენულ ქვას მოუყარა თავი, მათ მიმართა ქვის პლასტიკის პირები, და 1941 წლის გამოფენაზე საქ. სახელმწ. მუზეუმში უკვე თვალსაჩინო შეიქნა ქართული ქვის პლასტიკის ძეირფასი სახე, დაწყებული V საუკუნეიდან. ასევე გაირკვა ხის მხატვრული კვეთის ძველთა სახე. ამ დარგთა განვითარების ეტაპების შესახებ გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოფენაზევე წაკითხული იყო ლექციები.

მტკიცად შემუშავებული პროგრამის მიხედვით ხელმძღვანელობის პროფ. გ. ჩუბინაშვილი ქართული ძველის მხატვრობის შესწავლას, რომლის განვითარების მთავარი ეტაპები მის მიერაა დასახული. უდიდესი ყურადღებით ეპყრობა იგი ძველი ქარ-

თული წიგნის, ძველი ქართული მინიატიურის, მხატვრული კერამიკის და მატერიალური კულტურის სხვა ძეგლი შესწავლას.

ცალკე უნდა ითქვას პროფ. გ. ჩუბინაშვილის მუშაობაზე ქართული წინაქრისტიანული ხელოვნების შესწავლის საქმეში.

1936 წელს პროფ. გ. ჩუბინაშვილი თავის „ქართული ხელოვნების ისტორიაში“ წერს, რომ: „ქრისტიანული საქართველოს ძეგლები წარმოგვიდგებიან უკვე განუწყვეტლოდ დაკავშირებულნი ევოლუციური მოძრაობის ჯაჭვით საუკუნიდან საუკუნემდე“;\* მაგრამ, რაც შეეხება ამ ხელოვნების საწყისებს, წინაქრისტიანულ ძეგლებს, — შენიშნავს იქვე იგი, — ისინი ჯერ ქრონოლოგიურად არაა გარკვეული და არც დაკავშირებულია ჩვენებდამო\*\*.

ხუთი წლის შემდეგ, 1941 წელს, ამავე წერს არქეოლოგი პროფ. ბ. კუფტინი\*\*\*.

მაგრამ თავის ამავე წიგნში, პირველად ქართულ არქეოლოგიაში და საქართველოს მატერიალური კულტურისა და ხელოვნების შესწავლის საქმეში, პროფ. გ. ჩუბინაშვილს მოცემული აქვს ლიტერატურა უძველესი, წინაქრისტიანული ეპოქის შესახებ, ეტაპების მიხედვით: მეგალითური შენობები, მეგალითური ძეგლები, პალეოლითი და ნეოლითი, ბრინჯაოსი და რკინის ხანა. ეს არის ნამდვილი ცნობარი, მასში შეგაროვილია და დაჯგუფებული ძველი ხანის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის გამოსაყენებელი ლიტერატურა. ცნობარი ახლა ამ სახით შედის ქართული ხელოვნების ისტორიისათვის სპეციალურ შრომებში, როგორც საფუძველი წინაქრისტიანული ხელოვნების შესასწავლად.

1941 წელს არქეოლოგიაში უკვე გვაქვს ცდები წინაქრისტიანული ძეგლების პერიოდიზაციისათვის.

ამ ნაშრომებს წინ უძღოდა დიდი მუშაობა: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში ჩატარებული იყო კვლევა მუზეუმში დაგროვილი არქეოლოგიური მასალის ქრონოლოგიზაციისა და სისტემატიზაციისათვის, რასაც მოჰყვა არქეოლოგიური გამოფენის მოწყობა; გაითხარა თრიალეთის ყორღანები, ჩატარდა სისტემატიური არქეოლოგიური გათხრები სამთავროში (მცხეთა) 1938 — 1941 წლებში როდესაც მკადფელო გარეკვა არქეოლოგიური ფენების თანამდევრობა ქრონოლოგიის თვალსაზრისით — დაწყებული ძირითადად, მეორე ათასწლეულით ძვ. წ. დამთავრებული მერვე საუკუნით ახ. წ. — მაშინ გარკვეული ადგილი მოეძებნა ბაიერნის მიერ სამთავროში და ყაზბეგში მონაპოვარ მასალებსაც — არქეოლოგისა და ხელოვნების ძეგლებს.

\* გ. ჩუბინაშვილი, „ქართული ხელოვნების ისტორია“, ტფილისი, 1936 წ., გვ. 6.

\*\* იქვე, გვ. 5.

\*\*\* Б. А. Купфин, Археологические раскопки в Тrialeti, თბილისი, 1941, გვ. 2, 3.

არქეოლოგიის მონაპოვართა პერიოდიზაციის შედეგად შესაძლებელი ხდება საქართველოს ქრისტიანული ხელოვნების ისტორიისადმი მიძღვნილი ნაშრომთა გამოქვეყნება.

1949 წელს გ. ჩუბინაშვილი იძლევა ნარკვევს ქართული წინაქრისტიანული არქიტექტურის შესახებ.

ქართული ოქრომქედლობის საწყისებზე მუშაობა გაწეულია გ. ჩუბინაშვილის მიერ გამოჩენილი მეცნიერის ი.ე. სმირნოვის წიგნის „ახალგორის განძი“ გამოქვეყნებით (1934 წ., თბილისი, რუსულ ენაზე). ახალგორის განძი შეიცავს მსოფლიო მნიშვნელობის ბრწყინვალე ოქრომქედლოვანი ოსტატების ნიმუშებს, დათარიღებულს ძვ. წ. VI — V საუკუნეებით. წიგნის რედაქტორი გ. ჩუბინაშვილი ფრთხილად, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალგორის განძის საგნები შესრულებულია საქართველოში, თუმცა არამთლიანად.\*

როდესაც აღმოჩნდა წალკის ყორღანების (ძვ. წ. მეორე ათასწლეული) და არმაზის (ახ. წ. პირველი საუკუნეები) ოქრომქედლობის ძვირფასი ნივთები, ეს დასკვნა დადასტურდა. გამოირკვა ოქრომქედლოვანი ხელოვნების დიდი ტრადიცია.

გარდა ამისა, არმაზის ოქროს საგნების შესწავლამ შესაძლებლობა მისცა გ. ჩუბინაშვილს დაედგინა, რომ ამ ნივთების ნაწილის სპეციფიკური პოლიტიკომა ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ოსტატოვანი ოქრომქედლობის ნივთების ანალოგიურ პოლიტიკომას. კიდევ ერთხელ დამტკიცდა ქართული წინაქრისტიანული ხელოვნების თვითმყოფადობა.

გიორგი ჩუბინაშვილი იციან საბჭოთა მოქალაქეა, მეცნიერი, რომელიც შეზხარის ახალი ქართული ხელოვნების აღორძინების საქმეს, მისი განვითარების სადარაჯოზეა, მუდმივი მებრძოლია ხელოვნებათმცოდნეობის გაყალბების წინააღმდეგ. მუდამ სიყვარულით თვალყურს ადევნებს ქართულ ხელოვნებას ახალ-ახალ თაობას, რომელთაგან არა ერთია მის მიერ აღზრდილი თბილისის სამხატვრო აკადემიის ხელმძღვანელობის დროს. გ. ჩუბინაშვილი ყოველთვის მონაწილეობს შემოქმედებით თათბირებზე, პირუთვნელი კრიტიკით და ახალგაზრდა ძალების გამხრევათ. ქართულ პრესაში იბეჭდება მისი წერილები საბჭოთა არქიტექტურის გზების, ძველი მემკვიდრეობის ათვისების, საბჭოთა ხელოვნების ოსტატების შესახებ. მისი დიდი გამოკვლევებით დაბეჭდილია ანდა დამზადებულია გამოკვლევები. მისი ხელმძღვანელობით მზადდება ქართული ხელოვნებათმცოდნეობა კადრები.

\* Я. И. Смирнов, Ахалгорийский клад, თბილისი, 1934 წ. გვ. XV.

# საქავშირო სსოფლო-სამეურნეო კომიტი

(სოფლის მეურნეობის უახლესი მანქანები)

პ. უსანიძე

... ტექნიკა არ შეიძლება ერთ ადგილზე იდებეს, ის მუდამ სრულყოფილი უნდა ხდებოდეს, რომ ძველი ტექნიკა მწყობრიდან უნდა გამოდიოდეს და იცვლებოდეს ახალი, ახალი კი — უახლესი ტექნიკით. უამისოდ არ შეიძლება წარმოვიდგინოთ ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედების წინსვლა, არ შეიძლება წარმოვიდგინოთ არც დიდი მისხვალი, არც სოფლის მეურნეობის პროდუქტების სიხვეჭე“.

ი. ბ. სტალინი

ომის შემდგომი ხუთწლეულების განმავლობაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუწყობილობი მზრუნველობის მეოხებით, საბჭოთა სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობამ, რომელიც ჩვენი სოციალისტური სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკურ საფუძველს წარმოადგენს, უდიდეს შედეგებს მიაღწია.

ასრულბდნენ რა საქავშირო კ(ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის თებერვლისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1953 წლის სექტემბრის ბლენუმების გადაწყვეტილებებსა და პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებებს, საბჭოთა მეცნიერებმა, გამოგონებლებმა და კონსტრუქტორებმა სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან თანამეგობრობით, სოფლის მეურნეობის ყველა დარგისათვის შექმნეს მთელი რიგი ახალი, საბჭოთა ორიგინალური კონსტრუქციის მანქანები და იარაღები, რომლებიც მთლიანად უბასუხებენ საბჭოთა აგრობიოლოგიური მეცნიერების მოთხოვნებს სოფლის მეურნეობის მანქანების მიმართ.


საბჭოთა სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობის მთელი ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებიც მან მოიპოვა როგორც ომის წინა პერიოდის, ისე ომის შემდგომი პერიოდის სტალინური ხუთწლეულების განმავლობაში, განსაკუთრებული მჭერმეტყველებით არის წარმოდგენილი საქავშირო სსოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

მანქანების ძირითადი ექსპონატები თავმოყრილია გამოფენის ერთ-ერთი მონუმენტური ნაკვეთის — „სოფლის მეურნეობის ექსპონატისა და ელექტროფიკაციის“ პავილიონის 11 დიდ დარბაზში, სადაც გამოფენილია სოფლის მეურნეობის 300-ზე მეტი მანქანა. გარდა ამისა, სოფლის მეურნეობის მრავალი მანქანა გამოფენილია აგრეთვე დარგობრივი პავილიონების — „მეცხოველეობა“, „მარცვალი“, „ტორფი“, „კარტოფილი და ბოსტნეული“, „მევენახეობა და მეღვინეობა“, „მებაღეობა“, „შაქრის ჭარხალი“, „სელი, კანაფი და სხვა ბოჭკო-

ვანი კულტურები“, „ზეთოვანი და ტექნიკური კულტურები“ და „სატყეო მეურნეობის“ ღია მოედნებზე და მტკის ტიპობრივ ეზოში.


გამოფენაზე ნაჩვენებ მანქანებიდან ბევრი სრულად არ მზადდებოდა სამამულო ომის წინ, ბევრი მზადდებოდა, მაგრამ ამჟამად მათი კონსტრუქცია იმდენად განახლებულია, რომ ძნელი გამოსაცნობია როგორც ვარეგანი შესახედაობით, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვითაც. იმ მანქანებს, რომლებიც სამამულო ომის წინა პერიოდში ან მეოთხე ხუთწლეულსა და მეხუთე ხუთწლეულის პირველ წლებში დაინერგა ჩვენს სოფლის მეურნეობაში, კარგად იცნობენ ჩვენი სოფლის მეურნეობის მუშაკები. ამიტომ ამ სტატიაში ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაქციოთ მხოლოდ იმ მანქანებზე, რომლებიც ამ უკანასკნელ წლებში (1953, 1954, 1955 წწ.) შევიდა ჩვენს სოფლის მეურნეობაში და სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისა და ფართო საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შეიძლება კარგად არ იყოს ცნობილი, და ისეთ მანქანებზე, რომლებმაც მხოლოდ ეს-ეს არის გაიარეს სახელმწიფო გამოცდები, მიღებულია სერიული ან მასობრივი წარმოებისათვის და ხვალ თუ ზეგ შევა ფართო ხმარებაში.

პირველ ყოვლისა მკითხველის ყურადღება გვინდა შევიჩეროთ ნიადავის დასამუშავებელ იარაღებზე. ეს იარაღებია შემდეგი:



ნახ. 1

П-5-40 მარკის ხუთტანიანი გუთანი, დანიშნულია ნიადაგის მოსახსნავად ჭარხლისა და სხვა ტექნიკური კულტურებისათვის. მისი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ თითოეული ტანის მოდების განი უდრის 40 სმ-ს, რითაც ნიადაგის მოხვნის სიღრმე მიღწეულია 35 სმ-დე და მის უკანა ტანს ნაცვლად დისკოსებისა, აქვს დანისებრი საკვეთელი. მისი მოდების განია 2 მ და საათური ნაყოფიერება 0,70 ჰ-რი. იგი გაანგარიშებულია C-80 მარკის ტრაქტორით სამუშაოდ.



ნახ. 2

ПП-40 მარკის ღრმა ხენის გუთანი (ნახ. 1) დანიშნულია ნიადაგის მოსახსნავად ხენილის სანერგისა, კენკროვანი კულტურებისა და ტყის ძირგაგებისათვის. მას აქვს კულტურული ტიპის ძირითადი ტანი, რომლის მოდების განია 40 სმ და წინასხენელი ნახევრად ხრახნული სამუშაო ზედაპირით. გუთნის როგორც ძირითად ტანს, ისე წინასხენელსაც საკვეთელი აქვს, პირველს—დანისებრი, ხოლო მეორეს—დისკოსებრი.

ამ გუთნის ძირითადი ტანის ნიადაგში ჩაღრმავების სიღრმე 45 სმ-ია, ხოლო წინასხენელისა — 13-20 სმ. მისი საათური ნაყოფიერება 0,18 ჰ-ს შეადგენს. იგი გაანგარიშებულია ДТ-54 მარკის ტრაქტორით სამუშაოდ.

П-5-35 II და П-5-35 III მარკის ყამირის გუთნები დანიშნულია ყამირი და ნახენი ნიადაგების მოსახსნავად. ამ გუთნების დამახასიათებელი თავისებურება ნორმალური და გაძლიერებული ტიპის ჩვეულებრივ (საერთო დანიშნულების) ხუთტანიან გუთნებთან შედარებით ის არის, რომ მათი ტანები ნახევრადხრახნული ტიპისა და ყველა ტანს დისკოსებრი საკვეთელი აქვს. ამასთან ერთად მათი როგორც სამუშაო, ისე დამხმარე ნაწილების ზომები ისეა გაანგარიშებული და მასალა შერჩეული (განსაკუთრებით П-5-35—III მარკის გუთნისა), რომ


გაუძლოს იმ დიდ წინააღმდეგობას, რომელიც ნიადაგებისათვის დამახასიათებელია სხვადასხვა ტიპის გუთნებში. მათ აქვთ ფარცების მისაბმელი ჯობესებული კონსტრუქციის მოდების ქურობები.

ამ გუთნების საათური ნაყოფიერება 0,63 ჰ-დე და ნიადაგის დამუშავების სიღრმე 27-სმ-დე აღწევს. მათი მუშაობა გაანგარიშებულია ДТ-54-ან C-80 მარკის ტრაქტორებში.


ПО-5-35 მარკის ხუთტანიანი საბრუნო გუთნის (ნახ. 2) დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ მას აქვს 5 მარჯვნივ და 5 მარცხნივ გადამბრუნებელი კულტურული ტიპის ტანი და შესაბამისი რაოდენობის მარჯვნივ და მარცხნივ წინასხენელები, ავტომობილის ტიპის წინაღი ჩარჩოს მოსაბრუნებელი ჰიდრავლიკური მექანიზმით და უკანა განივი ძეული თვითდამყენებელი ორი თვლით.

ეს გუთანი დანიშნულია ნიადაგის მოსახსნავად ნაზურგ-ნალარების გარეშე 27 სმ-დე სიღრმეზე და გაანგარიშებულია მუხლუხა ელექტროტრაქტორით სამუშაოდ. მისი საათური ნაყოფიერება უდრის 0,7-ჰ-რს.

ПСВ-120-50 მარკის ბალის გუთანი (ნახ. 3) დანიშნულია ნიადაგის მოსახსნავად ხილის ბალის მწკრივთშორისებსა და მწკრივში ხეებს შორის. ამ გუთნის დამახასიათებელი თავისებურება, რითაც იგი ხელსაყრელად განირჩევა ПС-3-30 მარკის ბალის გუთნისაგან, ის არის, რომ მას, გარდა წინასხენელებიანი ძირითადი 4 ტანისა (რომელთა საერთო მოდების განი 120 სმ-ია), აქვს კიდევ 2 ტანიანი მიმოძრავი სექცია (რომლის საერთო მოდების განი 50 სმ-ია) და სპეციალური ავტომატური მექანიზმი ამ სექციის სამუშაო მდგომარეობიდან გამოსართავად და სამუშაო მდგომარეობაში ჩასართავად. გუთნის მუშაობა იმაში მდგომარეობს, რომ, როდესაც ჩვეულებრივი 4 ტანი მწკრივებს შორის მიდის და იქ აწარმოებს 25 სმ-დე სიღრმეზე ნიადაგის მოხვნას, მიმოძრავი სექციის ტანები მიდის ხეების ტანებთან



ნახ. 3



ნაბ. 4

ახლო მდებარე ზოლზე ან მწკრივში ხეებს შორის და იქ აწარმოებს ნიადაგის მოხვნას 16 სმ-დე სიღრმეზე, მხოლოდ ისე კი, რომ ხის ტანებთან მიახლოვებისას გვერდზე გაშვებული ავტომატური მექანიზმის ბერკეტის ხის ტანებთან შეხებისას მიმოძრავი სექცია მარჯვნივ და ზევით იწევს, გვერდს შეუვლის ხის ტანს და როცა მას გაცდებდა, ისევ ჩაღრმავდება ნიადაგში.

ძალიან ახალგაზრდა ბაღში მუშაობის დროს ღი-მოძრავი სექციის გამორთვის აწარმოებს გუთნის დასაჯდომზე მყოფი მუშა სპეციალური ბერკეტითა და ამ ბერკეტზე გამობმული თოკის საშუალებით.

ამ გუთანს, ისევე როგორც ПС-3-30 მარკის ბაღის გუთანს, აქვს რადიალური მისამართი და ამის გამო იგი შეიძლება ტრაქტორის სივრცეში სიმეტრიის დერძიდან გვერდზე იქნეს გადაწეული 170-სმ-ზე.

იგი განაგარიშებულია КД-35 მარკის ტრაქტორით სამუშაოდ, მისი საათური ნაყოფიერება 0,4-0,5-3-ს შეადგენს.

ПР-5-35 მარკის გუთანი — გამაფხვიერებელი (ნაბ. 4) დანიშნულია ნიადაგის გასაფხვიერებლად 50 სმ-დე სიღრმეზე ბელტების გადაღებრუნებლად, კოლმეურნე მეცნიერის ტ. ს. მალცევის მეთოდით.

ამ გუთნის ჩარჩოზე, ნაცვლად გუთნის ჩვეულებრივი ტანებისა, წინასახენლებისა და დისკოსებრი საკვეთელებისა, დამაგრებულია უფრო დგარები სახნისებო, რომლებიც ბელტების უკეთ დაშლა-გაფხვიერების მიზნით უფრო ციცაბოდ არის დაყენებული, ვიდრე ჩვეულებრივი გუთნების სახნისები.

გუთნის ტანების, წინასახენლებისა და დისკოსებრი საკვეთელების დაყენების დროს იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ჩვეულებრივი გუთანი. იგი განაგარიშებულია С-80 მარკის ტრაქტორით სამუშაოდ.

КРС-5-4 მარკის მცენარის მკვებავი კულტივატორი დანიშნულია შაქრის კარხლის ნაფეხების მწკრივთშორისების დასამუშავებლად და იმავდროულად ჰექტარზე 1-დან 5 ცენტნარამდე მარცვლოვანი ან ფხვნილისებრი მინერალური სასუქის შესატანად ნიადაგში. საამისოდ მას აქვს როგორც სხვადასხვა სახის (სამარგლი და გამაფხვიერებელი) თათები მწკრივთშორისებში ნიადაგის გასაფხვიერებლად და სარეველების მოსასპობად, ისე სასუქის შესატანი მოწყობილობა სასუქის ჩასაყრელი ნ ყუთისა, ყუთებიდან სასუქის გამოსატანი აპარატებისა, სასუქის გამტარ გაორებული ნ მილისა და ევრეთწოდებული მკვებავი თათების სახით. მისი მოდელების განია 5,4 მ, ნიადაგის დამუშავების სიღრმე 4-16 სმ. იგი განაგარიშებულია ტრაქტორ КДП-35-ით ან „ბელარუსით“ სამუშაოდ.

КРН-5,4 მარკის მცენარის მკვებავი კულტივატორი დანიშნულია სათოხნი კულტურების მწკრივთშორისების დასამუშავებლად და იმავდროულად მცენარეთა დამატებით გამოსაკვებად, ანუ მწკრივთშორისებში მინერალური სასუქის შესატანად. ამ დანიშნულების შესაბამისად, ისევე როგორც КРС-5,4 მარკის კულტივატორს, მასაც აქვს სხვადასხვა სახის თათები და სასუქის შესატანი მოწყობილობა.

მისი მოდეების განია 5,4 და ნიადაგის დამუშავების სიღრმე 4-16 სმ. იგი Y-2 მარკის ტრაქტორზე საკიდებელი იარაღია.

КРН-4,2 მარკის მცენარის მკვებავი კულტივატორი დანიშნულია სიმინდისა და სხვა მაღალდროიანი სათოხნი კულტურების მწკრივთშორისების დასამუშავებლად და დამატებით გამოსაკვებად. იგი „ბელარუსზე“ ან КДП-35 მარკის ტრაქტორზე საკიდებელი იარაღია და შეუძლია უზრუნველყოს ნიადაგის დამუშავება 6 სმ-დან 16 სმ-დე სიღრმეზე და სასუქის შეტანა 25 კგ-დან 450 კგ-დე 1 ჰექტარზე. მისი მოდეების განია 4,2 მ. და საათური ნაყოფიერება შეადგენს 2,0 ჰ-ს.

3 БЗ И-1,0 მარკის თათისებრ კბილებიანი სამრგოლიანი ფარცნი დანიშნულია ნიადაგის ზედაპირის გასაფხვიერებლად და სარეველების მოსასპობად ნიადაგის მალცევის მეთოდით დამუშავების დროს. ამ იარაღით ნიადაგის დამუშავების სიღრმეა 8 სმ-დე, მისი მოდეების განია 2,9 მ, საათური ნაყოფიერება 1,0 ჰ.

3 БЗ Н-1,0 მარკის დანისებრ კბილებიანი სამრგოლიანი ფარცნი დანიშნულია ნიადაგის ზედაპირის გასაფხვიერებლად ნიადაგის მალცევის მეთოდით დამუშავების დროს. ნიადაგის დამუშავების სიღრ-

მეა მ-სმ-დე, მისი მოდების განი უდრის 2,9 მ-ს, სა-  
ათური ნაყოფიერება — 1,0 ჰ-ს.

ИД-10 მარკის დისკოებიანი საჩეჩი ძირითადად  
დანიშნულია მალცევის მეოდიით ნიადაგის დასამუ-  
შავებლად (ასაჩეჩად) 7-8 სმ სიღრმეზე და, გარდა  
ამისა, როგორც სხვა დისკოებიანი საჩეჩები, ისიც  
შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაწვევრალის ჩვეუ-  
ლებრივ (5-6 სმ) სიღრმეზე ასაჩეჩად და მიმე ნია-  
დაგების ხნულის დასაფარცხავად. მისი მოდების გა-  
ნაა 10 მ. იგი გაანგარიშებულია АСХТЗ ან ДТ-54  
მარკის ტრაქტორებით სამუშაოდ.

სათეს-სარგავი მანქანების ჯგუფიდან აღსანიშ-  
ნავია СКГК-მ მარკისა და СКГК-6А მარკის სი-  
მინდისა და მწესუმზირას კვადრატულ-ბუდობრივი  
სათესი მანქანები, რომლებიც ამ უკანასკნელ ხანს  
შეიქმნა და ჯერ კიდევ არ არიან ფართოდ გავრცე-  
ლებული.

СКГК-6 მარკის კვადრატულ-ბუდობრივი სათესი  
მანქანა გარეგანი შეხედულებით მცირედ განსხვავ-  
დება СКГ-6 მარკის სათესისაგან, მაგრამ მის კონ-  
სტრუქციაში შეტანილია რიგი ისეთი გაუმჯობესე-  
ბანი, რომლებმაც მნიშვნელოვნად აამაღლეს განახ-  
ლებული სათესი მანქანის საექსპლუატაციო მაჩვე-  
ნებლები და გააუმჯობესეს თესვის ხარისხი.

СКГК-6А მარკის სიმინდისა და მწესუმზირას  
კვადრატულ-ბუდობრივ სათეს მანქანას СКГК-6  
მარკის მანქანასთან შედარებით დამატებული აქვს  
ნიადაგში მიწერალური სასუქის შესატანი მოწყობი-  
ლობა და გარდა სიმინდის, მწესუმზირას, აბუსალა-  
თინისა და ზოგიერთ სხვა სათოხნ კულტურათა კვა-  
დრატულ-ბუდობრივად დათესვისა, შეუძლია თეს-  
ვის დროს მიწერალური სასუქიც შეიტანოს ნიადაგ-  
ში.

ამ მანქანის მოდების განი, ისევე როგორც  
СКГ-6 და СКГК-6 მარკის სათესებისა იმისდა მსგავსი  
ხედვით, რომელ კულტურას თესვას და როგორი სი-  
ღიდის მწყობრით მორიხებეთ, შეიძლება იყოს 3,6 მ,  
3,9 მ ან 4,2 მ. სიგრძე იმ საზომი მავთულისა, რომ-  
ლის საშუალებითაც იგი აწარმოებს კვადრატულ-  
ბუდობრივ თესვას, უდრის 600 მ. მისი საათური ნა-  
ყოფიერება შეადგენს 1,3 ჰ-ს. იგი გაანგარიშებულია  
ტრაქტორ „ბელარუსის“ ან У-2 მარკის ტრაქტო-  
რით სამუშაოდ.

სასუქის შესატანი მანქანების ჯგუფიდან გამო-  
ყენაზე დემონსტრირებულია ისეთი უახლესი მანქა-  
ნები, როგორიცაა HT-1 და HT-2 მარკის ნაკელის  
მოსაფანტავი მანქანები, ТУР-7 მარკის სასუქის  
მოსაფანტავი უნივერსალური მანქანა და АНХ-2  
მარკის ავტოწიწფუხმოსასხმელი.

HT-1 და HT-2 მარკის ნაკელის მოსაფანტავი  
მანქანები დანიშნულია ნაკელის, კომპოსტის ან  
ტორფის მოსაფანტავად ნიადაგის ზედაპირზე. ისინი  
წარმოადგენენ საზოგადო და თავიანთი დანიშნულე-  
ბის შესასრულებლად მათ ძარას ფსკერზე დაყენე-  
ბულია ჯაჭვურ-თამასებიანი ტრანსპორტიორი, ხო-  
ლო ძარის უკანა ნაწილში — გამფანტეელი აპარა-  
ტი, რომელიც შედგება კბილებიანი ორი დოლისა  
და შვეისაგან. ამ მანქანების დასახლებული სამუ-  
შაო ორგანოები მოძრაობაში მოდის მათი სასვლელი  
თვლებისაგან.

HT-1-ის ტიპით მოიპოვება 1 ტონაა, ხოლო HT-  
2-ისა კი — 2 ტონა. პირველის მუშაობა ხვთვლისწი-  
ნებულია ХТЗ-7 მარკის ტრაქტორით, ხოლო მეო-  
რესი — ტრაქტორ „უნივერსალით“ ან СХТЗ მარ-  
კის ტრაქტორით.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

## საბჭოთა ბუნების ძილვენი

### ახალი ავტომობილი

მოსკოვის ქუჩებზე შეიძლება დაინახოთ ორად-  
გილიანი ჩქარული ავტომობილი, დამზადებული  
სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანაში.  
ეს პირველი საცდელი მანქანაა, რომლის ძარა პლას-  
ტმასიდანაა დამზადებული. პლასტმასების გამოყენე-  
ნება მნიშვნელოვნად ამსუბუქებს ნაწარმის წონას,  
მაგრამ ნაკლებმნიშვნელოვანი დეტალების შეცვლა  
პლასტიკური მასებისაგან დამზადებული დეტალები-  
თი ავტომობილის საერთო წონაზე სრულებით არ  
ახდენდა გავლენას. ავტომობილის მთელი ძარის  
დამზადებამ პლასტმასიდან კი მკვეთრად შეამცირა  
ავტომობილის წონა.

საცდელი ავტომობილის ძარისათვის გამოყენე-

ბულ იქნა პლასტიკური მასების ახალი სახეობა —  
მინაპლასტიკი. მინაპლასტიკის ძირითადი კომპონენ-  
ტებია — მინის ბოჭკო და ხელოვნური ფისი.

წინასწარ ჩისაგან ან ლითონის ფურცლებიდან  
დაამზადეს ნატურალური სიდიდის ძარას მოდელი.  
მასზე მოათავსეს მინის ბოჭკოს სქელი ფენა, გაუ-  
ლენითლია ფისით. შემდეგ ნამზადი მჭიდროდ იხუ-  
რებოდა რეზინის ტომრით და თავსდებადა სით-  
ბურ კამერაში, სადაც ძარის ფორმირება გადიდე-  
ბულ ტემპერატურაზე და ვაკუუმში წარმოებდა.  
იმის შემდეგ, რაც მინის ბოჭკო გამოყარდა, ნამზადი  
გათავისუფლეს რეზინის გარისაგან და ავტომო-  
ბილის მზა ძარა მოხსნეს ფორმისაგან. ეს ძარა მე-  
ტალურ ძარაზე 5-6-ჯერ უფრო მსუბუქია და მისი  
მექანიკური სიმკვიდრე არ ჩამოუვარდება ფო-  
ლადს.



# ატომური ენერჯია ექვილოზიანი მიზნებისათვის

მოსკოვში გამოცემლობამ „მოსკოვსკი რაზოი“ ახლახან გამოსცა ინჟინერ ა. ბუიანოვის შრომა „ატომური ენერჯია“\* რომელშიც ბევრი საინტერესო მასალა მოყვანილი ატომური ენერჯიის მშვიდობიანი გამოყენების შესახებ. ზოგიერთ მათგანს ვაცნობთ ჩვენს მკითხველებს:

## ატომური საუკუნე

გასული საუკუნის მცხოვრებლისათვის ძნელი წარმოსადგენია, რომ ჩვენ, სახლში მჯდომთ, შეგვიძლია ეკრანებზე დავიხანოთ ამბები, რომლებიც შორ მანძილზე ხდება, რომ ჩვენ შევძლებთ განახორციელოთ საუბარი უსადენებოდ დედამიწის უკიდურეს წერტილებს შორის.

და ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენია, თუ რას მოგვიტანს ატომური ენერჯია ახლო მომავალში. მაგრამ, რომ იგი ძლიერ ბევრ რამეს გვპირდება მეცნიერებისათვის, ტექნიკისათვის, პროგრესისათვის — ეს აბსოლუტურად უდავოა. ამგვარ შემთხვევებში გვეხმარება ოცნება.

ვიოცნებოთ ჩვენც თქვენთან ერთად!

დაუწყვათ, რომ გავიდა მეცნიერთა და ინჟინერთა მედგარი მუშაობის რამდენიმე წელი. ბევრი ქარხანა და ფაბრიკა ელექტრულ დენს მიიღებს არა ელექტრული სადგურებიდან, არამედ ატომური სადგურებიდან. გემებს გარდაარქმევენ ატომმაგლებს ან რაიმე სხვანაირად. ყინულმტრელთა როლს შეასრულებენ პატარა ატომური დანადგარები ხომალდებზე. ამ დანადგარების საშუალებით ყინული „დაიწვება“ ყინულში მიმავალი ხომალდის ცხვირის წინ...

როგორ მოხდება ეს?

წარმოვიდგინოთ, რომ ატომური ენერჯიის საშუალებით ჩვენ ვათბობთ წყლის რაღაც რაოდენობას 3092 გრადუს ტემპერატურაზე უფრო მაღლა. ცხელი წყალი ამ დროს დაიშლება წყალბადისა და ჟანგბადის ატომებად. თუ ამის შემდეგ წყალბადს გადავაქცევთ ჰელიუმად, ამ დროს გამოიყოფა 10-ჯერ მეტი ენერჯია, ვიდრე დაიხარჯა. ყინულის ასე „დაწვით“ შეიძლება ხომალდების ქარავანი გავატაროთ ყოველგვარ ყინულოვან გარემოში. ჩვენ გავხედებით მოწამე იმისა, რომ ორთქლმაგალს, მაგალი-

თად, შეუგუებენ ატომური ენერჯიით მოძრაობას. მასზე უბრალოდ დადგამენ ატომურ ძრავს. ასეთი ორთქლმაგალი სათბობით და წყლით დამატებით შეუვსებლად წაიყვანს მატარებელს მსოფლიოს ყველაზე გრძელი მაგისტრალით — მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდე...

ასე შეიძლება ვიოცნებოთ უსაზღვროდ. მაგრამ ამოცანა მარტო ამაში როდია. უნდა ვიოცნებოთ ისე, რომ ფანტასტიკურ მომავალში ვხედავდეთ რეალურის მარცვლებს, იმის ანარეკლს, რაც ჩანასხულია ამჟამად.

## ატომური ენერჯეტიკის ერის დასაწყისი

1954 წლის 27 ივნისს სსრ კავშირში ამუშავებულ იქნა ატომური ენერჯიით მომუშავე მსოფლიოში პირველი სამრეწველო ელექტროსადგური.

5000 კილოვატი სიმძლავრის ეს ელექტროსადგური ელექტრულ დენს აწვდის მრეწველობასა და მიმდებარე რაიონების სოფლის მეურნეობას.

ატომური ელექტროსადგურის ამუშავებით რეალური ნაბიჯი გადაიდგა ატომური ენერჯიის მშვიდობიანი გამოყენების გზაზე. ასე დაიწყო ახალი ერა, ატომური ენერჯეტიკის ერა.

საბჭოთა მეცნიერები და ინჟინერები მუშაობას აწარმოებენ ატომური ენერჯიით მომუშავე სამრეწველო ელექტროსადგურების შესაქმნელად 100 ათასი კილოვატი სიმძლავრით. ასეთი სადგური დღე-ღამეში დახარჯავს 1 კილოგრამამდე ბირთვულ საწვავს. ჩვეულებრივი საწვავით მომუშავე ასეთივე სიმძლავრის ელექტროსადგური კი ყოველდღიურად დახარჯავს რამდენიმე ათას ტონა ქვანახშირს...

სითბური ენერჯია — ატომური ენერჯიის ძირითადი ნაწილია. ამით ხელმძღვანელობენ მისი გამოყენებისას.

ძირითად დანადგარს ატომურ ენერჯეტიკულ სადგურში წარმოადგენს ატომური ქვაბი ანუ, უფრო ზუსტად, ბირთვული რეაქტორი. სათბობს ასეთ ქვაბში წარმოადგენს ურანი. ამ სათბობის დაწვა და თვით ქვაბები, რომლებშიც ხდება წვა, უჩვეულოა. თვით ატომურ ქვაბს აკეთებენ არა რკინისაგან, არამედ გრაფიტისაგან...

ატომური ქვაბის საცეცხლემი თქვენ ვერ დაინახავთ ალს, სითბო ურანის სათბობიდან გამოიყოფა უალოდ.

\* ა. ბუიანოვის ამ წიგნს ქართულ ენაზე უშეგებს გამოცემლობა „ტექნიკა და შრომა“.

## რადიოაქტიური ნარჩენები

ერთი ტონა გაუხეხველი ურანის დაწვა ძალურ სადგურში იძლევა 6 მილიარდამდე კილოვატ-საათ ელექტრულ ენერჯიას... „ნამწვიდან“ გამოიყოფა პლუტონიუმი, რაც საკმაოა რამდენიმედ ნაწლები ენერჯის მისაღებად რომელიმე სხვა ადგილას. გარდა ამისა, ნარჩენების სახით მიიღება აგრეთვე ერთ ტონამდე ახალი რადიოაქტიური ნივთიერებანი.

ამ რადიოაქტიური ნივთიერებებით ამკამად ფართოდ სარგებლობენ სახალხო მურნეობის სხვადასხვა დარგში. რადიოაქტიური გამოიყენება გამოიყენება საკვები პროდუქტების სტერილიზაციისათვის. კაუჩუკის ნაწარმები მოსხივების შემდეგ ცეცხლ-გამძლე ხდება, აირი ეთილენი მოსხივების შემდეგ გარდაქმნება ძვირფას პლასტიკურ მასად, რადიოაქტიური გამოსხივებანი გამოიყენება კიბოს, მკერდუბი სირსველის, მჭამელას სამკურნალოდ.

ჩვენს ქვეყანაში მეცნიერების მიღწევები ადამიანის სამსახურშია ჩაყენებული...

სულ სხვანაირად ცდილობენ გამოიყენონ მეცნიერთა მიღწევები კაბიტალისტურმა მონოპოლიებმა, რომლებსათვისაც მეცნიერული მიღწევა, — ეს არის საშუალება მოგების მოპოვებისათვის.

საბრძოლველად დოკუმენტს ამერიკელი მეატომებისათვის წარმოადგენს, მაკალიად, მეცნიერულ-ბოჰულარულ ჟურნალში „ბოჰულარ საიენს“ გამოქვეყნებული სტატია. იქ ნათქვამი იყო, რომ აშშ ქარხნებში, რომლებიც ატომურ საშუალებებს ამზადებენ, რადიოაქტიური იოდი უნიზოდ მიღის საკვამდე მიღებში. ამავე დროს ებოზოთი დავაღებულის მკურნალობა ამ პრეპარატით 10 ათასი დოლარი ჯდება. ცხადია, ასეთი პრეპარატის შექმნა მეტად მდიდარ ადამიანებს უშუქლია...

## ბირთვული ელექტროცენტრალები

იმ დროს, როცა ერთი სპეციალისტები მუშაობენ ბირთვული ენერჯის არსებული ტექნიკური საშუალებებისადმი შეგუებაზე, სხვები მუშაობენ ბირთვული ენერჯის სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის უშუალოდ გამოყენებაზე. ახალი გამოყენების საშუალებები ახლა აქვს, როგორც ერთს, ისე მეორეს. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ ატომურ ცენტრალებს სულ სხვა შესახებლობა ექნებათ, ვიდრე ახლა.

ატომური ენერჯია შეიძლება ერთბაშად და უშუალოდ გადაეცეოდ სახობად (ქვაბი, რაკეტა) ან ელექტრულ დენად.

სათბობის წვა—ეს ქაოსურად მიმდინარე ქიმიური რეაქციაა. მაგრამ რამდენადაც უწყისიყო პროცესი საბოლოო შედეგად იძლევა გამოყენებისათვის სასარგებლო ტემპერატურას, ამ პროცესის ენერჯია შედარებით ადვილია გაიძულოთ შესარულოს სხვადასხვა საშუალო.

ატომური სათბობის აფეთქებაც — ქაოსურად მიმდინარე ქიმიური რეაქციაა.

ატომური სათბობის აფეთქებით შეიძლება მივიღოთ მილიონი გრადუსი ტემპერატურები, ე. ი. ისეთები, რომელთა გამოყენება არსებულ ტემპერატურებში და ძრავებში პირდაპირ უშუალებელია, ვინაიდან ლითონი ასეთი ტემპერატურების დროს ორთქლდება. მაგრამ, თურმე ატომური საწვავის აფეთქების რეაქციაც შეიძლება გამოიყენოთ ელექტრული ენერჯის მისაღებად. შეიძლება მივაღწიოთ ატომური სათბობის „წვის“ პროცესის ისეთ რეგულბას, რომლის დროსაც ხერხდება საჭირო ტემპერატურის მიღება არსებული დანადგარებისათვის. მაგრამ ბირთვული ენერჯია უშუალოდაც შეიძლება გარდაქმნა ელექტრულ ენერჯად. ამისათვის საჭიროა მივაღწიოთ იმას, რომ რაიმე ბირთვული რეაქციის დროს უმთავრესი გამოიყენება იყოს ბეტა გამოიყენება, ე. ი. ელექტრონთა ნაკადი.

ბირთვული რეაქციის მთელი ენერჯია რომ ელექტრონების ნაკადად გარდაიქმნას, ეს იქნებოდა ატომური ენერჯის ელექტრულ ენერჯად გარდაქმნა.

ხელოვნური გზით ახლა ლეზულობენ სტრონციუმის რადიოაქტიურ იზოტოპს — სტრონციუმ 90-ს. თუ სტრონციუმში 90 გაჭუჭყიანებული არ არის მინარევებით, იგი იძლევა სუფთა ბეტა-გამოსხივებას...

ამგვარად, უკვე ახლა ხერხდება ელექტრული დენის მიღება, მართალია, უნიშვნელო სიმძლავრისა. სტრონციუმის ატომური ზატარისი მუშაობა განმეორებით დაემუშავებოდა განუწყვეტლივ გრძელდება 25 წელიწადს.

ელექტრონების მძლავრ ნაკადს იძლევა კიდევ გერმანიუმის იზოტოპი, აგრეთვე სხვა ქიმიური ელემენტების იზოტოპები.

## „ნიმანდელული“ ატომები

100 ათასი კილოვატი სიმძლავრის ატომურ ენერჯეტულ სადგურში, მისი ერთი წლის მუშაობის განმავლობაში, ნარჩენებში გროვდება 1000 კილოგრამამდე რადიოაქტიური პროდუქტები. ურანის დაშლის რადიოაქტიურ პროდუქტებს შორის პლუტონიუმის წარმოების დროს გროვდება ელემენტთა 200-დე რადიოიზოტოპი.

რადიოაქტიური ატომების გამოიყენების ენერჯია მერყეობს რამდენიმე ათასიდან რამდენიმე მილიონ ელექტრონ-ვოლტამდე. ამგვარად მათ თუ იმ კვლევისათვის შეიძლება შევარჩიოთ რადიოაქტიური ატომები, რომლებსაც საჭირო ენერჯია აქვს და სიციცხლის აუცილებელი ხანგრძლიობაც...

მეტად სუსტ გამოიყენება ადამიანებზე იხმარება განსაკუთრებული მთვლელები, რომლებიც დამუხტული ნაწილაკი, რომელიც რადიოაქტიური ატომისაგან მოძრაობს, იწვევს დენის ხანმოკლე იმპულსის წარმოქმნას. ეს დენი გაძლიერების შემდეგ შეიძლება აღმოჩენილი იყოს როგორც ბევრთი სიგნალი ან რეგისტრირებულ იქნეს მთვლელი ხელსაწყო სუპერატორით... ამ მთვლელების მგრძნობიარო-



## სამკურნალო ატომები

„ნიშანდებულმა“ ატომებმა დახმარება გაუწიეს კუნთებში ფოსფორის ნაერთების ქიმიური გარდაქმნის პროცესის გაძლიერებას, რამაც ნათელი მოპოვინა კავთარის კუნთებში ქიმიურ პროცესებსა და მუშაობას შორის, რასაც ისინი ასრულებენ. ახსნილია ორგანიზმში ქონის წარმოქმნის პროცესი.

„ნიშანდებული“ ატომები არა მარტო სივანლს იძლევიან თავიანთი გამოსხივებით, არამედ საშუალებასაც იძლევიან, რომ ამ გამოსხივების ენერგია გამოყენებულ იქნეს, მაგალითად, ავთვისებიანი სიმსივნეების სამკურნალო გამამა-სხივებით.

არის ბევრი სამედიცინო აპარატი, რომლებშიც ახლა გამოყენებას პოლიობს რადიაქტიური კობალტი. ამ აპარატების საშუალებით ექიმები კურნავენ ზოგიერთ სახის ავთვისებიან სიმსივნეებს. წინათ ბრძოლა კიბოს სიმსივნეებთან წარმოებდა რენტგენული სხივების ან რადიუმის სხივების საშუალებით. ახლა საბჭოთა ექიმებს კობალტის რადიაქტიური სხივების საშუალებით თავის დროზე შეუძლიათ დამოაჩინონ ავთვისებიანი სიმსივნე და სამკურნალოდ გამოიყენონ ახალი ეფექტური საშუალებანი.

## ბირთვული ქიმია

მსგავსად იმისა, როგორც ქიმიკოსები ერთ ნივთიერებას მეორე ნივთიერებად გარდაქმნიან, ფიზიკოსები ახლა ახორციელებენ ატომებად სხვადასხვაგვარ გარდაქმნას.

გაზ აზოტს, მაგალითად, გარდაქმნიან ნახშირბადად, ნახშირბადას — მეტალ ბერილიუმის ატომებად. სხვა მეტალის, ალუმინის ატომები, შეიძლება სურვილისამებრ გარდაქმნას ფოსფორად, მაგნიუმად ან სილიციუმად, სილიციუმი თავის მხრივ შეიძლება გარდაიქმნას ალუმინად. მეტალ ლითიუმის ერთი ატომიდან ადვილად შეიძლება იქნეს მიღებული ორი ატომი აირადი ნივთიერება ჰელიუმი. ბორის ატომებს გარდაქმნიან აზოტის ატომებად, აზოტი კი შეიძლება გარდაიქმნას ჟანგბადად. ამჟამად მეტალურ კალიუმს გარდაქმნიან აირად არგონად, გალიუმს — მეტალურ თუთიად, იოდს — ქსენონად, ბრიუმს — კრიპტონად, ფოსფორს — სილიციუმად, ცეზიუმს — ბარიუმად, ბარიუმს — ლანთანად, ლანთანს — ცერიუმად, რუბიდიუმს — სტრონციუმად, სტრონციუმს — იტრიუმად, იტრიუმს — ცირკონიუმად და სხვ.

ის, რაც ოდესღაც ალქიმიკოსების ოცნება იყო, რეალობად იქცა ჩვენს დროში. მხოლოდ თანამედროვე მეცნიერები ბირთვულ რეაქციებში ოქროს კი არ ეძებენ, არამედ რაღაც უფრო ძვირფასს.

## რეაქტორი — ძრავები

ბირთვულ რეაქტორს შეუძლია გამოიყოს სითბოს მნიშვნელოვანი რაოდენობა, — ყველაფერი დამოკიდებულია მისი მუშაობის რეგულებაზე, მაგრამ საჭიროა არა მარტო სითბოს მიღება, არამედ მისი

გამოყენაც რეაქტორიდან იმისათვის, რომ იკაოროთქალ იქნეს გამოყენებული. ამისათვის სითბო უნდა გადაეცეს გამავალი ული სითხის ნაკადს ან გაზს...

## ხომალდები ატომური ძრავით

დიდ საოკეანო გემებზე, შესაძლოა, უფრო ჩქარა, ვიდრე რაიმე სხვა სატრანსპორტო საშუალებებზე, დაიდგება ატომური ძრავები...

საოკეანო გემს, რომელზედაც ატომური ძრავა დადგმული, შეუძლია ნავსადგურებში შეუსვლელად შესასრულოს დედამიწის გარშემო მოგზაურობა ბირთვული საწვავის მცირე მარაგით.

კიდევ უფრო ხელსაყრელია ბირთვული რეაქტორების დადება წყალქვეშა ნავებზე...

ჩვენს დრომდე ტექნიკა არ იცნობდა ძრავებს, რომელთაც შეეძლოთ მუშაობა წყალზედაც და წყალქვეშაც. ამიტომ წყალქვეშა ნავისათვის აუცილებელია ძრავების ორი დამოუკიდებელი სისტემა (დირექტორი და ელექტრომობილური რეაქტორები).

## ატომური თვითმფრინავი

ნ. „მეცნიერება და ტექნიკა“ № 11.

## ატომური ენერგია შრომის დამხმარეა

ატომური ენერგიის საშუალებით შეიძლება ბუნების გარდაქმნა, მოსავლიანობის გადიდება, წარმოების განუწყვეტლოვ სრულყოფა უმაღლესი ტექნიკის ზაზაზე, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების უფრო უწყეთსად, უფრო ლამაზად გახდა.

ატომური ენერგიის ელექტრული ენერგიად გადაყვანა ხელს შეუწყობს სამრეწველო წარმოების მძლავრ განვითარებას, განსაკუთრებით კი მისი იწდარგებისას, როგორცაა ალუმინის, ფერო-შენადნობების, სასუქების, ქიმიური და სხვა პროდუქტების მიღება, რომლებიც ელექტრობის დიდ რაოდენობას მოითხოვენ.

ატომური ენერგიიდან შეიძლება მივიღოთ დიდი რაოდენობა სითბური ენერგიისა მრეწველობის ისეთი დარგებისათვის, როგორცაა მეტალურგიული, მინისა, კერამიკული, ქაღალდისა და სხვ. ატომური ენერგეტიკული დანადგარის სითბო საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ ქალაქებისა და სოფლების თბოფიკაცია დიდ სივრცეებზე ენერგოკომბინატის გარეშე...

სუფთა სახით პლუტონიუმი, ურან-235 ან ურან-233 შეიძლება გამოყენებულ იქნეს „ატომური დინამიტის“ სახით მთის მასივების ასაფეთქებლად, დიდი წყალსატევების ამოსაშრობად.

ატომური ენერგიის საშუალებით შეიძლება დავანეროთ მთები, შეიქმნას ხელოვნური ზღვები, გადავინოთ არქტიკული ყინულები, დაავრიბოთ ჰავა და შევცვალოთ დიდი რაიონების სახე.

საბოლოოს ქიმიური ენერგიის გამოყენებით ადამიანმა საფუძველი ჩაუყარა ტექნიკის ახალ განვითარებას...

# სახალხო ეკონომიკის ქუყნების ინფრასტრუქტურის

საქართველო  
სსრკ



## გულგანთი

ბ. სანიძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდში, მიუხედავად მრეწველობის ზოგიერთი დარგის ერთგვარი განვითარებისა, ბულგარეთი ძირითადად სასოფლო-სამეურნეო ქვეყანას წარმოადგენდა. 1934 წელს მრეწველობაში მშრომელი მოსახლეობის დაახლოებით მ პროცენტი იყო ჩაბმული, ხოლო სოფლის მეურნეობაში — 80 პროცენტი, ანუ ათჯერ უფრო მეტი. 1939 წელს მრეწველობა სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის მხოლოდ 27 პროცენტს იძლეოდა, ამავე დროს მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგები სრულებით არ იყო წარმოდგენილი.

ოკუპაციის წლებში (1940 — 1944 წწ.) ბულგარეთის სახალხო მეურნეობა დაეცა. მთელი დატვირთვით სამრეწველო ობიექტების მხოლოდ ის ნაწილი მუშაობდა, რომელიც უშუალოდ ომის ინტერესებს ემსახურებოდა. სხვა სამრეწველო საწარმოთა უმეტესობა, მუშახელისა და ნედლი მასალის ნაკლებობის გამო, მხოლოდ ნაწილობრივ იყო დატვირთული. რიგი საწარმოები მთლიანად დაიკეტა. სახალხო რევოლუციის გამარჯვების წინა პერიოდში მრეწველობის საერთო პროდუქცია 1939 წლის დონესთან შედარებით ერთი მესამედით შემცირდა. ტრანსპორტი მოშლილი იყო, სათბობი და ელექტროენერჯია არ კმაროდა, სასოფლო-სამეურნეო წარმოება ომამდელი პროდუქციის მხოლოდ ორ მესამედს იძლეოდა.

ზეითი სათურზე—წყალსაცავი პროსიცა

ქვეყნის განთავისუფლების შემდეგ (1944 წ. სექტემბერი) ახალმა სახალხო-დემოკრატიულმა მთავრობამ ენერჯიული ღონისძიებები გაატარა და ცემული ეკონომიური მდგომარეობის გამოსასწორებლად, ქვეყნის ასაღორძინებლად. ლიკვიდირებულ იქნა კერძო მონოპოლიები და ტრესტები, გატარდა სამხედრო მოღალატეთა საწარმოების კონფისკაცია, საქონლის წარმოებასა და განაწილებაზე სახელმწიფო და მუშათა კონტროლი დაწესდა, მიღებულ იქნა კანონი აგრარული რეფორმის შესახებ, გატარდა ფულის რეფორმა.

ბულგარელი ხალხის თავდადებული შრომისა და საბჭოთა კავშირის ძმური დახმარების შედეგად, სამრეწველო წარმოების ომამდე არსებული დონე უკვე 1946 წელს იქნა მიღწეული. მრეწველობის შემდგომი განვითარებისა და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ნაციონალიზაციას, რომელიც 1947 წლის ბოლოს განხორციელდა.

1947 წლიდან ბულგარეთის სახალხო მეურნეობა გეგმიანი განვითარების რელსებზე გადავიდა. ორწლიანი (1947 — 1948 წწ.) გეგმის ძირითად ამოცანად დასახულ იქნა სამეურნეო სიძენელების გადალახვა, სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ძირითადი დარგების აღდგენა და შემდგომი განვითარება.

დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებამ თვალნათლივ ცხადყო გეგმიანი მეურნეობის უპირატესობანი უგეგმო კაპიტალისტურ ეკონომი-


კასთან შედარებით, ხელი შეუწყო სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებას ბულგარეთში და სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციაზე გადასვლის წინაპირობები შექმნა.

ბულგარეთის სახალხო მთავრობის მიერ შემუშავებულ იქნა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი (1949 — 1953) გეგმა, რომელიც პარტიის V ყრილობამ განიხილა და დიდმა სახალხო კრებამ 1948 წლის დეკემბერში დაამტკიცა. გეგმის ძირითად ეკონომიურ და პოლიტიკურ ამოცანას ბულგარეთში სოციალიზმის საფუძვლების მშენებლობა წარმოადგენდა, რაც ემყარებოდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და ელექტროფიკაციას, სოფლის მეურნეობის მექანიზაციას და კოოპერაციას, კაპიტალისტური ელემენტების შეზღუდვასა და ლიკვიდაციას.


პირველი ხუთწლიანი გეგმა, მშრომელი მასების თავდადებული მუშაობის შედეგად, ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით ოთხ წელიწადში შესრულდა. მთავარი ეკონომიური ამოცანა წარმატებით იქნა გადაჭრილი. ჩამორჩენილი, აგრარული ბულგარეთი ინდუსტრიულ-აგრარულ ქვეყნად გადაიქცა. ხუთწლიანი განმავლობაში მოქმედ საწარმოთა მწყობრში 700-ზე მეტი ახლადგებული და რეკონსტრუირებული სამრეწველო ობიექტი ჩაღდა. 1953 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცუ-

ლობამ ომამდელ დონეს 4,7-ჯერ გადააჭარბა. მიმე მრეწველობა ფაქტიურად ახლად შეიქმნა. ქვეყნული წყობილებისაგან დატოვებული მემკვიდრეობა, მისი მეტისმეტი ჩამორჩენილობის გამო, სოციალისტურ რეკონსტრუქციის საფუძვლად ვერ გამოდგებოდა. ხუთწლიანი ბოლოს წარმოების საშუალებათა წარმოება ომამდელ დონეს თითქმის ცხრაჯერ აღემატებოდა. ამ ჯგუფის საწარმოთა ზვედრითი წონა მრეწველობის საერთო პროდუქტაში 1939 წლის 23 პროცენტიდან 1953 წელს 40,6 პროცენტამდე გაიზარდა. საბჭოთა კავშირის დახმარებით ბულგარეთში შეიქმნა მიმე მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, როგორცაა მეტალურგიული მრეწველობა, ელექტრომრეწველობა, გემთმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, ცელულოზის წარმოება და სხვ. მეტად სწრაფი ტემპით ვითარდებოდა მიმე მრეწველობის გული — მანქანათმშენებლობა. ხუთწლიანი განმავლობაში ათობით ახალი ტიპის მანქანისა და დაზვის გამოშვება დაიწყო.

დიდ წარმატებებს მიაღწია სათბობის მომპოვებელმა მრეწველობამ. 1952 წლისათვის, 1948 წლის დონესთან შედარებით, თითქმის ორჯერ გაიზარდა ქვანახშირის ამოღება, რისთვისაც აშენდა შახტები, დაიწყო ახალი აუზების ექსპლოატაცია. ქვანახშირის მრეწველობა უახლესი საბჭოთა ტექნიკით იქნა აღჭურვლილი. სიძიებო-გეოლოგიურ სამუშაო-



ბულგარეთის სამრეწველო ცენტრები



წყალსაცავ სტუდენას კაშხალი და წყალსაწვევო კოშკი

ების ფართო მასშტაბებით ჩატარების შედეგად ნავთობის, ქვანახშირის, ლიგნიტისა და სხვა სასარგებლო წარმოების მნიშვნელოვანი საბადოები იქნა აღმოჩენილი. სამთამადნო მრეწველობის ძირეულმა რეკონსტრუქციამ და გაფართოებამ რკინის, ტყვიის, სპილენძის, მარგანცისა და სხვა მადნების ამოღების საგრძნობი ზრდა გამოიწვია.

სოციალისტური საზოგადოების აშენების ერთ-ერთ ძირითად პირობას, როგორც ცნობილია, ქვეყნის ელექტროფიკაცია წარმოადგენს, ამიტომ ექცევა ასეთი დიდი ყურადღება ბულგარეთში და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებში ელექტროსადგურების მშენებლობის საქმეს. ელექტროსადგურების ბაზუ ბულგარეთში ხორციელდება ძირითადი საწარმო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მნიშვნელოვანად იზრდება შრომის ნაყოფიერება და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობები.

პირველი ხუთწლეულის განმავლობაში მრეწველობის ენერგეტიკული ბაზის გაფართოების საქმეში დიდი ნახტომი იქნა გაკეთებული. იზოლირებული ელექტროსადგურები ერთ მძლავრ ენერგეტიკულ სისტემად გაერთიანდა. ელექტროენერჯის საერთო გამოშვება 280 პროცენტით გაიზარდა და 1953 წლისათვის 1,6 მილიარდ კილოვატსათვის მიიღწია, რაც 5,8-ჯერ აღემატება მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე არსებულ დონეს.

ცალკეული მძლავრი სამრეწველო ობიექტების მშენებლობასთან ერთად პირველი ხუთწლეულის განმავლობაში წარმოიშვა მთელი რიგი ახალი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები, რომლებმაც ძირეულად შესცვალეს ქვეყნის ეკონომიკა. ასეთი ახალი ცენტრებია დიმიტროვგრადი, მადანი, კიდრჟალი, ბურგასის სპილენძის რაიონი.

ხუთწლეულის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას საკუთარი მეტალურგიის შექმნა წარმოადგენდა. 1951 წლის სექტემბერში გ. ჩერენკოვმა განაცხადა, რომ „ჩვენ დიდ ღონისძიებებს ვხედავთ, რათა შევქმნათ და ახლო მომავალში, საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით, მართლაც შევქმნით ჩვენ საკუთარ ბულგარულ მეტალურგიას და გვექმნება თუჯის, ფოლადის, ტყვიისა და სხვა შავი და ფერადი ლითონების, საკუთარი ბულგარული წარმოება, რომელიც შესძლებს დააკმაყოფილოს ჩვენი მოთხოვნები“. ხუთწლეულის განმავლობაში ბულგარეთში რამდენიმე მძლავრი მეტალურგიული ობიექტი აშენდა, დიდად გაიზარდა სამთამადნო მრეწველობა, რკინის, სპილენძის, ტყვიისა და სხვა ლითონების მოპოვება.

ოვლესდა მითოვებული, ეკონომიურად ჩამორჩენილი როდობის მხარე, პირველი ხუთწლეულის განმავლობაში, გადაიქცა მზარდ სამრეწველო რაიონად, ბულგარეთის ფერადი მეტალურგიის ძირითად ბაზად. 1953 წლის ბოლოს მწყობრში ჩადა გ. ი. ლენინის სახელობის მეტალურგიული ქარხანა, რომელიც აღჭურვილია საბჭოთა კავშირში დამუშავებული მოწყობილობით. ქარხანაში წარმოების თითქმის ყველა პროცესი მექანიზებული და ავტომატიზებულია. ახალი მეტალურგიული გიგანტის ამუშავებით ფოლადისა და ნაგლის წარმოება ბულგარეთში 10-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

პირველი ხუთწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მანქანათმშენებლობის დარგში, რომელიც ქვეყნის განთავისუფლებამდე მრეწველობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ჩამორჩენილი დარგი იყო.


სსრ კავშირის დახმარებით ამუშავდა ახალი გემთსაშენებელი და ვაგონთსაშენებელი ქარხნები, დიწყო შიდაწვის ძრავების, დიზელების, ელექტრომავლების, საწარხვი დაზვების, რენტგენის აპარატების, ტუმბოების და სხვა მოწყობილობის გამოშვება. განსაკუთრებით სწრაფად გაიზარდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება.

სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბულგარეთში შეიქმნა თანამედროვე ქიმიური მრეწველობა, რომლის პროდუქციამ 1952 წელს ოთხ-ჯერ გადააჭარბა 1948 წლის დონეს და რვაჯერ — 1939 წლის დონეს. გეგმით გათვალისწინებულ ვალაზე ერთი წლით უფრო ადრე ამუშავდა ქ. დიმიტროვგრადში სტალინის სახელობის ქიმიური კომბინატი, გარდა ამისა, ამუშავდა რამდენიმე სხვა დიდი ქიმიური ქარხანა.

ასეთია პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულების ძირითადი მაჩვენებლები მრეწველობის უმთავრესი დარგების სახით. ინდუსტრიალიზაციის საქმეში მოპოვებულმა მიღწევებმა უზრუნველყო სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა, მისი სოციალისტური გარდაქმნისათვის დიდმნიშვნელოვან აღონისძიებების გატარება.

პირველი ხუთწლედის წარმატებით შესრულებამ ოთხი წლის განმავლობაში შესაძლებელი გახადა 1953 წლიდან დაწყებულიყო მეორე ხუთწლიანი გეგმის (1953—1957 წწ.) შესრულება. ბულგარეთის კომუნისტური პარტიის VI ყრილობამ, რომელიც 1954 წლის თებერვალში შედგა, დაამტკიცა ახალი ხუთწლედის დირექტივები. გეგმის შესაბამისად ძველი კაპიტალური დაბანდებანი ორჯერ უფრო ისრიდება პირველ ხუთწლედთან შედარებით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ენერგეტიკული მეუოეობის გაეითარებას, რათა ლიკვიდირებულ იქნეს ის შეუსაბამობა, რომელიც, ერთი მხრივ, ელექტროენერგიის წარმოების, ქვანახშირის მოპოვების და, მეორე მხრივ, მათზე ყოველდღიურად მზარდ სითხისუნებლბას შორის არსებობს. ამ მიზნით 1954 წლადღე უნდა აშენდეს 435 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, ხოლო ახალი შახტების მშენებლობის ხარჯზე ქვანახშირისა და ბურა-ნახშირის მოპოვება ერთიორად უნდა გაიზარდოს 1952 წლის დონესთან შედარებით და ს-ჯერ უფრო მეტად ომაადღელ დონესთან შედარებით. ამ მიმართულებით უკვე ბევრი რამ არის გაეკუთებული. დასთავრდა ძძლავრი ჰიდროელექტროსადგუთისა და წყალსაცავის „სტულენას“ მშენებლობა, მწყობრში ჩაღდა ჰიდროელექტროსადგური „როსიცა“ და ბულგარეთში უღადღესი ალექსანდრე სტამბოლიისკის სახელობის წყალსაცავი.

მეორე ხუთწლედის პირველი სამი წლის განმავლობაში აშენდა 140 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, რაც აღემატება ბურჟუაზიულ ბულგარეთში 70 წლის მანძილზე აგებული ყველა ელექტროსადგურის საერთო სიმძლავრეს. მარტო 1955 წელს ამოშუვდა 95 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები, მათ შორის სამი ჰიდროელექტროსადგური, გაუზართოღდა თბოელექტროცენტრალი დიმიტროვო, აშენდა 22 ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის მქონე სადრეწლო ელექტროსადგურები. მწყობრში შუვიდა 670 მილიონი კუბური მეტრი მოცულობის მქონე ი. ბ. სტალინის სახელობის წყალსაცავი, რომლის ბაზაზე შენდება 60 ათასი კილოვა-



გ. კოლაროვის სახელობის წყალსაცავი

ტი საერთო სიმძლავრის სამი ჰიდროელექტროსადგური. აშენდა მაღალძაბვიანი ელექტროგადამცემი ხაზი დიმიტროვგრადი-ბურგასი.

სერიოზული წარმატებებია მიღწეული ქვანახშირის და ბურა-ნახშირის მოპოვების გადიდების საქმეში. მრეწველობის ამ დარგში ხუთჯერ გაიზარდა კაპიტალური დაბანდებანი, სწრაფი ტემპით ფართოვდება დიმიტროვის, პირინის, ბობოვოდოლის, ჩუკუროვოს, შავი ზღვისპირა ქვანახშირის აუზების საწარმოო სიმძლავრე. ახალი საბადოების დამუშავება იწყება დასავლეთ მარცხისა და სოფის რაიონებში. ახალი მექანიზებული და ავტომატიზებული შახტები შენდება ბალკანეთისა და აღმოსავლეთ მარცხის ქვანახშირის აუზებში. ბულგარეთის ისტორიაში პირველად დაიწყო საკუთარი ნავთობის მოპოვება. ასე ისრიდება და ვითარდება ბულგარეთის ენერგეტიკა, რომელიც ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ბაზას წარმოადგენს.

მომივე მრეწველობის სხვა ძირითადი დარგებიდან აღსანიშნავია ფერადი და შავი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის განვითარების მეტად მაღალი ტემპი, რასაც მეორე ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს. საკმარისია ითქვას, რომ ხუთწლედის განმავლობაში თუჯის გამოდნობა უნდა გაიზარდოს 15-ჯერ, ნაგლინისა 10-ჯერ, ტყვიისა თითქმის 5,5 ჯერ, რკინის, სპილენძისა და ტყვიის მოპოვება—სამჯერ. 1953 წლის ბოლოს ამოშუვდა შავი მეტალურგიის გიგანტი ვ. ი. ლენინის სახელობის ქარხანა, რომელიც შესანიშნავი საბჭოთა ტექნიკით არის აღჭურვილი. ქარხნის ამოშუვებით ბულგარეთში ფოლადისა და ნაგლინის წარმოება ათჯერ გაიზარდა. მეორე ხუთწლედის ბოლომდე გათვალისწინებულია ფურცელსაგლინავი საამქროსა და ბრძმედის მშენებლობა.

მანქანათმშენებელი ინდუსტრიის ხაზით უპირველესად ყოვლისა გათვალისწინებულია სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოების შემდგომი ზრდა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისათვის საჭირო მოწყობილობების დამზადება.

1954 წლის ბოლოსათვის ბულგარეთის მანქანათმშენებელი ქარხნების პროდუქცია 1948 წლის დონესთან შედარებით თითქმის 8-ჯერ გაიზარდა. ამ პერიოდში ათვისებულ იქნა 400-ზე მეტი სხვადასხვა სახის მანქანები და 2 ათასზე მეტი სახის სათადარიგო ნაწილები.

ხუთწლედების მანძილზე სახელი მოიხვეჭა ა. ივანოვის სახელობის მანქანათმშენებელმა ქარხანამ ქ. სოფიაში. ეს ბულგარეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოწინავე ქარხანაა, რომელიც ამზადებს საჩარხავ, საბურღავ, სახარატო და სხვა რთული კონსტრუქციის დაზგებს. ქარხანა საბჭოთა კავშირის ძმური დახმარებით აშენდა და საბჭოთა კავშირიდან ჩამოზიდული მოწყობილობით აღიჭურვა. გაზეთ „პრავედნი“ კორესპონდენტთან საუბარში ხარატმა სტილიან მოდევმა განაცხადა: „წინათ ამ ქარხნის ადგილას ნახევრადკუსტარული სარემონტო სახელოსნო იყო. სულ სხვადასხვა წარმოების დაზგების რემონტის გაკეთება გვიხდებოდა გერმანული, ბელგიური, ინგლისური, ფრანგული დაზგებიდან,


მაგრამ არასოდეს არ შეგვხვედრია ბულგარული წარმოების დაზგები. ახლა დროება შეიცვალა. ჩვენც ვისწავლეთ დაზგებისა და მანქანების გაკეთება“.

მძიმე მრეწველობის, მანქანათმშენებლობის და ქიმიური მრეწველობის აღმავლობა, საირიგაციო სისტემების მშენებლობა და საბჭოთა კავშირიდან ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვასთან ერთად წარმოადგენს სოფლის მეურნეობაში უკვე მიღწეული წარმატებების საფუძველს და სოფლის მეურნეობის შემდგომი სოციალისტური გარდაქმნის აუცილებელ პირობას. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად ბულგარეთში გლეხთა მეურნეობის ნახევარზე მეტია გაერთიანებული სასოფლო-სამეურნეო კოლბერტივებში.

გეგმის შესაბამისად მეორე ხუთწლედის ბოლომდე სამრეწველო პროდუქციის გამოშვება პირველ ხუთწლედთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზრდება.

ამ გრანდიოზული ამოცანის გადაწყვეტაში უკვე სერიოზული შედეგებია მიღწეული. მეორე ხუთწლედის პირველ ორწელიწადნახევარში გამოშვებულია 12-ჯერ უფრო მეტი პროდუქცია, ვიდრე 1939 წელს და თითქმის იმდენივე, რაც მთელი პირველი ხუთწლედის განმავლობაში იყო გამოშვებული.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში



კაშალის მშენებლობა ფოძილინის წყალსაცავისათვის

# საბჭოთაო-კავშირთა უწყისების ერთ-ერთი ყუარსაღაბი საპითსი გაცხოველოებაჲ

პროფესორი **რ. აბაძე**

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის ბლენუმმა აღნიშნა, რომ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის ბლენუმების დადგენილებათა შესრულების შედეგად, აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა დადგენილებათა შესრულების შედეგად, საბჭოთა კავშირში გასული წლის მანძილზე მნიშვნელოვანი მიღწევები მოხვედრილი სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მხრივ.

მსხვილი სამანქანო მრეწველობის ყოველწლიური განვითარებისა და ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაციის შესახებ დიდი ღონისის მოძღვრების მიხედვით, კომუნისტურ პარტიას თავის მთავარ ამოცანად კვლავაც მიაჩნდა მძიმე ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობა, რადგან ის მყარ საფუძველი მთელი სახალხო მეურნეობისათვის, ჩვენი სამშობლოს შეურყევი თავდაცვისუნარიანობისათვის და უშრეტი წყაროა საბჭოთა ხალხის განურჩელი კეთილდღეობისა. მძიმე ინდუსტრიის შეუწყვეტელი განვითარების საფუძველზე ვითარდება მრეწველობის სხვა დარგები, ვითარდება ჩვენი მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის ბლენუმმა აღნიშნა, რომ მსუბუქი და კვების მრეწველობის შემდგომ განვითარებას, მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომ აღმავლობას საგრძნობ შედეგებად გადაელბა მეცხოველეობის განვითარების ჩამორჩენილობა და მიგვითითა, რომ მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა, უწინარეს ყოვლისა კი, საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა — პირველი რიგის ამოცანაა პარტიისა და სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობაში.

მართალია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის ბლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის მიღებულია ღონისძიებებმა უკვე გამოიღო სთანადო შედეგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტიული პირუტყვის სულადობის გადიდების, მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაფართოებისა და მისი საქონლანობის გადიდების მხრივ; მართალია, სათანადო ღონისძიებათა განხორციელების შედეგად გადიდებულა კოლმეურნეობათა და კოლმეურნეების დანტრესება მეცხოველეობის განვითარებით და გადიდდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ამ ნაწილის შემოსავლიანობა, რაც მნიშვნელოვანი პირობაა საზოგადოებრივი მეცხოველეობის შემდგომი

განვითარებისათვის, მაგრამ როგორც ცენტრალური კომიტეტის იანვრის ბლენუმმა აღნიშნა, მეცხოველეობის განვითარების აკაპინდელი დონე, განსაკუთრებით კი პირუტყვის სულადობის რაოდენობა და მისი პროდუქტიულობა, მაინც ვერ აკმაყოფილება მოსახლეობის სულ უფრო და უფრო მზარდ მოთხოვნებს მეცხოველეობის პროდუქტების მძიმარ და მსუბუქი და კვების მრეწველობის მოთხოვნას ნედლეულზე.

ამიტომ არის, რომ კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ამოცანად დასახეს უახლოესი წლების მანძილზე მეცხოველეობის განვითარების ისეთი დონის მიღწევა, რომელიც უზრუნველყოფს საზრდობის პროდუქტებზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნისთვის, ხოლო ნედლეულზე მსუბუქი და კვების მრეწველობის მოთხოვნათა დაკმაყოფილებას. ეს იმას ნიშნავს, რომ აუცილებელია უახლოესი წლების განმავლობაში მივადწიოთ მეცხოველეობის მთავარი პროდუქტების წარმოების გადიდებას ორჯერ-ორნახევრჯერ.

ასეთი ამოცანის დაყენების საფუძველს ის გარემოება წარმოადგენს, რომ მეცხოველეობის მკვერთი აღმავლობისათვის ახლა უკვე შექმნილია აუცილებელი პირობები; კოლმეურნეობებს, მანქანატრატორთა სადგურებსა და საბჭოთა მეურნეობებს გააჩნიათ დიდი რეზერვები, რომელთა ჯეროვანი გამოყენება შევალბინებს უზრუნველყოფით ჩვენი ქვეყანა მეცხოველეობის პროდუქტებით. ამ შესაძლებლობათა დამადასტურებელი მრავალი მოწინავე კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის გამოცდილება, მიღწევები მთლიანად ზოგიერთი რაიონისა და ოლქისა, რომლებმაც გასულ წელს პირველი მიღწევები მოიპოვეს მეცხოველეობის განვითარებასა და პირუტყვის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში. უკრაინის, ბელორუსიის, ესტონეთის, ლატვიის, მოლდავეთის სს რესპუბლიკების, მოსკოვის, ჩელიაბინსკის, რიაზანის, ვინიცი, ჩერნოვიციის ოლქების, კავშირის (მოსკოვის ოლქი), სოლოტჩინის (რიაზანის ოლქი), კალაჩის (ვორონეჟის ოლქი) და სხვა რაიონების მრავალი კოლმეურნეობა, ამ მხრივ, საბჭოთა კავშირში კარგად ცნობილი კოლმეურნეობებია, რომელთაც თვალსაჩინო მიღწევები გააჩნიათ ფურების სულადობის, ფურების წველადობის, ცხვრისა და ღორის პროდუქტიულობის გადიდების საქმეში.

ამასთან ერთად, იანვრის ბლენუმში იმასაც მიგვითითებდა, რომ ზოგიერთ რესპუბლიკასა, ოლქსა თუ რაიონში, სადაც პარტიული, საბჭოთა და სასო-

ფლო-სამეურნეო ორგანოები ცუდად ხელმძღვანე-  
ლებდნენ მეცხოველეობის განვითარებას — პირუ-  
ტყვის სულდობისა და მისი პროდუქტიულობის გა-  
დიდების ნაცვლად, ადგილი ჰქონდა სულდობისა  
და სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის პროდუქტიუ-  
ლობის შემცირებას. სტავროპოლის მხარესა და ას-  
ტრახანის, ვოლოდის და სხვა ოლქებთან ერთად  
ყაზახეთის, უზბეკეთის, აზერბაიჯანის სსრ გვერდით,  
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალ-  
ური კომიტეტის იანვრის ბლენუმმა საქართველოს  
სსრ აღნიშნა, რაც ჩვენთვის გარკვეულ შინაარ-  
სით დამაფიქრებელი და შემდგომი ენერგიული მუ-  
შაობის გამღვივებელი გარემოება უნდა იყოს.

ჩვენ უნდა გვახსოვდეს იანვრის ბლენუმის ის  
მითითება, რომ მეცხოველეობის მეგობარი აღმავლო-  
ბის ამოცანის განხორციელების საქმეში ვადაწყვე-  
ტი მნიშვნელობა აქვს პირუტყვის უზრუნველყოფას  
კონცენტრირებული, წვნიანი და უხეში საკვებით,  
რაც მყარი საკვები ბაზის ორგანიზაციის ძირფევი-  
ან გაუმჯობესებასა და არსებული რეზერვების  
სრულ გამოყენებას გულისხმობს. თუ მხედველობა-  
ში ვიქონიებთ, რომ მყარი საკვები ბაზის  
სრულად განმარტებული და სწო-  
დად ვაკეზული ცნება უნდა მოიცავდეს  
სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის  
ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა  
ნორმალური დაკმაყოფილები-  
ნისთვის საჭირო საკვები საშუალებე-  
ბის მიღწერას და სხვა მნიშვნელოვან  
ფაქტორებს, რომელთა განხორციე-  
ლებით უზრუნველყოფილი უნდა  
იყოს ამ საორტიმენტის მოპოვება  
სასოფლო-სამეურნეო ამა თუ იმ წა-  
მომწყებაში, მაშინ ადგილი მისახედრია, თუ  
რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი მომდევნო  
ნაყოფიერი საქმიანობისათვის იანვრის ბლენუმის  
კიდევ ერთ მითითებას.

საკვებთა წარმოებაში არსებული ჩამორჩენილ-  
ობის ერთ-ერთ სერიოზულ მიზეზად მიჩნეულ იქნა ის  
გარემოება, რომ საკვები ბაზის შექმნის მთავარ სა-  
შუალებად ყველგან იყენებდნენ მრავალწლოვანი ბა-  
ლახების თესვას. მრავალწლოვან ბალახს ფართოდ  
აგრცლებდნენ სამხრეთის ვეალვიან რაიონებში, სა-  
დაც ის ვერ იძლევა დიდი მოსავალს და, ამავე დროს,  
უფლებელყოფდნენ მრავალი სხვა, ძვირფასი სა-  
კვები კულტურის თესვას. განსაკუთრებით აღსანიშ-  
ნავია სიმინდის უფლებელყოფა, როგორც საშუა-  
ლებისა პირუტყვის უზრუნველსაყოფად კონცენტრი-  
რებული, წვნიანი და მწვანე საკვების საკმარისი  
წარმოება. დასახლოებულა, რომ ჩვენმა წარმო-  
ებამ უკვე ფართოდ შეამოწმა სიმინდის კვადრატულ-  
ბუდობრივი თესვის წესი და კომპანიით მისი  
აღება, რაც ქმნის სიმინდის თესვა-მოვლა-აღების  
სამუშაოთა სრული მექანიზაციის შესაძლებლობას.  
ეს კი საქართველად ამცირებს ამ კულტურის მოვ-  
ლა-მოყვანისათვის საჭირო დანახარჯებს, აღიძებს

მოსავალს და მეცხოველეობისათვის მყარი საკვებ-  
ბაზის შექმნაში სიმინდის თვალსაჩინო ადგილს აკუ-  
თვებს. ცუდად იყენებდნენ აგრეთვე შესაძლებელ  
ლობებს საკვები ჭარბის, კარტოფილის, მწვანე  
ბი საზმართოს, საკვები ვიგორის, ტურნოსის, საკვე-  
ბი სტაფილოს, საკვები კომბოსტოს, ტოპინამბურის  
და სხვა საკვებ მცენარეთა მოყვანისა და დიდი მო-  
სავლის მიღებისათვის, რაც მეტად მნიშვნელოვანია  
წვნიანი საკვების რეჟიმის მკვეთრად გადიდებაში.

ყველა ამ საკვები მცენარის დიდი მნიშვნელობა  
სასოფლო-სამეურნეო პირუტყვის იმ ფიზიოლო-  
გიურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, რო-  
მელთა ჯერჯერობდა წარმართვა სათანადოდ ორგანი-  
ზებული კვების მეშვეობით დიდი პროდუქტიულო-  
ბის ე. წ. ბიოლოგიურ საფუძველს ქმნის, თანამედ-  
როვე ზოოტექნიკური მეცნიერებისათვის საკმაოდ  
კარგად არის ცნობილი. სასოფლო-სამეურნეო მე-  
ცნიერების სათანადო დარგებისათვის საკმაოდ კარ-  
გად არის ცნობილი აგრეთვე ამ მცენარეთა მოყვანის  
აგროტექნიკის მთავარი და ზოგადი ელემენტები,  
რის გამო თუ ცალკეულ შემთხვევაში კიდევ საჭი-  
როა ზოგიერთი დეტალის დაზუსტება, მეცნიერული  
კვლევა და დაკვირვება შეიძლება შეეხოს მხოლოდ  
ზოგიერთ საკითხს შევება-მესწორებას კონკრეტულ  
პირობებში, და, ბოლოს, საკმაოდ კარგად არის  
ცნობილი ზოგადი აგროტექნიკური და სამეურნეო-  
ორგანიზაციული საფუძვლები ყველა ამ მცენარის  
ჩართვისა ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წარმო-  
ყვების საკვებმოპოვების ერთობლივ სისტემაში.

მიუხედავად ყოველივე ამისა, როგორც ცენტრალური  
კომიტეტის იანვრის ბლენუმში აღნიშნავს,  
ჯერ კიდევ სუსტად ინერგება იმ მოწინავე კომე-  
ურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობის გამოცდი-  
ლება, რომლებმაც უკვე განამტკიცეს საკვები ბაზა  
და მწვანე კონვეიერისათვის დანერგეს დიდმოსავ-  
ლიანი საკვები მცენარეების ფართოდ თესვა. მყარი  
საკვები ბაზის ორგანიზაციის თვალსაჩინოთა ჯერ  
კიდევ სუსტად დანერგულ ღონისძიებებს, იანვრის  
ბლენუმის მითითებათა თანახმად, ისიც მიეკუთვნება,  
რომ ზოგიერთ რესპუბლიკასა, ოლქსა თუ მხარეში  
არ ახორციელებენ ყოველი კომეურნეობისა და  
საბჭოთა მეურნეობისათვის ხელმისაწვდომი ღონის-  
ძიებებს ბუნებრივი საკვები სავარგულების გასაუმ-  
ჯობესებლად, არასაკმარისად მიმართავენ საძოვრე-  
ბის გამოყენებას მორიგეობითი ძოვების წესით, რაც  
იწვევს ამ სავარგულების პროდუქტიულობის შემ-  
ცირებას და უყარაობა გამოყენებას.

საქართველოს სსრ-ის სოფლის მეურნეობის პი-  
რობებში ყოველივე ზემოთქმულის არაჯეროვნად  
მოწესრიგებულობის ერთ-ერთი მიზეზია თვით მე-  
ცხოველეობის დარგთა სათანადოდ მოუწყობილ-  
ლობა, უწინარეს ყოვლისა, ამ დარგების ურთიერთ-  
თან — და აგრეთვე მთლიანად მეცხოველეობისა და  
მემცენარეობის — ზუსტად განსაზღვრული შესაბამე-  
ლობის თვალსაზრისით; გარდა ამისა, მეცხოველე-  
ობის ცალკეული დარგის ფარგალში, პირუტყვის  
მოვლა-შენახვის წესის დაუსუსტებელი შესაბამისო-

ბა—პროდუქტთა წარმოების გადიდებისათვის სად-  
რედს დასძლავს ამოცანის თვალსაზრისით და  
პირუტყვის სქესობრივი თუ ასაკობრივი ცალკეული  
ჯგუფების კვების რეჟიმის დახვეწის თვალსაზრი-  
სით. ნათქვამს მხოლოდ იმ მხრივ ესაუბრობა გარ-  
კვეული შესწორება, რომ ჩვენი სოციალისტური  
სოფლის მეურნეობისა და, კერძოდ, მეცხოველეობის  
უკვე განვლილმა პრაქტიკამ საკმარისი თვალსაზრი-  
ებით მიხაზა ყოველი ამ ელემენტის შინაარსობლი-  
ვი მიმართება და რეალური განხორციელების სას-  
ღებრობა. ამდენად, როდესაც ლაპარაკია „არაჯერი-  
ვანი მოწესრიგებულობისა“ თუ „გარკვეული თვალ-  
საზრისით დაუზუსტებლობის შესახებ“ — უნდა ვი-  
გულისხმობთ სოფლმე საჭირო ღონისძიებათა ის წყე-  
ბა, რომელიც გასახორციელებელია განვლილი პრა-  
ქტიკით უკვე შემოხაზულ წრეში მეცნიერებისა და  
ტექნიკის განვითარებით; მოწინავეთა გამოცდილე-  
ბით დადგენილი მეთოდებისა და ჩვევების მტკიცე  
და მესწრნობრივად ორგანიზებული დანერგვისათ-  
ვის. ეს საკითხის ერთი მხარეა და ყოველად გადა-  
უღებელი. ის არა მხოლოდ სადღისია, არამედ საამ-  
საათო და საამწუთო. მაგრამ, ზემოთქმულს იმ  
მხრივაც ესაუბრობა გარკვეული შეგება, რომ სწო-  
რად საქართველოს მრავალფეროვანი ბუნებისა,  
მრავალდარგანი სოფლის მეურნეობისა და ცალკე-  
ული დარგის ისტორიული სიძველისა თუ სრული  
სიახლის პირობებში, ჩვენი სოფლის მეურნეობის  
წინაშე დაყენებული გრანდიოზული ამოცანების ნა-  
ყოფიერად და მოკლე ვადაში განხორციელების  
თვალსაზრისით საჭირო ხდება საკითხთა გარკვე-  
ული წყების შესწავლა და მეცნიერული დასაბუთება.

კონკრეტული რაიონისა თუ კონკრეტული სასო-  
ფლო-სამეურნეო წამოწყების ამა თუ იმ პირობებში  
მეტად ან ნაკლებად განსხვავებული შეიძლება  
იყოს თვით კომპლექსი ან შესასწავლი და  
მეცნიერულად დასაბუთებული საკითხებისა. ამი-  
ტომ სათანადო მუშაობისას მთავარი ყუ-  
რადღება ცალკეული საკითხის თავისთავად შესწავ-  
ლას კი არ უნდა მიექცეს, არამედ ყველა ამ საკითხ-  
თა კომპლექსს. თანაც პირველ პლანზე წინ წამოწყე-  
ული უნდა იქნეს არა მხოლოდ ზოგადბიოლოგიური  
ან ზოოტექნიკური მხარე, არამედ ის, რასაც ახლა—  
ზოოტექნიკური მეცნიერების წინაშე დაყენებული  
ამოცანების გათვალისწინებით — ზოოტექნიკურ-  
ორგანიზაციული მხარე შეიძლება ვუწოდოთ.

მსჯელობის ამ ასპექტში შეიძლება ითქვას, რომ  
ყველა შემთხვევაში, როდესაც საქმე ცენტრალური  
კომიტეტის სექტემბრისა და, განსაკუთრებით კი,  
იანვრის ბუნების დადგენილებათა რეალისაციას  
შეეხება, საქართველოს მეცხოველეობისათვის საჭი-  
რო მყარი საკვები ბაზის ჯგირფანი მოწესრიგება ან  
გარკვეულ პირობებში დაუზუსტება უნდა დაიწყოს  
მუშაობით, რომლის შედეგად უნდა დასაბუთდეს  
ე. წ. პირუტყვის კვების გეგმა და დადგინდეს ე. წ.  
საკვებათა ბალანსი. მუშაობის ყველა შემთხვევაში ეს  
საქმიანობა დაეკმატება სასაბაზისა, მაგრამ „ზო-  
ოტექნიკისათვის ყურადღების გასამახვილებლად —  
ხაზგასანმელია, რომ ამ სახისათვის ეს სამუშაო სწო-  
რად ზოოტექნიკოსმა უნდა შეასრულოს, რადგან

შინაარსობლივად, კვების გეგმა წარმო-  
ადგენს ზოოტექნიკურ და დასაბუ-  
თებულ კომპლექსს გამოანგარიშე-  
ბათა, რომელიც მიმართულია სასო-  
ფლო-სამეურნეო ცხოველის ფიზიო-  
ლოგიურ მოთხოვნილებათა დაკმა-  
ყოფილებებისაკენ.

კვების გეგმისათვის საჭირო გამოანგარიშებე-  
ბი—მესწრელები კონკრეტული დანიშნულებისა და  
გამოსაყენებელი მეთოდის თუ ხერხის თვალსაზრი-  
სით — ირ მთავარ ჯგუფად უნდა დაიყოს: გამოან-  
გარიშებანი, რომლებიც მიმართულია გამოსაკვები  
პირუტყვის რაოდენობის დადგენისაკენ, სახელ-  
დობრ კი, არა საშუალო, კვრტალური თუ წლიური  
რაოდენობისა, არამედ დროის შეძლებისამებრ მცირე  
მინაკვეთში და ასაკის, სქესის, ფიზიოლოგიური  
ნდგომარეობის მიხედვით პირუტყვის რაოდენობის  
დადგენისაკენ და, გარდა ამისა, კვების ნორმისა და  
საკვების ულულის დადგენისაკენ ამ ფიზიოლოგი-  
ური (მაკი, მშრალი, სალით, მეწყველი) და ბიოლო-  
გიური (ასაკი, სქესი) ჯგუფებისათვის ცალ-ცალკე-  
ამდაგვარ გამოანგარიშებთა ერთობლიობა დაზუს-  
ტებულ წარმოდგენას მოგვცემს იმ საკვების რაოდე-  
ნობისა და სახის შესახებ, რაც საჭიროა პირუტყვის  
ფიზიოლოგიურ მოთხოვნილებათა დასაბამყოფილემ-  
ლად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სახე მ წ ი ვ ი  
გ ე გ მ ი თ გა თ ვ ა ლ ი ს წ ი ნ ე ბ უ ლ ი  
პ რ ო დ უ ქ ტ ი უ ლ ო ბ ა .

მაგრამ კვების გეგმისათვის საჭირო გამოანგა-  
რიშებების ამ მოკლე ნუსხით არ უნდა ამოიწუროს  
მუშაობა მისი შედგენისათვის, მისი სისრულის  
უზრუნველყოფა. ამოცანა ის არის, რომ სახელმწი-  
ფო გეგმით გათვალისწინებული პროდუქტულობის  
მიღწევისაკენ მიმართული სათანადო პირუტყვის  
ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილე-  
ბა და ვ ე დ ნ ე ბ უ ლ ი უ ნ და ი ყ ო ს ა დ ე გ -  
ლო ბ რ ი ვ ა რ ს ე ბ უ ლ ი ს ა კ ე ვ ბ ი რ ე ს უ რ -  
ს ე ბ ი ა მ ა ქ ი ს ი მ ა ლ უ რ ს ა და რ ა ც ი თ ა -  
ლ უ რ გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა ზ ე, რითაც, ზემოთ მოხსე-  
ნებულ მიზნებთან ერთად, ხ ე ლ ი უ ნ და შ ე ე წ -  
ყ ო ს შ რ ო მ ი ს ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს გ ა დ ი დ ე -  
ბ ა ს. მაშასადამე, კვების გეგმის შედგენა რამდენ-  
ნაღმე ცვალებდა მხოლოდ ზოოტექნიკური გააზრე-  
ბისა და მონაცემთა სათანადო გამოყენების ფარ-  
გალს და უკავშირდება საჭირო გამოანგარიშებთა  
გააზრებას სასოფლო-სამეურნეო წამოწყებათა ორ-  
განიზაციისა და ეკონომიკის მეცნიერების თვალსაზ-  
რისით. სასოფლო-სამეურნეო მცოდნეობის სხვა  
დარგებთან ასეთი დაკავშირებული გააზრება კიდევ  
უფრო მეტად ფართოდება, როდესაც უკვე შედგე-  
ნილი კვების გეგმის საფუძველზე დაიწყებთ საკვებ-  
თა ბალანსის დადგენას. ეს იმიტომ, რომ თვით სა-  
კვებათა ბალანსი უმეტეს შემდეგია კვების  
გეგმით განსაზღვრული საკვების  
მოთხოვნის დაპირისპირებისა იმ  
შესაძლებლობებთან, რომლებიც ამა  
თუ იმ სასოფლო-სამეურნეო წამოწყე-  
ბებას გააჩინა საკვების მოპოვებო-  
ბა და მომარაგების დარგში.

(დასასრული იქნება)

(სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 და დაბადების 85 წლისთავის  
შესასულებლის გამო)

ლოცენტო გ. ზარალიძე

ასპირანტი ი. მამიაშვილი

1955 წლის სექტემბერში დაბადების 85 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 60 წელი შეუსრულდა უნივერსიტეტის მსოფლიან პროფესორს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი ნიკოლოზის ძე გუგუშვიანს. იგი არის დიდი ერუდიციის მქონე მეცნიერი, გეოგრაფი, ისტორიკოსი, ეკონომისტი, პედაგოგი და მწერალი. საქართველოს მეცნიერული და პედაგოგიური საზოგადოებრიობა პროფ. გ. ნ. გუგუშვიანს იცნობს, როგორც სანიმუშო პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც 60 წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურება ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს. გ. გუგუშვიანი მრავალი მეცნიერული შრომის ავტორია და რედაქტორია. პროფ.



გ. ნ. გუგუშვიანის სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა, მისი სისტემატური და ნაყოფიერი შრომა, ახალგაზრდობისა და მეგობარ-ამხანაგებისადმი უსაზღვრო სიყვარული მისაბამი მაგალითია ჩვენი მომავალი თაობისათვის.

გ. ნ. გუგუშვიანი დაიბადა 1870 წლის 2 სექტემბერს ქუთაისში. მისი დედა მანანა იყო სახელგანთქმული ქართველი პოეტის რაფიელ ერისთავის დის, პოეტი ქალის ბარბარე ჯორჯაძის ასული. პატარა გიორგიმ შეიღწა მამის მიერ ბავშვობა ქუთაისში გაატარა. 1877 წელს გიორგის მამა ნიკოლოზი სამუშაოდ ბაქოში გადაიყვანეს და გიორგიც 12 წლამდე მშობლებთან იყო ბაქოში. 1882 წელს 12 წლის გიორგი თბილისის კლასიკურ გიმნაზიაში მიიბარეს. 1890 წელს გიორგიმ დაამთავრა გიმნაზიის კურსი და უმაღლესი განათლების მისაღებად პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტში შევიდა, მაგრამ განმრთელობამ ხელი შეუშალა მას აქ ბოლომდე ესწავლა, რის გამო ხარკოვის უნივერსიტეტში

ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე გადადის. 1895 წელს გ. გუგუშვიანმა დაამთავრა ხარკოვის უნივერსიტეტის სრული კურსი პირველი ხარისხის დიპლომით და სადიპლომო შრომისათვის ვერცხლის მედალი მიიღო. უნივერსიტეტში ყოფნის დროს იგი ეწაფებოდა და სწავლობდა ისტორიულ და ეკონომიურ მეცნიერებას. განსაკუთრებით დიანტერესებული იყო მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის დარგების ისტორიისა და გეოგრაფიული განლაგების საკითხებით.

1895 წელს გ. გუგუშვიანი დაბრუნდა თბილისში და პედაგოგიური მუშაობა დაიწყო ქალთა და ვაჟთა გიმნაზიებში, სადაც ასწავლიდა გეოგრაფიას, ისტორიას და ლიტერატურას. პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად გ. გუგუშვიანი საზოგადოებრივ-სამეცნიერო მუშაობისთვის საზოგადოებაში. 1897 წელს მან წაიკითხა ფილოსოფიის ისტორიის სრული კურსი მასწავლებელთა აქტივისათვის. 1902 წლიდან გ. გუგუშვიანი ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აქტიურ მონაწილეობას იღებს სკოლის გარეშე განათლების თბილისის საზოგადოებაში, როგორც დასავლეთ ევროპის ეკონომიური ისტორიის ლექტორი. სკოლის გარეშე თბილისის საზოგადოებაში სწავლობდა რკინიგზის სახელოსნოების ახალგაზრდობა და, მათ შორის, პოლიტიკური მიზნებით სამუშაო სასწავლებლებიდან დათხოვნილი ახალგაზრდობა. აღნიშნულ საზოგადოებაში მთელი მუშაობის მანძილზე გ. გუგუშვიანმა მსმენელთა შორის დიდი პატივისცემა და ავტორიტეტი მოიპოვა. 1910 წლის 28 მარტს იგი არჩეულ იქნა სკოლის გარეშე განათლების თბილისის საზოგადოების საპატიო წევრად.

1903 წლიდან გ. გუგუშვიანმა მონაწილეობა მიიღო „კავკასიის მასწავლებელთა კავშირის“ წრის

მუშაობაში, რისთვისაც იგი იმავე წელს არჩეული იყო ამ კავშირის თბილისის საბჭოს თავმჯდომარედ. აღნიშნულმა კავშირმა თავიდანვე რევოლუციური სახელი მოიხვეჭა და 1905 წელს თბილისის სასწავლო დაწესებულებათა მუშაკების საყოველთაო პოლიტიკური გაფიცვა მოაწყო.

1907 წლის ბოლოს მოსწავლეთა და მასწავლებელთა სურვილების შესაბამისად, გ. გეტმანი არჩეულ და დანიშნულ იქნა თბილისის პირველი კომერციული სასწავლებლის დირექტორად. აღსანიშნავია, რომ პირველი შემთხვევა იყო თბილისში, როდესაც სასწავლებლის დირექტორი მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიერ იყო არჩეული. იგი აღნიშნულ სასწავლებელში მუშაობდა 1919 წლამდე.

1907 წლის იანვრიდან გ. გეტმანი კომერციული სასწავლებლის სპეციალურ კლასებში (მე-7 და მე-8 კლასებში) ასწავლის ეკონომიურ გეოგრაფიას და პოლიტიკურ ეკონომიას.

1908 წელს გ. გეტმანმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისში ქალთა უმაღლესი კურსების გახსნის საქმეში. იგი აღნიშნულ კურსებზე (შეთავსებით) მუშაობდა ჯერ პრივატ-დოცენტად — ისტორია-სიტყვიერების ფაკულტეტზე, ხოლო შემდეგ ამავე ფაკულტეტის დეკანად 1914 წლამდე. საერთოდ კი ამ ფაკულტეტზე მან 1918 წლამდე იმუშავა.

1918 წელს მან მონაწილეობა მიიღო თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის ჩამოყალიბებაში. იგი მოწვეული იყო ამ ფაკულტეტზე პრივატ-დოცენტის თანამდებობაზე და კითხულობდა ევროპის ხალხთა ეკონომიურ ისტორიას.

1919 წლის 20 ოქტომბერს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საბჭომ გ. გეტმანი აირჩია ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის დოცენტად, ხოლო სამი წლის შემდეგ (1922 წელს) საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ იგი დანიშნულ იქნა ამავე ინსტიტუტის ეკონომიური ფაკულტეტის პროფესორად, იმავე წელს გ. გეტმანი აირჩიეს ჯერ ეკონომიური ფაკულტეტის დეკანად, ხოლო შემდეგ — საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანად. 1924 წელს დაიბეჭდა საზოგადოებრივი მეცნიერებათა ფაკულტეტი და პროფ. გ. გეტმანიც 1925 წლიდან 1930 წლამდე ასრულებს პროფესორის თანამდებობას თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. აქ იგი ლექციებს კითხულობს მსოფლიო მეურნეობისა და ეკონომიური გეოგრაფიის დარგებში.

1921 წელს გ. გეტმანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის საბჭოს მიერ არჩეულ იქნა ლექტორად. საბჭო მას ანობობს ლექციების კითხვას სოფლის მეურნეობის ეკონომიკაში.

1922 წლის 20 ოქტომბერს გ. გეტმანი სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე წარმატებით აპარებს სადოქტორანტო გამოცდებს პოლიტიკურ ეკონომიასა და სამეურ-

ეო გეოგრაფიაში, ამიტომ უნივერსიტეტის საბჭო ერთხმად ირჩევს მას დოცენტად ეკონომიური გეოგრაფიის კათედრაზე. ერთდროულად იგი დანიშნული იყო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორად და ამავე ინსტიტუტის ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგედ.

1923 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის ჩამოყალიბებასთან ერთად კათედრის გამგედ დანიშნა პროფ. გ. გეტმანი. იგი კითხულობდა მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიისა და საქართველოს ეკონომიური გეოგრაფიის კურსს. მისივე ინიციატივით მოეწყო ეკონომიური გეოგრაფიის კაბინეტი, სადაც მან თავი მოუყარა საქორი რუკებს, დიაგრამებსა და წიგნებს. დიდი ნაწილი ამ წიგნებისა პროფ. გ. გეტმანმა საკუთარი ბიბლიოთეკიდან მოიტანა და დღემდე ინახება კათედრის ბიბლიოთეკაში.

1925 წლიდან მოყოლებული ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა თანდათან ფართოვდება, იზრდება წევრთა შემადგენლობა. ამავე პერიოდში პროფ. გეტმანმა დაწერა წიგნები: მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფია, საქართველოს ეკონომიური გეოგრაფია, საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები და სხვ.

აღნიშნული შრომები დღესაც გამოიყენება, როგორც დამხმარე წიგნები ეკონომიურ გეოგრაფიაში. ამ პერიოდში, როდესაც მონდა უნივერსიტეტის ჟიორჯინსკიცა და უნივერსიტეტის შენნიანოვი გაიხსნა საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტი, გეტმანი დანიშნულ იქნა აღნიშნული ინსტიტუტის პროფესორად და ეკონომიური გეოგრაფიის კათედრის გამგედ საფინანსო-ეკონომიური ინსტიტუტის სოციალ-ეკონომიურ ფაკულტეტზე.

ასე რომ 1933 წლამდე ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა, იმყოფებოდა ეკონომიკის ფაკულტეტთან, ხოლო 1932-33 სასწავლო წელს უკვე აღდგენილ უნივერსიტეტში ეკონომიური გეოგრაფიის კათედრა ეკონომიური ფაკულტეტიდან გადატანილ იქნა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტზე. კათედრის გამგედ კვლავ პროფ. გეტმანი დარჩა.

1925 წლიდან 1930 წლამდე გეტმანი ეკონომიური გეოგრაფიაში ლექციებს კითხულობს ამიერკავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1936 წლამდე იგი იყო მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის პროფესორი ეკონომიური გეოგრაფიის დარგში.

1933 წლიდან მოყოლებული მთელი რიგი წლების განმავლობაში პროფესორი გეტმანი ხელმძღვანელობს უწყვეს ასპირანტებს ეკონომიურ გეოგრაფიაში. გარდა ჩვენი რესპუბლიკის ასპირანტებისა, პროფ. გეტმანი ხელმძღვანელობს უწყვედა და უწყვეს აგრეთვე მეზობელ მოკავშირე რესპუბლიკების ასპირანტებსაც.

სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობასთან ერთად პროფ. გეტმანი ეწეოდა და დღესაც ეწევა ნაყოფიერ სამეცნიეროკვლევით მუშაობას. მას სამეც-

ნიერო-კვლევითი მიზნით მრავალი მოგზაურობა და  
ექსპედიცია აქვს ჩატარებული. მან საქართველოს  
თითქმის ყველა კუთხე მოიარა და შესწავლა. მას  
ფინანს აქვს მოვლილი აგრეთვე აზერბაიჯანისა და  
აზერბაიჯანის მრავალი რაიონი. ზემოაღნიშნულ  
სამუშაოთა ჩატარებით საფუძველი ჩაუყარა  
ამიერკავკასიის ეკონომიურ-გეოგრაფიულ შესწავლას  
და შეძლო გამხდარიყო ამ საქმის პიონერი  
არა მარტო საქართველოში, არამედ მიუღწეველ  
ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიის ეკონომიურ-გეო-  
გრაფიული საკითხები გეტმანს ჯერ კიდევ 1918  
წლისათვის ჰქონდა დამუშავებული იმდენად, რომ  
იგი დათვლიდა მთელ კურსს კითხვებშიც თბილისის  
პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ამიერკავკასიის  
ბუნებრივი საწარმოო ძალების შესახებ.

გ. გეტმანი პიონერად გვევლინება აგრეთვე  
მსოფლიო ეკონომიური გეოგრაფიის საკითხების  
დამუშავებაში ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.  
მან მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა აღნიშნული  
საკითხების დამუშავებას და შეძლო 1925 წელს  
გამოქვეყნება შრომა — „მსოფლიო ეკონომიური  
გეოგრაფია“, რომელიც პირველი წიგნი იყო ქარ-  
თულ ენაზე ამ დარგში. აღნიშნული წიგნის გამო-  
ქვეყნება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ  
გეოგრაფიულ ლიტერატურაში. გარდა აღნიშნული  
შრომისა, პროფ. გ. გეტმანის ავტორობით შემ-  
დგომ პერიოდში ქვეყნდება კიდევ ბევრი სახელმ-  
ძღვანელო, დამხმარე წიგნი და სამეცნიერო-მეთო-  
დოლოგიური ხასიათის შრომები, რომელთაგანაც  
აღსანიშნავია: „საქართველოს ეკონომიური გეოგრა-  
ფია“, „საქართველოს ბუნებრივი საწარმოო ძალები“,  
„გამოჩენილი გეოგრაფები და მოგზაურნი  
(სიტყვარ-ცნობარი)“, „გეოგრაფიულ სახელწოდება-  
თა ახსნა-გამხარტებანი, მოკლე ფიზიკურ-გეოგრა-  
ფიული სიტყვარი და სხვ. განსაკუთრებით აღსანიშ-  
ნავია ღრმა მეცნიერული კამბეჭდული შრომა,  
რომელიც პროფ. გეტმანმა 1955 წელს გამოაქვეყ-  
ნა — „ნარკვევები გეოგრაფიის ისტორიიდან.“  
პროფ. გეტმანმა გამოაქვეყნა აგრეთვე მრავალი  
მეცნიერული სტატია, პედაგოგიურ-მეთოდური წე-  
რები, საკურნალო და საგზაო სტატია, ბიბლიო-  
გრაფიული უნივერსალური საეციკლოპედიო სტატია,  
რეცენზია, კრიტიკული ნარკვევი და ა. შ. პროფ.  
გ. გეტმანის დაუბეჭდავ და დაბეჭდული შრომათა  
სია 100-ზე მეტი სახელწოდებისაგან შედგება. იგი  
ერთ-ერთი დამაარსებელია ცნობილი ქართული სა-  
ბავშვო ჟურნალის „ნაკადლისა“, რომლის რედაქ-  
ციის წევრადაც იგი ერთხანს მუშაობდა.

პროფ. გ. გეტმანი მეცნიერების მგზნებარე  
პროპაგანდისტია. მას წყაობული აქვს სამეცნი-  
ერო-მეთოდური და სხვა პოპულარული ხასიათის  
ლექცია-მოხსენებები გეოგრაფიულ საზოგადოება-  
ში, უნივერსიტეტსა და ინსტიტუტებში, აგრეთვე

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებიდან  
პრაქტიკულ ჩამოსულ სტუდენტებისთვის მისი  
ლექცია-მოხსენებები ყოველთვის დღემდე არის  
არსიანი, დიდ ინტერესს იწვევს და ფართო საზო-  
გადოებას იზიდავს.

დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფ. გ. გეტმანს სა-  
მეცნიერო კადრების მომზადების დარგში. მისი  
ხელმძღვანელობით აღიზარდა მთელი თაობა მეც-  
ნიერებისა, არა მარტო ჩვენში—საქართველოში,  
არამედ მოძვე რესპუბლიკებში — სომხეთსა და  
აზერბაიჯანში.

განსაკუთრებით დიდაა პროფ. გ. გეტმანის  
დამსახურება გეოგრაფიული საზოგადოების წინა-  
შე, იგი ამ საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებე-  
ლია და 1924 წლიდან აქტიურ მუშაობას ეწევა რო-  
გორც საბჭოს წევრი, პრეზიდიუმის წევრი, ერთ-  
ხანს თავმჯდომარის მოადგილე, ბიბლიოთეკის  
ხელმძღვანელი, საზოგადოების დაწარმოების რეცენ-  
ზენტი და რედაქტორი.

პროფ. გ. გეტმანი ცნობილია, როგორც გამო-  
ჩენილი ბიბლიოგრაფი, ლიტერატურის დიდი მკო-  
ნდნე როგორც გეოგრაფიის, ისე ეკონომიკისა და  
სხვა დარგში. მისი წიგნებისადმი დიდი სიყვარუ-  
ლით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ საბიბლიო-  
თეკო საქმეშიც მას დიდი შრომა აქვს გაწეული, იგი  
მუშაობდა თბილისის აკადემიური ბიბლიოთეკისა  
და საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორად 1921 წლის-  
დან 1930 წლამდე. უნდა აღინიშნოს ის გარემოე-  
ბაც, რომ მან საკუთარი ბიბლიოთეკიდან მრავალი  
წიგნი, პერიოდული გამოცემა და ხელნაწერი გა-  
დასცა საჯარო ბიბლიოთეკას.

პროფ. გ. გეტმანის უნაგარი დამსახურებანი  
მეცნიერებისა და საზოგადოების წინაშე საბჭოთა  
ხელისუფლების პირობებში სათანადოდ იქნა და-  
ფასებული. გეოგრაფიისა და ეკონომიკის მეცნიე-  
რებათა დარგში გაწეული ნაყოფიერი მუშაობი-  
სათვის 1940 წლის 16 აპრილს სტალინის სახელო-  
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამე-  
ცნიერო საბჭომ მას ერთხმად მიანიჭა გეოგრაფიის  
მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი.  
1941 წელს მეცნიერების დარგში დიდი დამსახუ-  
რებისათვის საქართველოს სსრ შთავრდამ მას  
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწო-  
დება მიაკუთვნა. ხანგრძლივი და უმწყიკლო მუშა-  
ობისათვის 1953 წელს პროფ. გ. ნ. გეტმანი და-  
ჯილდოებული იქნა ლენინის ორდენით.

ასეთი 85 წლის მცხოვანი ადამიანის, საქარ-  
თველოსა და ამიერკავკასიაში ეკონომიური გეოგრა-  
ფიის სკოლის შემქმნელის, უნივერსიტეტის პრო-  
ფესორის, გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტო-  
რის, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის გი-  
ორგი ნიკოლოზის-ძე გეტმანის ცხოვრებისა და  
შრომის მრავალფეროვანი გზა.

# მიქრობიოლოგია

## ბიოქიმიური ნივთიერების რეაქტივები

პროფესორი **პ. სპაშიანი**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

40 წლის წინ გამოჩენილი საბჭოთა მიკრობიოლოგი ვ. ლ. ომელიანსკი მიუთითებდა მიკრობების ქიმიურ რეაქტივებად გამოყენების შესაძლებლობაზე. „ბაქტერიების სახით ქიმიკი იძენს ნაირგვარი რეაქტივების ახალსა და კემპარიტ გამოუღვევლ წყაროს, რეაქტივებს, ბევრად უფრო სპეციალიზებულისა და მგრძნობიარეს, ვიდრე ის, რასაც ეს მეცნიერება აქამდე ფლობდა. მაგრამ, ამასთანავე მათი გამოყენება მოითხოვს მათი მოქმედების განსაკუთრებით ფაქიზ რეგულაციას“, — წერდა ის.

უკანასკნელმა 10 წელმა ვ. ლ. ომელიანსკის ამ მეცნიერულ წინასწარმეტყველებას პრაქტიკული დადასტურება მოუპოვა.

ჩვენს ქვეყანაში მიკრობიოლოგიის სწრაფ განვითარებაში, მის აყვავებაში დიდი როლი ითამაშა ომელიანსკის წინამორბედი რუსი მეცნიერების თავდადებულმა შრომამ, რომელნიც სწავლობდნენ მიკრობული უჯრედის ნივთიერებათა ცვლას.

მ. ვ. ნენცკის ლაბორატორიაში პირველად იქნა დადგენილი ბაქტერიებში ამინებიდან ამინოაზო-ახ-ის წარმოქმნის ბიოქიმიური სქემა, რასაც თან ახლავს კარბოქსილის ჩვეულის დაშლა. ეს რეაქცია, რომელიც ბაქტერიალური ფერმენტების—კარბოქსილაზების მოქმედებით ხორციელდება, ამჟამად ფართოდ გამოიყენება ბიოქიმიური ანალიზის მიზნებისათვის.

ნ. უშინსკის (1893) გამოკვლევებით ნაჩვენებია იქნა, რომ შესაძლებელია შიკრიბების კულტურის მიღება სინთეზურ საკვებ არეზე. შემდგომი გამოჩენილმა რუსმა მეცნიერმა ს. ნ. ვინოგრადსკიმ (1897) (ომელიანსკი მისი თანაშემწე იყო) მიუთითა მიკრობების როლზე ქიმიურ პროცესებში.

რაში მდგომარეობს იმ მიკრობიოლოგიური მეთოდების არსი, რომელნიც ბიოქიმიური ანალიზისათვის გამოიყენება?

იმისათვის, რომ ამ კითხვაზე პასუხი გავცეთ, საჭიროა წარმოვადგინო ვიქონით მიკრობების ნივთიერებათა ცვლავს და მათი კვების ხასიათზე.

თუ ვითო, სახელობრ, რა ორგანული და არა-ორგანული ნივთიერებები ხმარდება საკვებად ბაქტერიებს, შეიძლება ხელოვნურად წარვმართოთ მათი ცხოველყოფილობა გარკვეული შემადგენლობის სინთეზურ საკვებ ნიადაგზე მათი გაზრდის საშუალებით.

მიკრობების კვების დარგში მეცნიერების მიღწევებმა შესაძლებელი გახადა მომზადებულიყო

საუფუძელი ბიოქიმიურ განსაზღვრებათა მიკრობიოლოგიური მეთოდების შექმნისათვის. ამ განსაზღვრებათა პრინციპი მდგომარეობს იმ შემადგენელი ნაწილის გამორიცხვაში საკვები ნიადაგიდან (ამინომეა, ვიტამინი და სხვ.), რომლის რაოდენობრივი განსაზღვრაცაა საჭირო მიკრობის ზრდის ინტენსივობის მიხედვით. ამისათვის საკვალდებულო პირობას წარმოადგენს არა მარტო ამ შემადგენელი ნაწილის აუცილებლობა მიკრობების ნორმალური ზრდისათვის, არამედ მათი ზრდის პროპორციულობა (გარკვეული ფარგლებში მინც) ამ ნივთიერების კონცენტრაციის სინთეზურ საკვებ ნიადაგში. უკანასკნელის მომზადება ყოველი განსაზღვრის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ამინომეაების, ვიტამინებისა და ორგანიზმების შემადგენლობაში მყოფი სხვა ნივთიერებათა განსაზღვრის მიკრობიოლოგიურმა მეთოდებმა ფართო გავრცელება პოვა მათი სიმარტივისა და უნივერსალობის გამო, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელსაწყობის, განსაზღვრის ტექნიკა, საჭირო რეაქტივები ყველა განსაზღვრისათვის ძირითადად ერთბოიანია. კარგი თერმოსტატი ან თერმოსტატული ოთახი, ავტოკლავი, ბიურეტები და მიკრობურეტები, ნეფელომეტრი, სასწორი, ჩვეულებრივი ლაბორატორიული მურქელი (რომელთაგან სტანდარტული ტიპის სინჯარები საქმავო რაოდენობით უნდა გვექონდეს) — აი ძირითადად ის, რაც საჭიროა მიკრობიოლოგიური რაოდენობრივი ანალიზისათვის და რაც მისაქვლადია ყოველი ლაბორატორიისათვის. უმრავლეს შემთხვევებში შეიძლება ნეფელომეტრიც არ გვექონდეს.

ამრავად, დაუფუძლება რა რომელიმე ერთი განსაზღვრის მეთოდიცა, ლაბორატორია პრინციპში ეუფლება ათეული სხვადასხვა ნივთიერების განსაზღვრის მეთოდებს, რაც მიკრობიოლოგიური მეთოდის მნიშვნელოვან უპირატესობას წარმოადგენს. მის დადებით მხარეს წარმოადგენს აგრეთვე მაღალი მგრძნობიარობა, რაც საშუალებას იძლევა საკვლევი ნივთიერება განსაზღვროს მიკროგრაფებში 5—10<sup>6</sup>/მლ-ის სიზუსტით.

თავის აღნაგობისა და საკვებ ნივთიერებებში საჭიროების მხარე ბაქტერიები არც ისე მარტივნი აღმოჩნდნენ, როგორც ამას ამ ცოტა ხნის წინ ფიქრობდნენ. საქმარისია ითქვას, რომ ზოგიერთი წინდა სინთეზური გზით მიღებული საკვები ნიადაგი,

ე. ი. ისეთი, რომლის შემადგენლობა სავსებით გარკვეულია, უნდა შეიცავდეს 50-დე სხვადასხვა ნივთიერებას. ბაქტერიების ასეთი თავისებური მოთხოვნილება გვაიძულებს საყვები ნიადაგის შემადგენლობაში შევიყვანოთ ზოგიერთი ჯერ კიდევ დეფინიტური რეაქტივები, რაც უღაოდ მეთოდის ნაყლს შეადგენს. როგორც ქვემოთ დავინახავთ, მთელ რიგ შემთხვევებში ჩვენმა მეცნიერებმა შეძლეს ამ ძირითადი დაბრკოლების გადალახვა—უფრო მარტივი შემადგენლობის საყვები არეების გამოყენების ხერხების შემუშავება.

მეთოდის ერთგვარ ნაყლს წარმოადგენს აგრეთვე მისი შრომატევადობა. გარდა ამისა, ჩვეულებრივ ბიოქიმიური ანალიზებისათვის სრულიად მისაღებ სისუსტესთან ერთად (—10%), რომ არაფერი ვთქვათ შესანიშნავ მგრანობიარობაზე, რაც სამუშაოებს იძლევა ვაწარმოთ ანალიზი მასალის მეტად მცირე რაოდენობებით (ამინომეაური შემადგენლობის დასადგენად საკმარისია ცილის სულ 20—30 მგ).

მიკრობიოლოგიური მეთოდი\* არ შეიძლება ამ მხრივ შედარებულ იქნეს ბიოქიმიური ანალიზის ზოგიერთ სხვა მეთოდებთან, რომელთა სიზუსტე ერთ პროცენტს აღწევს (ზოგჯერ კი ერთ 0/100-ზე დაბალია), მაგრამ მაღალი მგრანობიარობა, ტექნიკური ხერხების სისადავე, მათი ერთობიანობა, ბიოქიმიურ გამოკვლევათა მიზნებისათვის მათ შიგნით პერსპექტიულს ხდის. მიკრობიოლოგიური მეთოდების ერთ-ერთ დადებით მხარეს შეადგენს მათი სპეციფიკობა, სხვა სიტყვებით, მოცემული მიკრობული კულტურის ზრდა დამოკიდებულია საყვებ ნიადაგში არსებული განსაზღვრული საკვლევი ნივთიერების —ამინომეაუის, ვიტამინისა და სხვ. კონცენტრაციაზე.

განსაზღვრის ყოველი მიკრობიოლოგიური მეთოდი შეიცავს შემდეგ სტადიებს: 1. ლაბორატორიული ჭურჭლისა და ხელსაწყოების მომზადება, 2. საყვები ნიადაგის მომზადება გარკვეული სახეობის მიკრობის კულტურისათვის. აქ შედის იმ სინთეზური არის მომზადება, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი საკვლევი ნივთიერებაა და რომელსაც ასეთ შემთხვევაში გამოირჩევენ ნიადაგის შემადგენლობიდან, 3. საკვლევი ნივთიერებისა და საანალიზო სიხვის სტანდარტული ხსნარების მომზადება, 4. სტერილიზაცია (ავტოკლავირება, გაფილტვრა სათანადო ფილტრებში), 5. ცდის დაყენება, 6. კულტურის დათესვა და მისი გათბობა თერმოსტატში, 7. მიკრობების ზრდის ინტენსივობის გაზომვა (სიმღვრივის, მკავეობის ან წონის განსაზღვრა).

წარმატება მიკრობიოლოგიური მეთოდის მუშა-

\* მიკრობიოლოგიური მეთოდების მგრანობიარობის დასასაბუთებლად საკმარისია მივთხოთ იმაზე, რომ ვიტამინი B<sub>1</sub> მათი გამოყენებით შესაძლებელია განისაზღვროს განზავეობა 1:400.000.000.000.

ობისას ბევრად და მოკიდებული სინთეზური ნიადაგების სათანადოდ მომზადებისაგან. ნიადაგის უფრო შეიცავდეს ყველა ამინომეაუს, ვიტამინებს, რინისა და პირიმიდინის ნაერთებს; გარდა ამისა, მიკრობების ნომალური ზრდისათვის აუცილებელ ნაწიერებს, მინერალურ მარილებს და წყალს.

ზემოქმედობიდან გამოდინარობს, რომ სინთეზური ნიადაგების მომზადებლად საჭიროა გვირგვინდეს ნაირგვარი, ხშირად დეფინიტური და ამავე დროს განსაკუთრებით სუფთა რეაქტივები.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საბჭოთა ბიოქიმიკოსების კვლევითი მუშაობა, მიმართული მიკრობიოლოგიური მეთოდების გამართვებისა და დეფინიტური რეაქტივების უფრო ადევილად მისაწვდომ შემცველთა წყაროს გამოხატვისაგან.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა პერშინისა და შჩერბაკოვას (1951) მიერ შემუშავებული ერთ-ერთი წყალში ხსნადი ვიტამინის—ფოლიუმეაუს განსაზღვრის მეთოდი. ავტორებმა შეძლეს მიეღოთ იაფფასიანი და მისაწვდომი ნიადაგი, რომლის ძირითადი შემადგენელია მარილები, გლუკოზა და კახენის ფერმენტული მოწელების პროდუქტები. უკანასკნელს სპეციალური დამუშავების საშუალებით ათავისუფლებენ ფოლიუმეაუსისაგან. ამ დროს იკარგება ვიტამინები — ნიკოტინისა და პანტოთენის მკავეები, რომელთა დამატება საჭირო ხდება, ხოლო დანარჩენი ვიტამინების დამატება კი ზედმეტი. ავტორების მიერ მომზადებულმა რამდენიმე ასეთი საყვები ნიადაგი, რომელია გამოყენებისას მიღებულ იქნა მსგავსი შედეგები ფოლიუმეაუსის განსაზღვრისას სინთეზურ პრეპარატებში.

ზოგიერთი სინთეზური საყვები ნიადაგების მომზადება მოწოდებულია უახლოეს დროში (მათი შემადგენლობის შესახებ იხ. ა. მარდაშოვი (1950), ასათიანი (1951).

საუფარი სოკოებისა და ნეიროსპორის მეშვეობით განსაზღვრათა საწარმოებლად იყენებენ შემდარებით მარტივი შემადგენლობის ნიადაგებს.

უკანასკნელ დროს ოდინცოვამ, მვისელმა და გუსკევამ (1951) მოგვეცეს ზოგიერთ ავტორების მიერ მოწოდებული ვიტამინ B<sub>1</sub>-ის განსაზღვრის მიკრობიოლოგიური მეთოდების კრიტიკა. ამ მეთოდებში გამოყენებულია ამ ვიტამინის კოკარბოქსილაზური მოქმედება პირიფორმის მკავეის დაშლისას\*, ან მიკროორგანიზმების დელილის რეაქცია. ზემოხსენებულმა საბჭოთა მკვლევარებმა მოგვარდეს ვიტამინ B<sub>1</sub>-ის განსაზღვრის მეთოდი, რომელშიც გამოყენებულია დუ-

\* ვიტამინ B<sub>1</sub> (თიამინის) ნაერთი ფლფორმგავას ორ ნაწილაკთან კოკარბოქსილზას წარმოადგენს, ე. ი. იმ ფერმენტის აქტიური ჯგუფს, რომლის მოქმედებით ხდება CO<sub>2</sub>-ის მოწყვეტა ე. წ. ტრანსმეაუთა მკავეურ ჯგუფებიდან (მაგ., პირიფორმის მკავე). ამ პროცესს დეკარბოქსილირება ეწოდება.

ლილის მეთოდი *Endomyces magnusii* კულტურის გამოყენებით სრულიად მარტივი შემადგენლობის შაქრიან ფოსფატთან წინადაგზე. მასალა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჩვეულებრივი შაქრის ფხვნილი, რომელსაც უმატებენ აგარის მინერალურ წინადაგ ზოგიერთ სხვა ნივთიერების დამატებით. მის მგრძობიარობას აღნიშნავენ სმირნოვი და დიკანი. (1949 წ.), რომლებმაც ის გამოიყენეს თიამანის განსაზღვრისას ქანარისნაირი თევზების ნერვულ სისტემაში.

საბჭოთა მეცნიერების კვლევითი შემუშავება უდავოდ მოგვცემს სინთეზური წინადაგების კიდევ უფრო მნიშვნელოვან გამარტივებას, რაც სტიმულს მისცემს მიკრობიოლოგიური მეთოდების დანერგვას ბიოქიმიურ გამოკვლევათა პრაქტიკაში.

წარმატატი პერსპექტივა ისახება მიკრობიოლოგიური მეთოდებით ბიოლოგიური მასალის ანალიზი ცილების წინასწარი პიდროლოზის გარეშე, რაც განხილულია მარდაშოვის სტატიაში (1950). ეს შესაძლებელს გახდის მიკრობიოლოგიური მეთოდების მნიშვნელოვან გამარტივებას და მათი გამოყენების მასშტაბის გაფართოებას.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს საკითხი მიკრობიოლოგიურ განსაზღვრათა წარმოების შესაძლებლობის შესახებ უშუალოდ ისეთ ბიოლოგიურ მასალაში, როგორცაა ცხოველური და მცენარული ქსოვილები, სისხლის პლაზმა, შარდი და სხვ.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ მარდაშოვის (1950), რომელიც გვაფრთხილებს ზოგიერთ ავტორთა მიერ მოწოდებულ ამგვარი მეთოდების კრიტიკის გარეშე გამოყენებისაგან. ადვილად დერწმუნდებით იმაში, რომ მიკრობიოლოგიური მეთოდების გამოყენება მეტად ნაარგვარ ნივთიერათა შემცველ ბიოლოგიურ მასალაში განსაზღვრათა წარმოებისათვის დაკავშირებულია ცდომილების მრავალგვარ წყაროსთან. ამიტომ ბიოლოგიური სითხეებისა და ქსოვილების მომზადება ანალიზისათვის მიკროორგანიზმების გამოყენებით განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს (ამ მეთოდების აღწერა იხ. ასათიანი 1949, 1951, 1952).

როგორც ცნობილია, მიკრობების ზრდის შესახებ, რაც დამოკიდებულებაშია საკვებ ნიადაგში ამ ნივთიერების კონცენტრაციისაგან, რომლის რაოდენობრივი განსაზღვრა წარმოებს, შეიძლება ვიმსჯელოთ პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრის საფუძველზე. განსაზღვრის პირდაპირ მეთოდს წარმოადგენს მიკრობული უჯრედების მასის აწონვა ან მისი მოცულობის გაზომვა. შესაძლებელია აგრეთვე განისაზღვროს ნიადაგის შემდგერევა, გამოწვე-

ული მიკრობების უჯრედებით. სიმღვრვის ხარისხს ადგენენ თვალთ ან უფრო ზუსტად სპეციალური ხელსაწყოების (ტურბიდიმეტრები, ტურბიდომეტრების) საშუალებით. არაპირდაპირ მეთოდებად გამოყენებულია იმ ქიმიურ პროდუქტთა განსაზღვრა, რომელთა რაოდენობა გარკვეული ხარისხით მიკრობების ცოცხალი მასის პროპორციულია. მათ ცხოველმყოფელობის ამგვარ პროდუქტებს წარმოადგენენ, მაგალითად, რძის მკვავ ან ნახშირორკანგი.

ყველაზე უფრო გავრცელებულ ხერხს წარმოადგენს დაგროვებული რძის მკვავს გატიტრა გარკვეული ნორმალობის ტუტის ხსნარით.

სიმღვრვის განსაზღვრის მეთოდები (ტურბიდომეტრია) ნაკლებადაა გავრცელებული, მაგრამ მათ ისეთივე სიზუსტის შედეგის მოცემა შეუძლიათ. აუცილებელია მხოლოდ, რომ განსაზღვრის ობიექტი ოპტიკურად „სუფთა“ იყოს და რომ სიმღვრეე დამოკიდებული იყოს მხოლოდ მიკრობების ზრდისაგან და არ იყოს გამოწვეული რაიმე სხვა მიზეზით.

ტურბიდომეტრიულ განსაზღვრას მიმართავენ საფუარი სოკოების გამოყენებაზე დამყარებულ მეთოდებში, ზოგჯერ აწარმოებენ წარმოქმნილი CO<sub>2</sub>-ის მოცულობის განსაზღვრასაც.

შემდგერვის ინტენსივობის გაზომვას მიმართავენ სხვადასხვა (არა რძემკვავ) ბაქტერიების გამოყენებისას. ზოგიერთ შემთხვევებში, განსაკუთრებით, როდესაც *Neurospora* იხმარება აგრეთვე გაზრდილი მიცელიუმის აწონვა მისი წინასწარი გამოცალკეების (ნემსით, ან გაფილტვრით), გარეცხვის, და გაფილტვრის შემდეგ, ეს პროცედურა, რა თქმა უნდა, ტურბიდომეტრიაზე და გატიტრავაზე უფრო რთულია.

ბოლო ხანს ბიოქიმიკაში მიმართავენ მიკრობიოლოგიური მეთოდების სხვა მეთოდებთან შეხამებას. მაგალითისთვის მოვიყვანოთ ვიტამინ B<sub>12</sub>-ის განსაზღვრის მიკრობიოლოგიური მეთოდი უინსტენ-ეიგენის (1950) მიხედვით. ამ ავტორების მიერ შემუშავებული ე. წ. „ბიო-ავტოგრაფების“ მეთოდი დამყარებულია ქრომატოგრაფიული ანალიზის მეთოდის შეხამებაზე ვიტამინების განსაზღვრის მიკრობიოლოგიურ მეთოდთან.

როგორც ცნობილია, ქრომატოგრაფიული ანალიზი, რომლის შემქმნელია მ. ს. ცვეტი, ემყარება სხვადასხვა ნაერთის (ვიტამინების, ამინომჟავათა და სხვ.) არაერთგვარ თვისებას. ამ ნივთიერებებს უნარი აქვთ აბსორბირებულ (შთანთქმულ) იქნან ამა თუ იმ ნივთიერებათა ზედაპირით, რაც საკვლევ ნივთიერებათა ერთმანეთისაგან გამოყოფის საშუალებას იძლევა.

ქალაქის ქრომატოგრაფიის მეთოდის არსი შემდეგში მდგომარეობს. საკვლევ ხსნარს აწვეთებენ ფილტრის ქალაქის ზოლის ერთ ბოლოზე, ხსნარი ისრუტება ფილტრის ქალაქი და გადაადგილდება მის მეორე ბოლოაკენ. ამ დროს მასში განხილი სხვადასხვა ნივთიერება ნაწილდება სხვადასხვა დონეზე. ცალკეული ნივთიერების მოძრაობის სიჩქარის კოეფიციენტებისაგან დამოკიდებულებებით ასეთ „ქრომატოგრაფიას“ შემდეგ ამქვავებენ, რისთვისაც მას ასევე ჰქვია სათანადო რეაქტივით. ქალაქზე ჩნდება სხვადასხვაფერად შეფერილი ლაქები, დამოკიდებულებით იმისგან, თუ როგორ განაწილდნენ საკვლევი ნივთიერებები სითხის დინების დროს: ლაქას ადგილმდებარეობისა და მისი შეფერვის ინტენსივობის მიხედვით, შეიძლება განისაზღვროს საკვლევი ნივთიერების არსებობა ხსნარში და მისი კონცენტრაცია (რაოდენობა).

ბიო-ავტოგრაფების მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ზრდის ფაქტორების შემცველი ხსნარის ქრომატოგრაფიას დაფარებენ აგარის საკვებ ნიადაგის ზედაპირს, რომელზედაც დათესილი იყო სათანადო ბაქტერიალური კულტურა.

აგარის ნიადაგი უნდა შეიცავდეს მოცემული მიკროორგანიზმებისათვის (ტესტ-მიკრობისათვის) ყველა საჭირო ნივთიერებას, საკვლევი ნივთიერების გამოყოფისათვის. ქალაქის ზოლის მოცილებისა და მისი 37<sup>0</sup>-ზე მოთავსების შემდეგ ქრომატოგრაფის სხვადასხვა უბანზე ჩნდება მიკრობების ზრდის ზონები. ზრდის სხვადასხვა ფაქტორის ადგილმდებარეობა დამოკიდებული იქნება იმ გამხსნელთა სისტემაზე, რომელიც გამოყენებულ იქნა ქრომატოგრაფიის დამუშავების დროს. მათი ამ ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელია საკვლევ სინჯში არსებული სხვადასხვა ფაქტორის იდენტიფიცირება და დახასიათება.

ნიადაგს, რომლის საშუალებით ხდება გამკვავებული ქრომატოგრაფიის დამუშავება, ეწოდა „ბიო-ავტოგრაფი“.

მეთოდი გამოსადეგია ვიტამინ B<sub>12</sub>-ის როგორც თვისობრივი, ისე რაოდენობრივი განსაზღვრისათვის.

ბოლო დროს საბჭოთა მეცნიერები ბიოქიმიური გამოკვლევებისათვის წარმატებით იყენებენ ბაქტერიულ ფერმენტებს — დეკარბოქსილაზებს

(იხ. მარდაშოვი 1949), კომბინაციაში ქრომატოგრაფიულ მეთოდებთან (მარდაშოვი და სემინა 1949, კრიცმანი და დარუტინიანი 1951 წ.). შემდეგ ბიო უფრო საკვლევი ცნობები მოგვეპოვება ბაქტერიოლოგიური მეთოდის ნიშანდებული ატომების მეთოდთან შესაბამის შესახებ. ამ მეთოდის გამოყენება მიკრობიოლოგიაში განხილულია კონიკოვასა და კრიცმანის (1951) სტატიაში.

მიკრობიოლოგიური მეთოდის სიზუსტე ჩვეულებრივ ძვეს 10%-ის ფარგლებში, ყველა პირობის ზუსტი დაცვისას მისი სიზუსტე შეიძლება მნიშვნელოვნად გაეზარდოს.

ბიოქიმიურ გამოკვლევებში მიკრობიოლოგიური მეთოდების გამოყენების დიპაზონი სულ უფრო მეტად ფართოვდება. საკმარისია მივუთითოთ იმაზე, რომ გარდა ამინომჟავებისა და წყალში ხსნადი ვიტამინებისა, მიკრობიოლოგიური მეთოდით ისაზღვრება პირიმიდინის ფუძეები, ანტიბიოტიკები, ცხიმში ხსნადი ვიტამინები D<sub>2</sub> და D<sub>3</sub>, გოგირდი და მთელი სხვა ნივთიერებები.

მიკრობიოლოგიური მეთოდის ვარგისობის შესამოწმებლად რამდენიმე ზეგნის არსებობს. ამისთვის ისაზღვრება: 1. საკვლევი ნივთიერების რაოდენობის განსაზღვრის შედეგების თანამთხვევა (მისი წინასწარ საანალიზო სინჯში დამატებისას). 2. ერთი და იგივე ნივთიერებების განსაზღვრის შედეგების თანამთხვევა სხვადასხვა მიკროორგანიზმების გამოყენების დროს. 3. სხვადასხვა კონცენტრაციით აღებულ ერთ და იმავე ნივთიერების ანალიზის შედეგების თანამთხვევა (სათანადო გადაანგარიშებით). 4. მიკრობიოლოგიურის გარდა სხვა მეთოდების (ქიმიური და სხვ.) ანალიზის შედეგების თანამთხვევა პირველის შედეგებთან. 5. სტაბილობა (განმეორებითი ანალიზების შედეგების თანამთხვევა) ერთი და იგივე მეთოდით სარგებლობის დროს.

აქ ჩამოთვლილია ძირითადი ნიშნები, რომელთა მიხედვით შეიძლება მიკრობიოლოგიური მეთოდი შეფასდეს.

საბჭოთა მეცნიერთა ხელში მიკრობიოლოგიური მეთოდები, დაფუძნებული მ. ვ. ნენცკის, ს. ნ. ვინოგრადსკის, ვ. ლ. ომელიანსკის და სხვათა მეცნიერულ მემკვიდრეობაზე, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი ხდება და თანდათანობით მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბიოქიმიურ გამოკვლევებში.



# აბრეშუმი წარუქმის

## კვლევის უნარის გამოსაკვლავი ღონისძიებები

ი. მლიძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

აბრეშუმის პარკის ხარისხის ერთ-ერთი ძირითადი განმსაზღვრელია მისი დარღვევითი უნარიაზონობა.

სამრეწველო დანიშნულების პარკებიდან, როგორც ცნობილია, ძაფსაღებ ფაბრიკებში ამზადებენ ხამ ძაფს, ე. ი. სპეციალურ დანადგარებზე განსაზღვრული ტექნოლოგიური პროცესით პარკებს დარღვევენ ხამ ძაფად. ერთი პარკი საშუალოდ შეიცავს 700-800 მეტრ წვრილ ძაფს, ხოლო ზოგიერთი ჯიშის პარკი — 1500 მეტრამდე. პარკის ძაფის მეტრული ნომერი ძლიერ მაღალია, ის აღწევს 3000-დგ, ე. ი. ერთი პარკის ძაფი ისეთი წვრილია, რომ 3000 მეტრი 1გრამს იწონის. აბრეშუმის ხამი ძაფი, რომელსაც გამოყენება აქვს საქსოვ წარმოებასა და ტექნიკაში, წარმოადგენს 7-8 ცალკეული პარკის ძაფების შეერთებას ერთ, შედარებით მსხვილ ძაფად.

ბუნებრივი აბრეშუმი ძირითადად შედგება ორი ნივთიერებისაგან—ფიბროინისა და სერიცინისაგან, 75%-ს შეიცავს ფიბროინს და 25%-ს სერიცინს. ხამი ძაფის შექმნის საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს აბრეშუმის სერიცინს. სერიცინი არის ცილოვანი ნივთიერება, მას აქვს წვეთის თვისებები, ამიტომ ხამი ძაფის შექმნის საქმეში სერიცინი, როგორც წებოვანი ნივთიერება, დიდ როლს ასრულებს. სერიცინის საშუალებით ცალკეული პარკის ძაფები, ძაფსაღები დაზვის სპეციალურ მიწყობილობათა საშუალებით, ხამ ძაფად ფორმირების მომენტში, ერთიმეორეს სიგრძეზე შეეწებება და ქმნის ერთ მთლიან „ტექნიკურ“ ძაფს, რომელსაც, როგორც აღწინაშეთ, გამოყენება აქვს სხვადასხვა წარმოებაში აბრეშუმის ხამი ძაფის სახელწოდებით.

ამრიგად, აბრეშუმის ხარვეზი ძაფისა და ქსოვილის მისაღებად საჭიროა პარკების დარღვევა ხამ ძაფად. პარკების დარღვევის გარეშე ხამი ძაფის მიღება შეუძლებელია. ამიტომაც პარკის დარღვევის პროცესის სწორად შესწავლას უღარეხად დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო პარკის ხარისხის შესწავლისა და გამორკვევის საქმეში საერთოდ, არამედ აბრეშუმის ახალი ჯიშებისა და ჰიბრიდების გამოყვანის საქმეშიც, რადგან ყოველი სელექციონერი თავის მუშაობას საფუძვლად უდებს პარკის ტექნოლოგიურ მაჩვენებლებს და პირველ რიგში მის დარღვევით უნარიაზონობას.

ჯერჯერობით არ არსებობს პარკის დარღვევითი უნარიაზონობის გამორკვევის ობიექტური მეთოდი. პარკის დარღვევითი უნარიაზონობის შესწავლა დღემდე წარმოებს სუბიექტური მეთოდებით, რომელთა დროსაც ამ მაჩვენებლის გამორკვევაში მონაწილეობს ისეთი სიდიდეები, რომლებიც ძლიერ ცვალებადია და დამოკიდებულია როგორც ექსპერიმენტატორზე, ისე სხვა მრავალ ფაქტორზე, რომელთა დაცვა ცდის მიხედვით მანძილზე ძნელია.

ყოველივე ამის გამო აუცილებელი იყო ისეთი ხელსაწყოების შექმნა, რომელიც საშუალებას მოგვცემდა პარკის დარღვევითი უნარიაზონობა შეგვესწავლა ცდის ობიექტურა მეთოდის საშუალებით.

მთელი რიგი ცდებისა და ექსპერიმენტების ჩატარების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ავაგეთ პირველი სამუშაო მოდელი ასეთი ხელსაწყოებისა და მას ვუწოდეთ პარკის დამრღვევი დინამოგრაფი.

იგი ძირითადად შედგება 5 ნაწილისაგან:

1. დინამოგრაფის დოლი (ა) მოთავსებულია ვერტიკალურ ლერძზე. ამ დოლზე გადაკრულია გაჭვარტული ქაღალდის ლენტა. ამ ლენტზე კი ავტომატურად იწერება საცდელი პარკის დარღვევის რაოდენობა.
2. დიაგრამის ჩამწერი ვიბრატორი (ბ) დამაგრებულია ვერტიკალურ დგარზე. ვიბრატორს თავზე მიმაგრებული აქვს ანკერის ქვეში ჩასმული თავისუფლად ტრიალა პატარა კოჭი და დიაგრამის ჩამწერი ნემსი (ა). კოჭა და ნემსი დამაგრებულია ვიბრატორის ბრტყელი ზამბარაის თავზე. ამ ზამბარაის ბოლო ყრუდაა დამაგრებული ვიბრატორის კორპუსზე. ამრიგად, კოჭის მოძრაობით ზამბარაი ვერტიკალურ სიბრტყეში განიცდის რხევას და, მაშასადამე, მასზე მიმაგრებული ჩამწერი ნემსიც ირხევა. ვიბრატორს აქვს მიკრომილიმეტრული დამყენებელი ხრახნი (ე), რომლის საშუალებით ჩამწერი ნემსი მდოგრად დაიყენება დოლზე გადაჭიმულ, გაჭვარტულ ქაღალდის ლენტზე.
3. მრგვალი ფორმის ჯარა (ა) მოთავსებულია პორიზონტალურ ლერძზე, რომელზედაც დაეხვევა ხოლმე პარკის ძაფი (ბ)—კოჭზე გავლით. აღნიშნული ჯარა ლედური გადაცემებით, ერთ მხრივ, შეერთებულია ელექტროძრავთან (ა), ხოლო, მეორე მხრივ, სპეციალურ მივლელებს (ა), რომელიც აღრიცხავს ჯარას ბრუნვათა რაოდენობას.

4. პარკის სახარშავი და ამოსახვევი ქვაბი (კ), რომელშიაც წყალი ცხელდება ელდენით. წყლის ტემპერატურის აღსარიცხავად ქვაბს შიგნიდან მიმაგრებული აქვს სათანადო თერმომეტრი. ქვაბს გარედან მიდგმული აქვს პარკის ძაფის მიმართულების მიმცემი სპეციალური მოწყობილობა.


5. საათის მექანიზმს (ა) სპეციალური კბილანური გადაცემებით მოძრაობაში მოყავს დოლი (ა). საათის მექანიზმი მოძრაობაში მოდის სპირალურად დახვეული ბრტყელი ფორმის ზამბარაკით. ეს ზამბარაკი მოთავსებულია სპეციალურ ბუდეში (მ), საათის მომართვა ხორციელდება სახელური (ნ).

აპარატზე მუშაობის ტექნოლოგიური პროცესის სქემა ძირითადად შემდეგში გამოიხატება.

მონარშული და თავმონახული პარკი ჩაიდება წყლიან ქვაბში (კ), ხოლო პარკის ძაფის მონახული თავი ძაფის მიმართულების მიმცემ მოწყობილობაში გატარებით ზემოდან გადაეხვევა ე კოქსს, საიდანაც ეს ძაფი, კოქზე გავლის შემდეგ, დაემაგრება (აქ) ჭარას. ამრიგად, ქვაბში მყოფი პარკიდან ძაფი მიეპართება ჯერ ზევით — კოქსიკენ, ხოლო შემდეგ, კოქზე გავლით, — ქვევით ჭარასაკენ ისე, რომ ქვევიდან ზევით კოქზე მიმავალი ძაფი და კოქიდან ქვევით, ჭარასაკენ მიმავალი ძაფი იმყოფება ურთიერთ პარალელურ მდგომარეობაში. ძაფის პარალელურად მიმართულებას ხელს უწყობს ძაფის მიმართულების მიმცემი მოწყობილობა, რომელიც ქვაბთანაა დაყენებული და რომელიც ტექნიკური მიზეზების გამო ვერ არის გამოსახული ნახ-ზე.

ჯარა, რომელზედაც მიმაგრებულია პარკის ძაფის თავი, ბრუნვის დროს იწვევს პარკის დარღვევას და ეს ძაფი ჭარაზე ეხვევა კოქზე გავლით. ძაფის გავლით კოქი მოდის რხევაში და მასთან ერთად რხევას განიცდის მასზე დამაგრებული დიაგრამის ჩამწერი ნემსიც (ა).

აპარატის ამუშავებისას ჭარასთან ერთად ბრუნვას განიცდის აპარატის დოლიც (ა), რომელზედაც გადაკრულია გაჟვარტლული ქაღალდის ლენტ. ამრიგად, ა დოლზე მიყენებული ჩამწერი ნემსი (ბ), რომელიც პარკის დარღვევის პერიოდში კოქსთან ერთად განიცდის რხევას, გაჟვარტლული ქაღალდის ლენტზე აწარმოებს პარკის დარღვევის დიაგრამის ჩაწერას.




ი. დოლიძის სისტემის დინამოგრაფი აპრეტის პარკის დასარღვევად

პარკის დარღვევის პერიოდში კოქა (ბ) იმიტომ განიცდის რხევას, რომ პარკის დარღვევისას მის გარსში სერიცინით ურთიერთ შეწყობილი ძაფები ერთიმეორეს სცილდება, რის შედეგად წარმოიშობა პარკს ძაფების ურთიერთ შეწყობილობის დამძლვეი ძალები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჭარის ბრუნვით გამოწვეულ პარკის დამრღვევ ძალებს. ამ ძალების სიდიდისა და მისი ცვალებადობის ჩაწერას გაჟვარტლულ ქაღალდზე აწარმოებს დინამოგრაფის ჩამწერი.

ამრიგად, ცდის ობიექტური მეთოდით ქაღალდზე ჩაწერება პარკის დარღვევის დიაგრამა, რომლის წაითხვა და დამუშავება დიდ სიძნელესთან არაა დაკავშირებული. გაჟვარტლული ქაღალდის ლენტს, რომელზედაც ჩამწერილია პარკის დარღვევის დიაგრამა, გავატარებთ შერაკისა და სპირტის ხსნარში, რომელიც გაჟვარტლული ქაღალდის ლენტზე ამაგრებს ჩამწერილ დიაგრამას. დიაგრამაზე, მისი გაშრობის შემდეგ, დავაფარებთ გამჭვირვალე მილიმეტრულ ქაღალდს, რის საშუალებით ვზომავთ და ვაკვევთ დიაგრამის ცალკეული კბილის სიმაღლეს და მის გადაზრას ნულოვანი ხაზიდან. დიაგრამის ცალკეული სიმაღლე სპეციალური მონოგრაფით გადაგვაყვს შესატყვის ძაღბში. ეს მონოგრაფი შედგენილია ვიბრატორის ზამბარაკის რხევის წინასწარი შესწავლით.

ზემოთ აღწერილი დინამოგრაფის საშუალებით შესწავლილი იქნა რამდენიმე ჯიშის პარკის დარღვევითი უნარიანობა, ე. ი. გამორკვეულ და დადგინლ იქნა სხვადასხვა ჯიშებისათვის პარკის ცალკეულ ფენაში ძაფებს შორის სერიცინით შეწყობილობის ძალეობა, რის შედეგად მიღებულია საინტერესო მანკენებლები.





## 3. მუშაკანონი

დიდა საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. მეცნიერების სხვა დარგებს შორის ელექტროტექნიკის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და მისი მიღწევები ფართოდ ინერგება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო ცირკის 1954-55 წლის სესიონში მათურებელთა განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში იყო მსახიობ ა. გ. სოკოლის საციკო სანახაობა „სასწავლებლები უსასწავლებლოდ“. ეს სანახაობა, ერთი შეხედვით, თითქმის არაფრით არ განსხვავდებოდა ილიუზიონისტების ნომრებისაგან, რომლებიც კუსტარულად გაკეთებული ნივთებისა და მრავალრიცხოვანი ასისტენტების დახმარებით ხერხავენ, სწავავენ და პაერში აჩერებდნენ ადამიანებს და ა. შ. ეს და მისი მსგავსი „ფანტასტიკური“ ნომრები გულუბრყვილო მათურებელს ყალბ წარმოდგენას უქმნიდა, „ზებუ-ნებრები ძალის“ არსებობაზე, რომელიც ამა თუ იმ ილიუზიონისტს ვითომდა გააჩნდა.

მსახიობი ა. გ. სოკოლი სულ სხვა ზანს დაადგამან პირველმა სცადა „სასწავლებლები“ მოეხდინა არა ილუზიებითა და მაქინათებით, არამედ იმ მოვლენათა საფუძველზე, რომლებიც ბუნების კანონებს ემორჩილება. ამ მიზნით მან საციკო სანახაობის შესაქმნელად გაბედულად გამოიყენა მეცნიერებისა და ტექნიკის, კერძოდ, ელექტროტექნიკის ზოგიერთი მიღწევები და უნდა ითქვას წარმატებითაც. ეს პირველი ნაბიჯი იმის მკაფიო მაგალითია, თუ რა საინტერესო შედეგი შეიძლება მოპყვეს ელექტროტექნიკის მიღწევათა შემდგომ გამოყენებას ამ მიმართულებით. ამ წერილის მიზანია ფართო მკითხველს განუმარტოს იმ მოვლენების ფიზიკური არსი, რომლებზედაც დამყარებულია საციკო სანახაობა „სასწავლებლები უსასწავლებლოდ“.

ელექტრომაგნიტის თვისება — მიიზიდოს ლითონის საგნები — გამოყენებულია საციკო სანახაობის ისეთ ნომრებში, როგორცაა: ლითონის ჯოხზე ჩამოცმული პალტოსა და ქუდის პაერში დაკიდება და ლითონის კიბეზე დამდგარი ადამიანის ვერტიკალურ მდგომარეობაში გაჩერება.

ელექტრომაგნიტი წარმოადგენს რკინის გულას, რომელსაც საციკო სანახაობის შემთხვევაში მიცემული აქვს სინათლის ჭრის მრგვალი ფორმა. გულაზე დახვეულია გამტართა ხეიები სპირალის სახით. თუ ასეთ გამტართა ხეიებს ელექტრული

ენერგიის წყაროს მიეფერებთ (ცირკის შემთხვევაში ეს განხორციელებულია საპაერო კაბელის საშუალებით), მაშინ დენით შექმნილი მაგნიტური ველი დამაგნიტებს რკინის გულას, ეს უკანასკნელი კი მიიზიდავს ლითონის მასალისაგან დამზადებულ საგნებს. მიიზიდვის ძალა პროპორციულია მაგნიტური ველის სიდიდისა (რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია სპირალის ხეითა რიცხვზე) და უკუპროპორციულია მანძილის კვადრატის მისაზიდ საგანსა და მაგნიტის გულას შორის. ცხადია, ადვილად შეიძლება გამოითვლოს ელექტრომაგნიტის მიიზიდვის ის ძალა, რომელიც მოცემული მანძილის პირობებში საქმარისა ადამიანის პაერში გასაჩერებლად. ცირკში გამოყენებული ელექტრომაგნიტის ხეიები შედგება რამდენიმე ათეული კილომეტრი სიგრძის გამტარისაგან.

ინდუქციური გახურების პრინციპი გამოყენებულია „მაციერის“ თავზე პაერში მოთავსებულ ტაფის გაცხელების დროს.

თუ ელექტრულ კოჰში გამავალი დენის მიერ შექმნილ ცვლად მაგნიტურ ველში მასივურ გამტარ სხეულს, კერძოდ, ფოლადის ტაფას, მოვითავსებთ, მაშინ ელექტრომაგნიტური ინდუქციის მოვლენის შედეგად ამ სხეულში ცვლადი დენები წარმოიქმნება. რაც უფრო ძლიერია მაგნიტური ველი და დიდია მისი ცვალებადობის სიხშირე, მით მეტია სხეულში წარმოქმნილი ელექტრული ველის დაძაბულობა, ე. ი. მით დიდია მასში დაინდუქციებულ დენები. ელექტრული ველის დაძაბულობა, სიხშირის გარდა, დამოკიდებულია აგრეთვე ელექტრული კოჰის მიერ შექმნილი მაგნიტური ნაკადის სიდიდეზე. რაც უფრო დიდი იქნება მაგნიტურ ველში შეტანილი გასახურებელი სხეულის მაგნიტური შედრევალობა, მით უფრო დიდი იქნება ნაკადის ინსწილი, რომელიც შეიკრება ამ სხეულში, მით მეტი იქნება მასში შექმნილი ელექტრული ველის დაძაბულობა. სხეულში დაინდუქციებულ დენები იწვევენ მის გახურებას. ენერგია, რომელიც სხეულის გახურებას ხმარდება, ენერგიის წყაროდან სხეულს კოჰის მიერ შექმნილი ელექტრომაგნიტური ველის საშუალებით გადაეცემა.

საციკო სანახაობის შემთხვევაში ელექტრომაგნიტური ველის შესაქმნელად გამოყენებულია ინდუქტორი, რომელიც მოთავსებულია „მაციერის“ და მიერთებულია ენერგიის წყაროსთან იატაკის ქვეშ მოთავსებული კაბელით. თუ სათანადოდ შევარჩევთ ენერგიის წყაროს სიმძლავრეს, მაგნიტური ველის ცვალებადობის სიხშირეს და გასახურებელი სხეულის, ე. ი. ამ შემთხვევაში ტაფის მა-

\* წერილი იბეჭდება ჩვენი ჟურნალის მკითხველის ზ. ბურჯანაძის (ქუთაისი) თხოვნით.

სალას, მაშინ სხეული შეიძლება გახურდეს რამდენიმე ასეულ გრადუსამდე. მოცემული სისხარის დროს გახურებისათვის საჭირო დრო გასახურებელი სხეულის სისქის კვადრატის პროპორციულია.

საციკრო სანახაობათა უმრავლესობა დამყარებულია ელექტრომაგნიტური ენერგიის უმავთულოდ გადაცემაზე, რაც ელექტროტექნიკის შედარებით ახალ დარგს წარმოადგენს.

სადენების საშუალებით, ელექტრული ენერგის წყაროდან მომხმარებლებამდე, ენერგიის გადაცემის დროს ელექტრომაგნიტური ენერგია ვრცელდება მავთულის გასწვრივ, მაგრამ მას სათანადო პირობებში შეუძლია გამოსხვიდეს მავთულიდან და გავრცელდეს ონოლიატორებშიც კი: ჰაერში, ფიფურში, ქვაში, პლასტმასაში. ცვლადი დენი მით მეტ ენერგიას გამოასხივებს მავთულიდან სივრცეში, რაც მეტი იქნება მისი ცვალებადობის სიხშირე. რაც უფრო მოკლეა მისი ტილის სიგრძე (ტალის სიგრძე უდრის სინათლის სიჩქარეს, გაყოფილს დენის სიხშირეზე). მუდმივ დენს არ შეუძლია გამოასხივოს ენერგია და ამიტომ გამოუსადეგარია ენერგიის უმავთულოდ გადაცემისათვის. ჩვეულებრივი ცვლადი დენი, რომელიც განათებისათვის იხმარება, წარმოადგენს დაბალი სიხშირის დენს, აქვს გამოსხივების ნაკლები უნარი და სწორედ ამიტომ იხმარება ენერგიის გადასაცემად მავთულების დახმარებით. მაღალი სიხშირის დენები გამოიყენება იქ, სადაც საჭიროა ენერგიის გამოსხივება, მაგალითად, რადიოტექნიკაში.

ყოველგვარი ენერგიის გადაცემის დროს აუცილებლად ხდება ენერგიის გარკვეული რაოდენობის კარგვა. რაც უფრო მაღალია დენის სიხშირე, მით უფრო მეტა ენერგიის კარგვა გადაცემაზე და ამავე დროს რთულდება ამ ენერგიის გამოყენებაც. ამიტომ ელექტრომაგნიტური ენერგიის უმავთულოდ გადაცემა უმეტეს შემთხვევებში გამოყენებულია მართვის, რეგულების, საკონტროლო და კავშირგაბმულობის დანადგარებში. ამ შემთხვევებში დასაშვებია ენერგიის დიდი კარგვები, ვინაიდან გადაცემული ენერგია ასრულებს დამხმარე როლს და გამოიყენება ხსენებული დანადგარების სამარაოდ. სხვა შემთხვევებში უმავთულოდ გადაცემული ელექტრომაგნიტური ენერგია თითონ აწარმოებს სასარგებლო მუშაობას: ანათებს, ახურებს, ამზობს, აღწობს ან კიდევ მოძრაობაში მოჰყავს მაღალსიხშირითი ელექტრული ტრანსპორტის ძრავები (მაგალითად: საციკრო სანახაობაში უმავთულოდ გადაცემული ენერგიის საშუალებით ინთება ნათურები მავთურბელთა ხელში). ასეთ შემთხვევებში ცდილობენ, რომ კარგვები ნაკლები იყოს, ვიდრე სასარგებლოდ შესრულებული მუშაობა. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ტექნიკის პირობებში მნიშვნელოვანი სიმძლავრეების დიდ

მანძილზე უმავთულოდ გადაცემა ჯერჯერობით შეუძლებელია.

ელექტრომაგნიტური ენერგიის უმავთულოდ გადასაცემა საჭიროა გვექონდეს მაღალი სიხშირის გენერატორი და რხევადი კონტური, რომელიც მიმდევრობით ჩართულ კონდენსატორს და თვითინდუქციის კოკას წარმოადგენს. რხევადი კონტურის კონდენსატორის ტევადობის ან თვითინდუქციის კოკის ინდუქტივობის ცვალებადობით იცვლება გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგიის სიხშირე, რაც უფრო ნაკლებია კონტურის ტევადობა და ინდუქტივობა, მით უფრო დიდია სიხშირე. იმი-სათვის, რომ გამოყენებულ იქნეს გამოსხივებული ელექტრომაგნიტური ენერგია, საჭიროა, რომ მომხმარებლის ელექტრულ წრედში ჩართული იყოს რხევადი კონტური. როდესაც მაღალი სიხშირის დანადგარისა და მომხმარებლის რხევადი კონტურები რეზონანსში აღმოჩნდება (ეს მოხდება რხევადი კონტურების ინდუქტივობისა და ტევადობის ნამრავლის ტოლობის შემთხვევაში), მაშინ მომხმარებლის მიერ გამოყენებული იქნება გამოსხივებული ენერგიის მაქსიმალური რაოდენობა. ეს პრინციპი ფართოდ არის გამოყენებული დისტანციური მართვის დროს, კერძოდ, საციკრო სანახაობის შემთხვევაში.

ასე, მაგალითად, მექანიკური ძაღლის ცალკეულ ნაწილებს ამორტავენ სოლენოიდებს, რომლებსაც სხვადასხვა რხევადი კონტურები აქვთ მიერთებული. ასევე სხვადასხვა რხევადი კონტურები აქვთ მაგნიტური მოთავსებულ ელექტრომაგნიტებს, რომლებსაც მოძრაობაში მოჰყავთ ბოთლი და დანაჩანგებები. თუ ტევადობის ცვალებადობით გამოწვეულ სხვადასხვა სიხშირის იმპულსებს მაღალი სიხშირის დანადგარადან გავგზავნით, მაშინ ელექტრომაგნიტურ ენერგიას მიიღებს ის სოლენოიდი ან ის ელექტრომაგნიტი, რომლის რხევადი კონტური რეზონანსში მოხვდება მაღალი სიხშირის დანადგარის რხევად კონტურთან. ამით გამოწვეული იქნება მექანიკური ძაღლის სათანადო ნაწილის ან ბოთლის მოძრაობა. ამავე პრინციპზეა დამყარებული კალათაში მოთავსებული ყვავილების ფერის შეცვლა. აინთება იმ ფერის ნათურა, რომლის ელექტრულ რეღეს რხევადი კონტური რეზონანსში აღმოჩნდება მაღალი სიხშირის დანადგარის რხევად კონტურთან.

სირთულეს არ წარმოადგენს აგრეთვე ცირკის დარბაზიდან ამონენტის გამოძახება. როდესაც მავთურბელი ტელეფონის ნომერს ასახელებს, ცირკის კულისებში აწყობენ ამ ნომერს ჩვეულებრივი ტელეფონის აპარატი. ტელეფონში მიღებულ ხმებს რეპროდუქტორის საშუალებით გადასცემენ დარბაზში, დარბაზიდან კი შენიღბული მიკროფონით ლაპარაკი გადაიქცემა კულისებში, იქიდან კი—სატელეფონო ხაზში.

# ჰაეროფოტოგრაფია და მისი მნიშვნელობა

## ა. ასდანიკაშვილი

გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი

ჰაეროფოტოგრაფია, როგორც თვით ამ სიტყვის მნიშვნელობა გვიჩვენებს, ჰაერიდან დედამიწის ზედაპირის ანუ იმ ნაწილის ფოტოსურათის გადაღებას ნიშნავს, მაგრამ ეს არის სიტყვის ვიწრო გაგება. ფართო გაგებით აქ იგულისხმება ერთობლიობა ყველა იმ პროცესისა, რომელთა შედეგად აღნიშნული ფოტოგრაფირების გზით ანუ იმ ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკა იქმნება.

ტოპოგრაფიული რუკის შექმნის ზედაპირული, მიწისეული მეთოდები ძველთაგანვე იყო ცნობილი და დღეს უაღრესად გაუმჯობესებული სახით ხდება მათი გამოყენება, მაგრამ ჰაეროფოტოგრაფია XIX საუკუნის უდიდეს აღმოჩენას წარმოადგენს და ჩვენი პლანეტის ყოველმხრივი შესწავლის საქმეში მის წინაშე უსაზღვრო პერსპექტივაა გადაშეიღო.

ჰაეროფოტოგრაფია ფრენითი გადაღების ანუ ჰაეროგადაღების პროცესით იწყება. ეს გული-სხმობის მოცემული ტერიტორიის თვითმფრინავიდან ფოტოგრაფიულ ფირზე გადაღებას შესადგენი რუკის მასშტაბზე რამდენადმე უფრო მსხვილ მასშტაბში. გადაღების მასშტაბი დამოკიდებულია თვითმფრინავის ფრენის სიმაღლესა და ჰაეროფოტოაპარატის ობიექტივის საფოკუსო მანძილზე. შემდეგ ხდება მიღებული ჰაეროფოტოსურათების „მიბმა“ ადგილთან, ე. ი. ამ სურათებზე გამოვლინება იმ წერტილებისა, რომელთა კოორდინატებიც გადასაღებ ტერიტორიაზე წინასწარ გეოდეზიური მეთოდებითაა განსაზღვრული.

ამის შემდეგ იწყება ე. წ. ფოტოგრაამეტრიული დამუშავება მიღებული ჰაეროფოტოსურათების მთელი მასისა, უშუალოდ გადაღებული ტერიტორიის ტოპოგრაფიული რუკის მისაღებად. ეს პროცესი რთული პროცესია და იმისდა მიხედვით, თუ რა კონკრეტულ მიზანს ემსახურება ჰაეროფოტოგრაფია, როგორია მუშაობის პირობები, შესრულების ვადები და გადასაღები ტერიტორიის თავისებურებანი, — ორი მეთოდით შეიძლება იქნეს შესრულებული. ერთს ეწოდება კონტურულ-კომ-


ბინირებული, ხოლო მეორეს — სტერეოფოტოგრაამეტრიული.

კონტურულ-კომბინირებული ჰაეროფოტოგრაფია იმაში მდგომარეობს, რომ შესადგენ ტოპოგრაფიულ რუკაზე გეოგრაფიულ ობიექტთა ყველა მონახულობანი უშუალოდ ჰაეროფოტოსურათებიდან გადააქვთ, ხოლო რელიეფის გამოსახვა კი ჩვეულებრივი ზედაპირული მეთოდებით, ტოპოგრაფიული აგეგმვის გზით ხდება.

სტერეოფოტოგრაამეტრიული ჰაეროფოტოგრაფია გულისხმობს ტოპოგრაფიული რუკის მთელი შინაარსის შედგენას უმთავრესად კამერალური გზით, უკვე ადგილთან „მიბმულ“ ჰაეროფოტოსურათებზე დაყრდნობით. რელიეფის გამოსახვა აქ ემყარება სტერეოგრაფიული ხედვის კანონებს, რაც შესაძლებლობას იძლევა ორი სხვადასხვა წერტილიდან გადაღებული ერთისა და იმავე ტერიტორიის წყვილი ფოტოსურათის ერთდროული, სტერეოგრაფიული განხილვით აღვადგინოთ დედამიწის მოცემული ზედაპირის რელიეფის სივრცობრივი მოდელი, გამოავლინოთ მისი ოღენობითი თავისებურებანი და მივიღოთ რელიეფის ზუსტი ჰიფსომეტრიული გრაფიკული გამოსახულება.

ჰაეროფოტოგრაფიების უპირატესობა ჩვეულებრივ ტოპოგრაფიულ გადაღებასთან შედარებით იმაში მდგომარეობს, რომ აქ მინიმუმამდეა დაყვანილი სავალ მუშაობის ხანგრძლიობა და თითქმის რუკის შედგენის მთელი პროცესი კამერალურ პირობებში წარმოებს, ამის გამო იგი საუკეთესო საშუალებაა მიუდგომელი ან უცხო ტერიტორიების ტოპოგრაფიული რუკების შესადგენად.

საბჭოთა კავშირში ჰაეროფოტოგრაფია უაღრესად სწრაფად განვითარდა. საბჭოთა მეცნიერებმა შეიმუშავეს ჰაეროფოტოგრაფიების თეორიული საფუძვლები და მისი სხვადასხვა პროცესების მრავალი ორიგინალური მეთოდი. საკუთარი კონსტრუქციის ურთულესი მოწყობილობანი შექმნეს როგორც ფრენითი გადაღების, ისე გადაღების შედეგთა ფოტოგრაამეტრიული დამუშავების დარგში.



ჰაეროფოტოგადაღების მეთოდი შეიქრა საბჭოთა ტერიტორიის მეცნიერული გამოკვლევის თითქმის ყველა სფეროში, სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში; ჰაეროფოტოსურათი ხდება ბუნებრივი რესურსების შესწავლის ძირითად საშუალებად. ტოპოგრაფიული რუკების შედგენის გარდა, ჰაეროფოტოგადაღების მეთოდებს იყენებენ: ტერიტორიის მეცნიერული საფარის შესწავლაში, გეოლოგიურ და გეომორფოლოგიურ გამოკვლევებში, წყლის რესურსების შესწავლაში, სატრანსპორტო მშენებლობაში, არქეოლოგიისა და ისტორიულ გეოგრაფიაში, ფაუნის ზოგიერთი სახეების შესწავლაში და სხვ.

ჰაეროფოტოგადაღებას უარესად დიდი მნიშვნელობა აქვს თავდაცვის საქმეში. დროის მონაკვეთი ფრენითი გადაღებიდან ჰაეროფოტოსურათის მიღებამდე რამდენიმე საათით განისაზღვრება. ამიტომ ესაა საუკეთესო საშუალება ყველა იმ ცვლილებების უსწრაფესი გამოვლენებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე. აღნიშნული ტერიტორიის განმეორებითი ჰაეროფოტოგადაღება საუკეთესო საშუალებაა მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალთა კონცენტრაციის, საცეცხლე საშუალებათა განლაგების და გადაჯგუფებების გამოსავლინებლად. ამიტომ სამხედრო პირები ისევე ეუფლებიან ჰაეროფოტოსურათის კითხვას და გამოყენების მეთოდებს, როგორც რუკას. რუკა და ჰაეროფოტოსურათი საუკეთესოდ ავსებენ ერთმანეთს საომარ მოქმედებათა წარმოების დროს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს დიდ სივრცეთა ტოპოგრაფიული რუკების შედგენა თანამედროვე პირობებში მთლიანად ჰაეროფოტოგადაღების მეთოდებით ხდება. ეს განპირობებულია ავიაციის

განვითარებით, მაგრამ თვით საჰაერო ნავიგაციის ასპარეზის გაფართოება მსოფლიოს ყველა ნაწილსა და ლისათვის მოითხოვს ე. წ. სპეციალური საჰაერო სა-ნავიგაციო რუკების შედგენას, რაც თავის მხრივ ტოპოგრაფიულ რუკებს ემყარება. ეს გარემოება იწვევს დიდ სახელმწიფოთა ცხოველ ინტერესს ჰაეროფოტოგადაღებისადმი. განსაკუთრებით გამოირჩევა ამ მიმართულებით ამერიკის შეერთებული შტატები.

ამ ქვეყნის ოფიციალური წყაროებიდან ცნობილია, რომ ამერიკელთა ხელშია მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილებში წარმოებულ ჰაეროფოტოგადაღებათა დიდძალი მასალა, რომელიც მოიცავს 32.5 მილიონ კვადრატულ კილომეტრ ტერიტორიას, რაც მთელი მსოფლიოს ხმელეთის ფართის — 14% მილ. კვ. კილომეტრის — 1/4 წარმოადგენს. ამ გადაღებათა 2/3 გამოყენებულ იქნა 1:500.000 და 1:250.000 მასშტაბების საჰაერო-სანავიგაციო რუკების შესადგენად. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კარტოგრაფიულ სამსახურს შემუშავებული აქვს გეგმა მთელი მსოფლიოს 1:250.000 მასშტაბის საჰაერო-სანავიგაციო რუკის შექმნისა. ამ რუკის შემადგენელი პირველ რიგში გამოსაცემი 10 ათასი ფურცელი მოიცავს აშშ, ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ევროპას, ახლო და შორეულ აღმოსავლეთს.

ფაქტობრივად ამერიკელთა ხელშია ამჟამად ჰაეროფოტოგადაღებანი საფრანგეთში, თურქეთში, სამხრეთ ამერიკაში, ინგლის-ევგვიტის სულანში, საფრანგეთის აფრიკაში.

ასეთია მოკლედ ჰაეროფოტოგადაღების არსი და მისი მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკურ ვითარებაში.

## უკსოეთის ტექნიკა

### ქანჩების მრავალშინდელიანი შემოკოჭავი

„დეუსტერის“ ფირმა (ინგლისი) ამზადებს მრავალშინდელიან პნემატურ ხელსაწყოებს ქანჩების შესაკოჭავად. შინდელუბის რიცხვი მათში მერყეობს ორიდან ცხრამეტამდე. ასეთი ხელსაწყოები ფართოდაა გამოყენებული აწყოების დროს ინგლისის საავტომობილო და მანქანათმშენებლო ქარხნებში. იგი დანიშნულია 12 მილიმეტრი ზომის ქანჩების შესაფუთავად.

ამ მაღალმწარმოებლური ხელსაწყოს განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დანიშნულია სხვადასხვა ზომის ქანჩების მისაჭე-

რად. ამასთან შეკოჭვის ძალა შეიძლება რეგულირებულ იქნეს თითოეული ზომისათვის ცალკეკე.

ბლოკის თავის შეკოჭვა თერთმეტშინდელიანი ხელსაწყოთი, მაგალითად, მხოლოდ 43 წამს, ე. ი. სამჯერ ნაკლებ დროს მოითხოვს, ვიდრე თითოეული ქანჩის თანმიმდევრობით შეკოჭვა ერთი ხელსაწყოთი.

ყველაზე რთულია 19 შინდელიანი ხელსაწყო, რომელიც დანიშნულია კარტერის ქვედის 6 მილიმეტრიანი ქანჩების შესაკოჭავად. ეს ოპერაცია მოითხოვს მხოლოდ 65 წამს.



# „მარსი-1“

ინჟ. ა. შირაზუნი

ნაზ. კ. მუსაიჩიძის

ნახევარი საათის შემდეგ ვოლკოვი იწვა თავის საწოლში. მან აკუსტიკური დამჭერიც კი არ ჩართო, ვინაიდან მიწყნარებული ქარიშხლის ხმები მისთვის იყო ხმები მშვენიერი ცხოვრებისა, რომელსაც ის დაუბრუნდა.

არაჩვეულებრივი შთაბეჭდილებებით აღსავსე ვოლკოვის სწრაფად დაეძინა. სიზმრები იყო შფოთიანი და უცნაური. ბანჯეკლიანი ცხოველები ანთებული თვალებით მის გარშემო ირეოდნენ, გაისმოდა სასიამოვნო სიმღერის ხმები. უზარმაზარი გველები გლუვი კანით, რომელიც ელვარებდა როგორც ძვირფასი ქვები, უცებ ყალბზე ღებობდნენ და აქნევდნენ ადამიანის მსგავს თავს...

დილით ოლდა და ვოლკოვი იხსნდნენ კიბის ქვედა საფეხურზე, კიბე სახლიდან მიდიოდა ზედ ზღვამდე. ისინი ტკებობდნენ მზის სინათლითა და სითბოთი. ოლდა დროდადრო ყურადღებით შესცქეროდა ვოლკოვს.

— მე ეხლაც ვერ გამიგია, გუწონ თქვენ სიცოცხესაგან გაქვავდით, თუ თქვენ ხართ ადამიანი, რომელიც საშიშროებას ხვდება, როგორც საჭიროა.

— ჩემზე ორმაგი სიცოცხე მოქმედებდა: ლაბორატორიისა და თქვენად მრისხანე მზერის. უამისოდ, ალბათ, მე აქეთ-იქეთ ვეხეტებოდი, როგორც ხატვანჭვი

მოხვედრილი მაიმუნი, — ხუმრობდა ვოლკოვი და ყურადღებით გასცქეროდა ვერცხლისფერი კეფალებს ნიკიტის ზღვაში.

ოლდამ განრისხებით შემოკრა ხელები.

— თქვენ ისეთი ხართ, როგორც ეს მეღუბები! — თქვა ოლდამ და მიუთითა მოცისფერო მეღუბებზე, რომლებიც თითქმის უმოძრაოდ ეკიდნენ ზღვის ზედაპირთან. — თქვენ არა გაქვთ არავითარი სისწრაფე, მზადყოფნა თავბრუდამხვევი მოძრაობისათვის. როგორც ჩანს, თქვენ ძლიერ ჩაფლობილხართ თქვენს ქილებში, ჭურჭლებში, აკვარიუმებში, სადაც ასეთი სიწყნარება. რასაკვირველია, თქვენთვის ცნობილია, რა არის „მარსი-1“. ამ სიტყვას ხომ წამდაღუწუმ იმეორებენ ინსტიტუტში, მაგრამ ნამდვილ მხურვალე გრანტობებს ჩვენი კოსმოსური ხომალდი თქვენში არ იწყევს.

როცა ივონებდა, თუ როგორი შემოთბეული იყო ქალიშვილის ეს ლამაზი სახე გუშინ ღამით, ზუფის მინების ქვეშ, ვოლკოვი თვალყურს ადევნებდა ოლდას, რომელიც უეცრად ზევით ასწავდა წვირილ წარბებს, ბრაზიანად კუმშავდა ტუჩებს, ღებულობდა აბურ გამომეტყველებას და შემდეგ უეცრად ხალისიანად იცინოდა. ვოლკოვი მზად იყო ელიარებინა კურდღლის სიმხდალე, ის, რომ სრულიად არ იცნობს „მარს-1“, ყველაფერი, ოღონდ კი ოლდას კვლავ მხურვალედ, დამაჯერებლად დაერწმუნებოდა.

ნებინა იგი კოსმონავტიკის შესანიშნავში, უმძლავრესი ძრავების უბარატისობაში კოსმოსურ ტექნიკისათვის, რომელთა დამუშავებაშიც ოლდა მონაწილეობას იღებდა.

„მარსი-1“ მცირე ხნის წინათ შექმნეს კოსმოსური ხომალდების მშენებლებმა ნიკიტინის ხელმძღვანელობით. იგი უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას დედამიწიდან აფრენისას და აგრეთვე მთვარეზე, მარსზე ან სხვა პლანეტაზე დაშვებისას. მიზანი რაკეტოლან „მარსი-1“-ის გაფრენისა ადამიანიურთ ორგანიზაციის: შემოწმება დედამიწის იმ ხელოვნური თანამგზავრების მდგომარეობისა, რომლებიც ვაკილებით აღრე იქნა გაშვებული, შემდეგ კი — ვენერის მიღწევა. უადამიანებო რაკეტებმა, გაშვებულმა სხვადასხვა რაკეტორუმებიდან, აფრინდნენ რა წამში მ-დან 11-დე კილომეტრის სისწრაფით, ავტომატურად შეიცვალეს თავიანთი ფრენის მიმართულება და დაიწყეს უსასრულო გზა დედამიწის გარშემო რამდენიმე ასეულიდან 35 ათასამდე კილომეტრ მანძილზე დედამიწიდან. მართვის რადიოსიგნალების საშუალებით ზოგიერთი მათგანი აწყობილ იქნა საიმედოდ უმტიკიცეს კონტროლებად.

— მამარქინე უკვე ხანში შესული კაცია. მაგრამ იგი კოსმოსში წაიყვანს თავის ხომალდს! სტარტის დღეს მოიხსნება ტილო ბერილიუმის გრანდიოზული ძეკლიდან, რომელიც ჩამოსხმულია ამ გაფრენის აღსანიშნავად. თქვენ კი... ეპ, თქვენც... როგორც ჩანს, ვერასოდეს ვერ მოგიყვანთ ჩემს რწმენაზე. „ხოხვას ჩვეული“...

— არა, არა, — შეაწყვეტინა სიტყვა ვოლკოვმა, — იმდევ ორი-სამი ასეთი ლექცია და მე თვითონ ვითხოვ — დამიშვან მონაწილეობა მივიღო გაფრენაში, მაგრამ მხოლოდ თქვენთან.

\* დასასრული, ინ. ჩვენი ჟურნალის №11.

